

უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ

წიგნი XII

გეორგიკა ტ. V

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

საქართველო შესახებ არსებული
უცხოური წყაროების კომისია

ივ. ჯავახიშვილის სახელობის
ისტორიის ინსტიტუტი

გეორგიკა

ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ

ტომი მეხუთე

ტექსტები ქართული თარგმანით გამოცემა და განმარტებები დაურთო
სიმონ ყაუხჩიშვილმა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა

თბილისი 1963

მთავარი რედაქცია: ი. აბულაძე, ვლ. ფუთურიძე, ს. ყაუხჩიშვილი,
გ. წერეთელი (მთ. რედაქტორი), ს. ჯიქია

ბერძნულ-რომაული წყაროების
სერიის რედაქტორი

ს ი მ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი

შინაარსი

წინასიტყვაობა	V
ლეონ გრამატიკოსი	1
იაფეტის მოდგმა 3. იბერიელთა და სომეხთა გაქრისტიანება 4. – იბერიელი კუროპალატი კონსტანტინოპოლში 5. – ბაი- ბერდის ციხე-სიმაგრე 6.	
გიორგი კედრენე	7
იაფეტის სამფლობელო 10. – არგონავტების ლაშქრობა კოლ- ხეთში 11. – ჰერაკლეს (გმირის) მოგზაურობა კოლხეთში 12. – კასპიის კარები 12. – ლაზთა მეფე წათე 13. – სპარსელების ლაშქრობა ლაზების წინააღმდეგ 15. – იბერთა მეფე ძამანარძე 16. – ლაზები და აბაზგები ბიზანტიის ჯარში 22. – ირაკლი კეისრის ჩასვლა ლაზეთში 26. – ფაზისის ეპისკოპოსი კვიროსი 28. – ლაზეთის პატრიკიოსი სერგი 29. – ზარდა სკლეროსის ამბოხება 30. – ბასილი კეისარი იბერიაში 45. – ნიკიფორე ქსიფიასის და ნიკიფორე ფოკას ძის აჯანყება. ქართლის მეფე გიორგი პირველი 46. – იბერიის კატეპანი ნიკიტა 52. – ბერ- ძენტა მეფის ძმისწული ელენე – საქართველოს დედოფალი 54. – გიორგი I-ის მეუღლე ალდე 58. – იბერიის კატეპანი იასიტე 58. – ომი ანისის გამო და გიორგი მეფე 59. – ლიპარიტ ერის- თავი 67. – თბილისი და იბერია. ლიპარიტ ერისთავი 68. – იბერიას მტრად მიაჩნია ბიზანტია 79. – იბერიის ციხე-სიმაგ- რეები 80. – ყარსის გარემოცვა, იბერიის დარბევა 80. – იბე- რები ბიზანტიის ჯარში 81. – იბერია მდიდარი ქვეყანაა 82. – ფარესმანე იბერი 82.	
პეტრიწონის წესდება	83
შესავალი 83. – პეტრიწონის ტიპიკონი. ტექსტი და თარგმანი 97 – 256. – კონიექტურები ბერძნული ტექსტისათვის 257. – ბერძნულისა და ქართული ტექსტების ურთიერთობა 267. – ქიოსური ნუსხის დათარიღება 276. – შემოკლებანი ქიოსურ ხელნაწერში 276. – ქიოსური ნუსხის გრაფიკული სამკაულები 286. – ლექსიკონი 287. – საკუთარ სახელთა საძიებელი პეტრი- წონის წესდებისათვის 300.	
VI	
შინაარსი	
ნიკიფორე ვრიენიოსი	302
ნიკიფორე ვრიენიოსის მიზანი 303. – თურქთა ტომი 303. – მარიამ დედოფალი, მართა-ყოფილი 304. – მარიამის დისშვილი ირინე 305. – ბრძოლა თურქებთან 307. – ალექსი კომნენოსის ლაშქრობა 309. – ნიკიფორე ბოტანიატი და მარიამ დედო- ფალი 311. – ალექსი კომნენოსი მარიამ დედოფლის ნაშვილე- ბია 313.	
კეკავმენოსი	314
იბერიის დაბეგრვა მძიმე გადასახადებით 315.	
დამატება: ბაკურიანისძეთა მოღვაწეობის ისტორიიდან	316
საკუთარ სახელთა საძიებელი	318
Addenda et corrigenda	331
ტაბულები	I – XII

წინასიტყვაობა

წინასწარ შედგენილი გეგმის თანახმად „გეორგიკის“ მეხუთე ტომში უნდა შესულიყო XI – XII საუკუნეთა ბიზანტიური მასალები საქართველოს შესახებ. მაგრამ ეს გეგმა ვერ განხორციელდა და წინამდებარე ტომში მოთავსდა მხოლოდ მცირე ნაწილი ამ საუკუნეთა ბიზანტიელი მწერლების ცნობებისა საქართველოს შესახებ, დიდი ნაწილი ამ ცნობებისა გადაიდო შემდეგი ტომისათვის: ასე, მაგალითად, იძულებული ვიყავით VI ტომში გადაგვეტანა მიხაელ პსელოსის, ანნა კომნენეს, ნიკიტა ხონიატას, იოანე კინამოსის და სხვათა თხზულებებში მოპოვებული მასალა.

ეს გამოიწვია შემდეგმა გარემოებამ: როდესაც მეხუთე ტომის მასალას ვამზადებდით სასტამბოდ, ამასობაში ქიოსიდან მივიღეთ ახალი ბერძნული ნუსხა 1084 წელს გრიგოლ ბაკურიანის-ძის მიერ პეტრიწონის სავანისათვის შედგენილი „ტიპიკონისა“. მართალია, „ტიპიკონის“ ბერძნული ტექსტი უკვე გამოცემული იყო 1904 წელს, მაგრამ ეს ტექსტი, ლ. პტის მიერ გამოქვეყნებული XVIII საუკუნის ბუხარესტული ნუსხის მიხედვით, საკმაოდ ნაკლებეგანი აღმოჩნდა, ხოლო ახლად მოპოვებული ქიოსური ნუსხა, რომელიც XI – XII საუკუნეში უნდა იყოს გადაწერილი, ბუხარესტული ნუსხის თითქმის ყველა ხარვეზს ავსებს. ასეთ ვითარებაში ჩვენ საშურ საქმედ მივიჩნიეთ პეტრიწონის წესდების ახალი ტექსტის გამოქვეყნება (რასაკვირველია, ქართული თარგმანით და სათანადო განმარტებებით), რამაც „გეორგიკის“ წინამდებარე ტომის ორი-მესამედი მოითხოვა.

გარდა „პეტრიწონის წესდებისა“ XI საუკუნის მასალებიდან შევიდა ლეონ გრამატიკოსის, გიორგი კედრენეს და ნიკიფორე ვრიენიოსის შრომებიდან ამოკრეფილი ნაწყვეტები. ნიკიფორე ვრიენიოსის ცნობები საქართველოს შესახებ დავბეჭდეთ უგანმარტებებოდ, ვინაიდან ეს ცნობები (კერძოდ, მარიამ დედოფლის შესახები ცნობები) მეტწილად ემთხვევა ანნა კომნენეს „ისტორიაში“

არსებულ მასალას, და მომდევნო ტომში ანნა კომნენოსთან ერთად ნიკიფორე ვრიენიოსის ცნობებსაც დავურთავთ განმარტებებს.

რაც შეეხება გიორგი კედრენეს „ქრონოგრაფიას“, ქვემოთ თავის ადგილას (გვ. გვ. 7 – 9) ჩვენ წარმოვადგინეთ ჩვენი მოსაზრებები იმის შესახებ, თუ რაოდენ გართულებულია ამ „ქრონოგრაფიით“ სარგებლობა იმის გამო, რომ ჯერჯერობით არც კია საბოლოოდ დადგენილი ბერძნული ტექსტი, არ არის გამორკვეული კედრენეს და სკილიცეს შრომათა ურთიერთ მიმართების საკითხი. აქ კი, გარდა ამისა, დავსძენთ შემდეგსაც:

მკითხველს დაარწმუნებენ გიორგი კედრენეს „ქრონოგრაფიიდან“ მოყვანილი ნაწყვეტები (გვ. გვ. 10 – 82), რომ იქ არსებული ცნობები ეხება საქართველოს ისტორიის უაღრესად საყურადღებო ხანას (XI საუკუნის პირველ ნახევარს), როდესაც – საქართველოს გაერთიანების შემდეგ – ფეოდალური მონარქიის საფუძვლები ყალიბდებოდა, როდესაც ამ ნიადაგზე მეტად გართულდა ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობა. ამ ურთიერთობის საკითხის გარკვევაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო იმ ცნობებს, რომლებიც უშუალოდ საქართველოს ეხება, არამედ „ქრონოგრაფიის“ იმ ცნობებსაც, რომლებშიც ასახულია ბიზანტიის ურთიერთობა საქართველოს მეზობელ ქვეყნებთან, ამიერკავკასიის და მცირეაზიის იმ ხალხებთან, რომლებიც ქართველებთან ერთად და ქართველებთან კავშირში ებრძოდნენ ბიზანტიის აგრესიულ პოლიტიკას.

ამიტომ ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია, რომ კედრენე-სკილიცეს შრომა მთლიანად იყოს გამოქვეყნებული ქართულად, რის განხორციელებასაც ვეცდებით ახლო მომავალში.

ლეონ გრამატიკოსი

ლეონ გრამატიკოსი XI საუკუნის ქრონოგრაფოსია, მისი სახელით მოღწეული „ქრონოგრაფია“ (*Λέοντος Γραμματικῶν Χρονογραφία*) იწყება ადამის გაჩენით და შეიცავს მსოფლიო ისტორიას (ებრაელთა ისტორია, ბაბილონის და სპარსეთის მეფეთა ისტორია, ალექსანდრე მაკედონელისა და პტოლემეოსის მმართველობის შემდეგ რომაელ და ბიზანტიელ კეისართა ხანის ისტორია) ვიდრე რომანოზ ლეკაპენის (919 – 944) გარდაცვალებამდე).

ლეონ გრამატიკოსს თავისი „ქრონოგრაფია“ დაუმთავრებია 1013 წელს. ეს ჩანს ანდერძ-მინაწერიდან, სადაც ვკითხულობთ: *ἐτελειώθη ἡ τῶν νέων βασιλέων χρονογραφία, πληρωθεῖσα παρὰ Λέοντος γραμματικῶν, μηνὶ Ἰουλίῳ ὀχθῆνῃ, ἑορτῇ τοῦ ἁγίου μεγάλου μάρτυρος Προκοπίου, ἔτους ,σφια', ἰνδικτικῶν ἐνδεκάτῃ* „და-მთავრდა ახალი მეფეების ქრონოგრაფია, შესრულებული (თე: შევსებული) ლეონ გრამატიკოსის მიერ, ივლისის თვის რვაში, წმინდა მთავარმოწამის პროკოპის დღესასწაულის დღეს, 6521 წელს, ინდიქტიონის მეთერთმეტე წელს“¹. აქ აღნიშნული თარიღი უჩვენებს 1013 წელს (6521 – 5508 = 1013); მეთერთმეტე ინდიქტიონიც ხვდება სწორედ 1012/13 წელს.

გამოთქმა *πληρωθεῖσα* მოწმობს იმას, რომ ლეონი თავის თავს „ქრონოგრაფიის“ ავტორად კი არ თვლის, არამედ მხოლოდ რედაქტორად (თუ შემავსებლად). ანდერძ-მინაწერში რომ სწერია „დამთავრდა ახალი მეფეების ქრონოგრაფია“, ესეც იმას მოასწავებს, რომ ლეონს თუ რამე ეკუთვნის ამ „ქრონოგრაფიიდან“, ეს შეიძლება იყოს მხოლოდ უკანასკნელი ნაწილი.

მართლაც, ლეონ გრამატიკოსის „ქრონოგრაფია“ დღესაც არ არის საკმარისად შესწავლილი, მაგრამ ის რაც გამოკვლეულია,

¹ ეს ანდერძ-მინაწერი მოიპოვება „ქრონოგრაფიის“ ტექსტის ბოლოში: ob. Leonis Grammatici Chronographia, ex recognition Im. Bekkeri. Bonnae 1842, გვ. 331.

უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ „ლეონის ქრონოგრაფია“ წარმოადგენს კომპლაციურ ნაშრომს და რომ თვით ლეონს არაფერი აქვს საერთო „ქრონოგრაფიის“ იმ ნაწილის ავტორთან, სადაც მოთხრობილია ისტორია ქვეყნის გაჩენიდან მიხაელ I რანგავემდე (811 – 813) ¹.

ამ კომპილაციის თანავტორებად მიჩნეული არიან თეოდოსი მელიტენელი და ფსევდო-პოლიდეუკე ², მაგრამ ამ საკითხის გადაწყვეტასაც ის აძნელებს, რომ ამ ქრონისტა ნაშრომების რაობაც ბურუსით არის მოცული.

ქვემოთ მოყვანილი მასალის დამუშავების დროს ხელთ გვექონდა შემდეგი გამოცემები და გამოკვლევები:

Leonis Grammatici Chronographia, et recognitione Im. Bekkeri. Bonnae 1842, გვ. 1 – 331.

Leonis Grammatici Chronographia...: Migne, Patrologia graeca 108, 1037 – 1164.

Б. Мелиоранский, Из семейной истории Аморийской династии: Виз. Врем. 8 (1901), 1 – 37 (განსაკუთრებით გვ. გვ. 26 – 32).

Edwin Patzig, Leo Grammaticus und seine Sippe: BZ 3 (1894), 470 – 497.

Th. Preger, Der Chronist Julios Polydeukes: BZ 1 (1892), 50 – 54.

C. de Boor, Die Chronik des Logotheten: BZ 6 (1897), 233 – 284.

С. Шестаков, Парижская рукопись хроники Симеона Догофета: Виз. Врем. 4 (1897), 167 – 183.

В. Васильевский, Хроника Логофета на славянском и греческом: Виз. Врем. 2 (1895), 78 – 151 (განსაკუთრებით 119 – 140).

Edwin Patzig. Über einige Quellen des Zonaras: BZ 5 (1896), 24 – 53. აქ ლეონ გრამატიკოსის წყაროებზე გვ. გვ. 26 – 51).

K. Praechter, Die römische Kaisergeschichte bis auf Diokletian in cod. Paris. 1712 und cod. Vatic. 163: BZ (1896), 484 – 537 (ლეონის და სხვა ქრონისტების საერთო წყაროებზე).

¹ E. Patzig, Leo Grammaticus und seine Sippe: BZ 3 გვ. 497.

² об. K. Krumbacher, BLG 9, 362 – 364.

იაფეტის მოდგმა

Τῶ δὲ Ἰάφεθ τῶ τρίτῳ υἱῶ τοῦ Νῶε ἔλαχον χῶραι κατ' ὄνομα αἶδε· Μηδία, Ἀλβανία, Ἀμαζόνις, Ἀρμενία μικρά τε καὶ μεγάλη, Καππαδοκία, Παφλαγονία Γαλατία, Κολχίς, Βοσπόρη, Μαιῶτις, Δερβίς, Σαρματίς, Ταυριανίς, Βαστρανίς, Σκυθία, Θράκη, Μακεδονία, Δαλματία. Μολοσσίς, Θεσσαλία, Λοκρίς, Βοιωτία, Αἰτωλία, Ἀττικὴ, Ἀχαΐα, Πελλήγη, ἢ καλουμένη Πελοπόννησος, Ἀρκαδία, Ἡπειρῶτις, Ἰλλυρίς, Λυχνίτις, Ἀδριακὴ, ἀφ' ἧς τὸ πέλαγος τὸ Ἀδριακόν, ἐπὶ αὐτῶ καὶ νῆσοι αἶδε, Βρετανία, Σικελία, Εὐβοία, Ῥόδος, Χίος, Λέσβος, Κύνηρα, Ζάκυνθος, Κεφαληνία, Ἰθάκη, Κέρκυρα καὶ αἱ Κυκλάδες, καὶ μέρος τι τῆς Ἀσίας ἢ καλουμένη Ἰωνία. Ποταμὸς δ' ἔστιν ἐν τοῖς αὐτοῖς μέρεσι Τίγρις ὁ διορίζων μεταξὺ Μηδίας καὶ Βαβυλωνος.

ონის. ამ მხარეებში არის მდინარე ტიგროსი, რომელიც ჰყოფს ერთიმეორისაგან მიდიასა და ბაბილონს.

Ἐκ δὲ τῶν τοῦ Ἰάφεθ υἱῶν ἀπὸ μὲν τοῦ Γόμερ Ῥομαρεῖς οἱ νῦν Γαλάται, ἐκ δὲ τοῦ Μαγῶθ οἱ νῦν Σκύθαι, καὶ ἀπὸ Μάδου Μηδοί, ἐκ δὲ Ἰωνος Ἰωνεὺς καὶ οἱ λοιποὶ Ἑλληγες, ἐκ δὲ τοῦ Θόβελ Θοβηλοὶ οἱ νῦν Ἰβηρες, ἀπὸ δὲ Μεσχῶ Μεσχηνοὶ οἱ νῦν Καππαδόκες, διὸ καὶ Μάζακα ἢ παρ' αὐτοῖς μητρόπολις, ἀπὸ δὲ

ნოეს მესამე ვაჟს იაფეთს წილში ხვდა ქვეყნები, რომელთა სახელებია: მიდია, ალბანია, ამაზონისი არმენია, როგორც მცირე ისე დიდი, კაპადოკია, პაფლაგონია, გალატია, კოლხიდა, ბოსპორი, მეოტისი, დერბისი, სარმატისი, ტავრიანისი, ბასტრანისი, სკვითია, თრაკია, მაკედონია, დალმატია, მოლოსისი, თესალია, ლოკრისი, ბეოტია, ეტოლია, ატიკა, ახაია, პელენე, ეგრეთწოდებული პელოპონესი, არკადია, ეპიროტისი, ილირიისი, ლიხნიტისი, ადრიაკე რომლისაგანაც ადრიაკის ზღვის სახელი მომდინარეობს. მასვე მიეკუთვნა შემდეგი კუნძულებიც: ბრიტანია, სიცილია, ევბეა, როდოსი, ქიოსი, ლესბოსი, კითერა, ზაკინთოსი, კეფალენია, ითაკე, კერკირა და კიკლადები, და ერთი ნაწილი აზიისა ეგრეთწოდებული

იაფეთის ვაჟთაგან მომდინარეობენ: გომერისაგან – გომარელნი, რომელთაც ახლა გალატელები ეწოდებათ, მაგოთისაგან – ისინი, რომელთაც ახლა სკვითები ეწოდებათ, მადისაგან – მიდელნი, იონისაგან – იონელნი და დანარჩენი ელინები თობელისაგან – თობელეობი, რომელთაც ახლა

Θήρα Θράκες, ἀπὸ δὲ Θάρρου
Θαρσεῖς οἱ νῦν Κίλικες ἀφ' οὗ
καὶ Ταρσοῦ ἢ παρὰ Κίλιξ πό-
λις ἀξιολογώτατη¹ (Leonis Gram-
matici Chronographia: CB,
16—17).

ლები, რომელთაც ახლა კილიკიელები ეწოდებათ, ამისგან არის ტარსისი, კილიკიელების ღირსშესანიშნავი ქალაქი.

ი ბ ე რ ნ ი ეწოდებათ. მესხო-
ს ა გ ა ნ – მ ე ს ხ ე ბ ი, რომელთაც
ახლა კაპადოკიელები ეწოდებათ.
საიდანაც არის მაზაკა², მათი
დედაქალაქი; თერასაგან – თრა-
კიელები, თაროსისგან – თარსე-

იბერიელთა და სომეხთა გაქრისტიანება

Ἐπὶ αὐτοῦ πολλὰ τῶν ἐθ-
νῶν τὸν χριστιανισμὸν προσεδέξαν-
το, ἀπὸ τε Κελτῶν καὶ Γαλατῶν
τῶν ἐσπερίων, ἀλλὰ καὶ Ἴνδοι οἱ
ἐνδοτέροι, ἐπίσκοποι παρὰ Κων-
σταντινουπόλεως ἀποσταλέντες
πρὸς αὐτοὺς ἅμα μὲν καὶ ἐπὶ ἰσ-
τορίᾳ τῶν τόπων, ἅμα δὲ καὶ
τὴν πίστιν κηρύξαν. Ὡσαύτως
καὶ Ἰβηρες καὶ Ἀρμένιοι χρισ-
τιανίζουσιν, ἀρχὴν ἐκ Τηριδάτου
τοῦ ἐκ Πάρθων καταγομένου λα-
βόντες, καὶ Πέρσαι δμοίως ἐπὶ
Συμεῶν ἐπισκόπου Κτησιφῶντος·
μεθ' οὗ καὶ Οὐσταξάδης εὐνοῦ-
χος παιδαγωγὸς Σαβῶρου ἐμαρ-

მის (ე. ი. კონსტანტინეს)
დროს მრავალმა ტომმა მიიღო
ქრისტიანობა, როგორც კელტ-
თა ისე დასავლეთის გალატელ-
თაგან; აგრეთვე შინაგანმა ინდებ-
მა; მათთან კონსტანტინოპოლი-
დან გაგზავნილ იქმნენ ეპისკო-
პოსები, რომელთაც ერთი მხრით
ის ადგილები უნდა შეესწავლათ,
ხოლო მეორე მხრით სარწმუ-
ნოება ექადაგათ. აგრეთვე გა-
ქრისტიანდნენ ი ბ ე რ ი ე ლ ე ბ ი -
ც ა და ა რ მ ე ნ ი ე ლ ე ბ ი ც, რო-
მელთაც დასაბამი მიიღეს ტი-
რიდატესგან, პართელთა შთა-
მომავალისაგან: სპარსელებმაც

¹ ამ გენეალოგიურ სიაში ჩვენს ყურადღებას იპყრობს პირველ რიგში
ἀπὸ δὲ Μεσῶν Μεσχηνοὶ οἱ νῦν Καπυάδοι. აქ ბიბლიური Μεσοχ-ის ნაცვ-
ლად „მესხთა“ ტომის სახელი მოყვანილია სხვა ფორმით: ἀπὸ Μεσῶν. ჩვენ ამ-
ჟამად ვერაფერს ვიტყვით, თუ რატომ სწერია ბოლოში ὦ (იქნებ გადაშწერის
შეცდომა და უნდა ეწეროს ἀπὸ Μεσῶν ან Μεσχοῦ), მაგრამ ის კი
საყურადღებოა, რომ აქაც, მსგავსად იოსებ ფლავიოსისა, სწერია „მესხ...“ და
არა „მოსხ...“.

ფ ლ ა ვ ი ო ს ი	ლ ე ო ნ ი	ს ხ ვ ა ტ ე ქ ს ტ ე ბ ი თ
Μέσχου	Μεσῶ	Μοσῶχου
Μεσχηνοί	Μεσχηνοί	Μοσοχηνοί

ამის შესადარებელი მასალა იხ. ჩვენს გამოცემაში „გეორგიკა“, ტ. I, თბ.
1961, გვ. გვ. 34, 35, 271, 272.

² Μάζακα – მესხთა დედაქალაქი კაპადოკიაში. შდრ. გეორგიკა, ტ. I
(თბ, 1971 წ.), გვ. გვ. 34, 271, 272.

τέρησεν (Leonis Gram. Chronographia; CB, 89—90).

აგრეთვე მიიღეს გაქრისტიანება სვიმეონისგან, ქტესიფონტის

ეპისკოპოსისგან, რომელთან ერთადაც იწამა საჭურისი უსტაქსადე, საბორის (=შაპურის) მასწავლებელი.

იბერიელი კუროპალატი კონსტანტინოპოლში

Εἰχάδου δὲ Φεβρουαρίου μηνός, δεκάτης ἡμερικτιῶνος Θεοδώρα σύμβιος Ῥωμανὸς τελευτᾷ, καὶ κατετέθη τὸ σῶμα αὐτῆς ἐν τῷ οἴκῳ αὐτοῦ. Τῷ δὲ αὐτῷ μηνὶ στέφεται Σοφία ἡ τοῦ βασιλέως Χριστοφόρου γυνή. Τηνικαὶντα δὲ κουροπαλάτης Ἰβηρ ἐν τῇ πόλει παρεγένετο, καὶ διὰ μέσης διελεθῶν κεισομνημένης λαμπρῶς. Ὅν καὶ ἐν τῇ ἀγίᾳ τοῦ θεοῦ Σοφίᾳ εἰσήγαγον· καὶ τὸ κάλλος αὐτῆς καὶ τὸ μέγεθος θαυμάσιον, καὶ τὸν πολυτελεῖ κάσμιον ὑπερβασιμάσας, ἀμφὶς ὑπέστρεψεν εἰς τὰ ἴδια (Leonis Grammatici Chronographia; CB, 307).

თებერვლის თვის ოცში, ინდიქტიონის მეათე წელს, გარდაიცვალა რომანოზის მეუღლე თეოდორა, და მისი ნეშტი დასვენებულ იქმნა მის (რომანოზის) სახლში. იმავე დროს გვირგვინი დაიდგა სოფიომ, ქრისტეფორე მეფის ცოლმა. იმ ხანებში ქალაქში (ე. ი. კონსტანტინოპოლში) იყო იბერიელი კუროპალატი და გაიარა შუა ქალაქში, ბრწყინვალედ მორთულში. იგი (კუროპალატი) შეიყვანეს აგრეთვე წმ. სოფიოს ტაძარში; მან ნახა მისი სილამაზე და მისი სიდიდე და უადრესად განაცვიფრა იგი ტაძრის

მკირფასმა მორთულობამ; შემდეგ ის თავის ქვეყანაში გაბრუნდა უკან¹.

¹ ამ ნაწყვეტში მოთხრობილია, რომ 20 თებერვალს გარდაიცვალა რომანოზ ლეკაპენის (919 – 944) მეუღლე, დედოფალი თეოდორა, და რომ იმავე თვეში გვირგვინი დაიდგა ქრისტეფორე მეფის (რომანოზის შვილის) მეუღლემ სოფიომ. იმ დროს კონსტანტინოპოლში ჩასულა იბერთა კუროპალატი, რომელიც, როგორც სხვა წყაროები უმატებენ, დიდის პატივითა და დიდებით მიუღიათ (μετὰ δόξης πολλῆς καὶ τιμῆς ὑπεδέχθη).

ეს იბერიელი კუროპალატი არის აშოტი, რომელიც 922 წელს, მისი მამის ადარნასე კუროპალატის (ადარნასე I ქართველთა მეფის) გარდაცვალების შემდეგ, გაწვეულ იქმნა კონსტანტინეპოლში. იხ. „გეორგიკა“, IV, გვ. 329 – 333.

ეს ეპიზოდი მოჰყავს აგრეთვე გიორგი კედრენესაც: «თებერვლის თვის ოცში, მეათე ინდიქტიონში, გარდაიცვალა რომანოზის მეუღლე თეოდორა და დასაფლავებულ იქმნა მირელეოში; ხოლო დედოფლად (Αὐγυστα) იკურთხა ქრისტეფორე მეფის მეუღლე სოფიო.

«ხოლო ამ დროს იბერიიდან ჩამოვიდა იბერიელი კუროპალატი და მან რომ გაიარა შუა მოედანზე, რომელიც ბრწყინვალედ იყო მორთული, დიდის

ბაიბერდის ციხე-სიმაგრე

Ἄδριανὸς δὲ τὴν Χάλδον, πρὸς δὲ καὶ Τατζάτης Ἀρμένιος πλούσιος πάνυ, τῆ συνθήκῃ καὶ συμβουλῇ Βάρδα τοῦ Βοηλᾶ στρατηγούντος ἐν Χαλδίᾳ, τυραννίδα καὶ ἀνταρσίαν κατὰ Ῥωμανοῦ βασιλέως συσκευάζουσι, τὸ Παῖπερτε λεγόμενον ὄχυρωμα κατασχόντες· οὗς ὁ δομέστικος τῶν σχολῶν Ἰωάννης ὁ Κουρκούας καταπολεμήσας τοὺς μὲν κατέσχευεν, ὧν τοὺς περιφανεστέρους ἀποτύφλοι, τὴν οὐσίαν δημεύσας· Τατζάτης δὲ ἐν ἑτέρῳ ὄχυρωτάτῳ καστελλίῳ διαφυγὼν καὶ λόγον τοῦ μή τι κακὸν παθεῖν δεξιόμενος ἐν τῇ πόλει εἰσεληλύθει, καὶ τῆ τοῦ μαγγλαβίτου ἀξία τιμηθεὶς ἐν τῷ οἴκῳ τῶν Μαγγάων διητάτο τηρούμενος. Δρασμὸν δὲ βουλευσάμενος ἔλισκεται καὶ τῶν ὀμμάτων στερίσσεται. Βάρδαν δὲ τὸν Βοηλᾶν ἀπέχειραν μοναχόν (Leonis Grammatici Chronographia: CB, 308—309).

ერთმა ხალდეველმა, სახელად ადრიანემ, და ძალიან მდიდარმა არმენიელმა ტაძატემ, ხალდიის სტრატეგოსის ბარდა ვოილას რჩევითა და მასთან შეთანხმებით, მოაწყეს ტირანობა და აჯანყება რომანოზ მეფის წინააღმდეგ და დაიკავეს ეგრეთწოდებული ბ ა ი ბ ე რ დ ი ს ციხე-სიმაგრე; ისინი დაამარცხა ბრძოლაში სხოლათა დომესტიკმა იოანე კურკუამ და ზოგიერთები შეიპყრო; უფრო წარჩინებულებს მათ შორის თვალები დათხარა და ქონება ჩამოართვა. ხოლო ტაძატე სხვა ძალიან გამაგრებულ ციხეში გაიქცა და, როდესაც სიტყვა მისცეს ცუდი არაფერი შეგემთხვევაო, ქალაქში დაბრუნდა; მანკლავიტის წოდება მიიღო და მანგანის სასახლეში ცხოვრობდა ზედამხედველობის ქვეშ. გაქცევა რომ განიზრახა, შეიპყრეს და თვალები დათხარეს, ბარდა ვოილა კი ბერად აღკვეცეს.

პატივითა და დიდებით შეხვდრენ მას; იგი მეფემ გაგზავნა ღმრთის წმინდა სიბრძნეში (ე. ო. აია სოფიას ტაძარში), რათა ეხილა თავისი თვალით მისი სილამაზე და სიდიადე.

«ამიტომ ის წავიდა ტაძრის სიმშვენეირით განცვიფრებული და მისი ძვირფასი მორთულობით იმდენად გაკვირვებული, რომ თქვა: ჭეშმარიტად ღმრთის ბინა ყოფილა ეს წმინდა ადგილიო, და კვლავ თავის ქვეყანაში გაემგზავრა».

კედრენე-სკილიცეს ტექსტი განსხვავდება ყველა სხვა ტექსტისაგან თავისი ლექსიკური შემადგენლობით და ზოგიერთი დეტალით. ასე, მაგალითად:

- 1) რომ თეოდორა დამარხული იქნა მ ი რ ე ლ ე ო შ ი (ἐν τῷ Μυσελαίῳ), ეს მხოლოდ კედრენეს ტექსტშია (მირელეოს მონასტერი კონსტანტინოპოლში);
- 2) ახლად ნაკურთხ დედოფალ სოფიოს ეწოდება Ἀγυσῦτα, რაც არც ერთ სხვა ვარიანტში არაა.

გიორგი კედრენე

გიორგი კედრენე (Γεώργιος ὁ Κεδρητός) XI საუკუნის ქრონოგრაფოსია. იმ შრომას, რომელიც მისი სახელით არის მოღწეული, ეწოდება „ისტორიული მიმოხილვა“, ხოლო მისი სრული სათაურია: *Σύντομος ἱστοριῶν ἀρχομένη ἀπὸ κτίσεως κόσμου καὶ μέχρι τῆς βασιλείας Ἰσαὰκ τοῦ Κομνηνοῦ, συλλεγείσα παρὰ κήρου Γεωργίου τοῦ Κεδρηνοῦ ἐκ διαφόρων βιβλίων* – „ისტორიული მიმოხილვა, დაწყებული ქვეყნის გაჩენით და ვიდრე ისააკ კომნენეს მეფობამდე, შედგენილი უფალ გიორგი კედრენეს მიერ სხვადასხვა წიგნების მიხედვით“. ამ სათაურის მიხედვით გიორგი კედრენეს „ქრონოგრაფია“ წარმოადგენდა მსოფლიო ისტორიას ქვეყნის გაჩენიდან 1059 წლამდე (ისააკ კომნენე მეფობდა 1057 – 1059 წლებში).

თუ რის მიხედვით შეადგინა თავისი „ისტორიული მიმოხილვა“ გიორგი კედრენემ, ამის შესახებ ის თვითონ ლაპარაკობს თავისი შრომის შესავალში, სადაც ის აღნიშნავს, რომ „ბევრ ღვთისმოსავსა და ისტორიაში გათვითცნობიერებულ (φιλιστέραν) მოღვაწეს უმუშავია ისტორიული მიმოხილვის შედგენაში“, და პირველ რიგში იხსენიებს გიორგი სინგელოზს, თეოფანე ჟამთააღმწერელს და სხვებს, განსაკუთრებით კი პროტოვესტიარის იოანეს, მეტსასახელად თრაკესიელს. ეს იოანე არის იოანე სკილიცი (Σκυλίτζης), კუროპალატი და მცველთა დრუნგარი (δρουγγάριος τῆς βίγλας), რომელსაც დაწერილი ჰქონდა „ისტორიული მიმოხილვა“ 811 – 1079 წლების ამბებისა. რამდენადაც იოანე სკილიციც „ისტორიული მიმოხილვის“ ძირითადი ნაწილი შესულია გიორგი კედრენეს „მიმოხილვაში“, ხოლო თვით სკილიციც შრომის სრული ბერძნული ტექსტი ჯერ გამოვლენილი არ არის, ამდენად გიორგი კედრენეს ტექსტი დღემდე ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას.

ამგვარად, საქმის ვითარება ასეთია:

1) ჩვენს განკარგულებაში არის გიორგი კედრენეს სახელით მოღწეული „ქრონოგრაფია“, რომელიც შეიცავს მსოფლიო ისტორიას დასაბამიდან 1059 წლამდე.

2) გიორგი კედრენეს „ქრონოგრაფიის“ გარდა მოღწეულია 1059 – 1079 წლების „ისტორია“, რომელიც ეკუთვნის იოანე სკილიცეს, მაგრამ იოანე სკილიცეს მარტო ამ ოცი წლის „ისტორია“ კი არ დაუწერია, არამედ მის მიერ დაწერილი საისტორიო თხზულება მოიცავდა 811 – 1079 წლების ამბებს.

3) გიორგი კედრენეს თავისი „ქრონოგრაფიისათვის“ ძირითადად გამოუყენებია:

გიორგი სინგელოზი თეოფანე ჟამთააღმწერელი იოანე სკილიცე 811 – 1059 წლებისათვის.	}	დასაბამიდან 811 წლამდე
---	---	------------------------

4) რადგან იოანე სკილიცეს თხზულებიდან 811 – 1059 წლების „ისტორია“ უკვე შესული იყო მთლიანად გიორგი კედრენეს „ქრონოგრაფიაში“, ამიტომ გამომცემლებს არც კი უზრუნვიათ იოანე სკილიცეს შრომა გამოეცათ ცალკე; მხოლოდ 1059 – 1079 წლების შემცველ ნაწილს დაურთავდნენ ხოლმე კედრენეს შრომას ბოლოში და ამით კმაყოფილდებოდნენ.

5) ამგვარად, იოანე სკილიცეს შრომიდან 811 – 1059 წლების ისტორია შესულია გიორგი კედრენეს „ქრონოგრაფიაში“ (1059 წლის შემდეგ გიორგის არ დაუწერია), ხოლო 1059 – 1079 წლების „ისტორია“ ცალკეა დაბეჭდილი. მაშასადამე, ჩვენ არ მოგვეპოვება იოანე სკილიცეს შრომის სპეციალური გამოცემა და იძულებული ვართ დავკმაყოფილდეთ იმით, რაც კედრენეს შრომაშია შესული.

რაც შეეხება თვით იოანე სკილიცეს წყაროებს, დღეს-დღეობით გამორკვეულია ¹, რომ:

1) სკილიცემ თავისი „ისტორია“ დაგეგმა როგორც გაგრძელება თეოფანე ჟამთააღმწერელის „ქრონოგრაფიისა“, რომელიც 811 წლით ამთავრებდა ამბების თხრობას. ესე იგი: სკილიცემ 811 – 1079 წლების ისტორია დაწერა.

2) 811 წლიდან რომანოზ ლეკაპენის მეფობამდე, ე. ი. 944 წლამდე, სკილიცე სარგებლობს ე. წ. „თეოფანეს გაგრძელებით“ (Theophanes Continuatus), განსაკუთრებით კი გენესიოსის შრომით,

¹ ob. G. Ostrogorsky, Geschichte des Byz. Reiches, გვ. 147.

3) 944 წლის შემდგომი ამბები აღწერილი აქვს სკილიცეს, უპირატესად, იმ პირველწყაროების მიხედვით, რომლებიც ჩვენამდე მოღწეული არაა. ამიტომაც არის რომ სკილიცეს „ისტორიის“ ამ მონაკვეთს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

ზემოთქმულიდან ცხადია, თუ რამდენად გართულებულია კედრენე-სკილიცეს „ქრონოგრაფიით“ სარგებლობა: სანამ ხელთ არ გვექნება იოანე სკილიცეს „ისტორიის“ დადგენილი ტექსტი, შეუძლებელია ზედმიწევნით გარკვევა იმისა, თუ საიდან მომდინარეობს ამ „ისტორიის“ (ან კედრენეს „ქრონოგრაფიის“) ესა თუ ის ცნობა.

კონკრეტულად ჩვენ განსაკუთრებით დაინტერესებული ვართ კედრენე-სკილიცეს შრომის იმ ადგილით, რომელშიც მოთხრობილია ნიკიფორე ქსიფიასის და ნიკიფორე ფოკას ძის აჯანყების ამბავი ქართლის მეფესთან (გიორგი I-თან) დაკავშირებით და რომელიც გადმოცემული აქვს აგრეთვე „მატიანე ქართლისას“ ავტორს, ბერძნული და ქართული ტექსტების ურთიერთ მიმართების გარკვევა საშუალებას მოგვცემდა უფრო ზედმიწევნით გვცოდნოდა (ვიდრე დღეს ვიცით) როგორც კედრენე-სკილიცეს „ისტორიის“, ისე „მატიანე ქართლისას“ დაწერის თარიღები.

გამოყენებული გვაქვს შემდეგი გამოცემები და გამოკვლევები:

Georgins Cedrenus, Ioannis Scylitzae ope ab I manuele Bekero suppletus et emendatus. I – II. Bonnae 1838 – 39).

Migne, Patrologia Graeca, t. 121 – 122.

М. Сюзюмов, Об источниках Льва Диакона и Скилицы: Виз. Обзорение 2 (1916), 106 – 150.

Karl Praechter, Quellenkritische Studien zu Kedrenos SB der philosophisch-philologischen und der historischen Classe der Akademie (l. W. zu München. 1897. Bd. II, Heft. I, გვ. 106 – 150.

C. de Boor, Zu Iohannes Skylitzes BZ 13 (1904), 356 – 369.

C. de Boor, Weiteres zur Chronik des Skylitzes: BZ 14 (1905), 409 – 467; დამატება: 757 – 759.

Kurt Schweinburg, Die ursprüngliche Form der Kedrenochronik: BZ 30 (1929/30), 68 – 77.

В. Васильевский: Виз. Врем. 6 (1899). გვ. 45 – 49 (სკილიცეს წყაროების შესახებ).

იაფეტის სამფლობელო

Ἰάφεθ δὲ τῷ τρίτῳ αὐτοῦ
 υἱῷ, ἄγοντι ἔτος υκε', ἀπὸ Μη-
 θίας τὰ πρὸς ἄρκτον καὶ δυσμάς
 ἕως Γαδεΐρων καὶ Βρεττανικῶν
 νήσων Ἀρμενίαν, Ἰβηρίαν, Πόν-
 τον, Κόλχους καὶ τὰς κατ'
 Ἰόπην¹ χώρας καὶ νήσους ἕως
 Ἰταλίας καὶ Γαλλῶν, Ἰσπανίας
 τε καὶ Κελτιβηρίας καὶ Λυσिता-
 νῶν (CB I 24, 7—11).

ნობამდე, კელტიბერიაში და ლისიტანიაში² (CB I, 24, 7 – 11).

Αἱ δὲ χῶραι αὐτῶν Μηθία,
 Ἀλβανία, Ἀρμενία μικρὰ
 καὶ μεγάλη, Ἀμαζονίς, Παφλα-
 γονία, Καππαδοκία, Γαλατία,
 Κολχίς, Βοσπορηνοί, Μαιῶτις,
 Δέρρις, Σαρματία, Ταυριανοί,
 Βακτριανοί, Σκυθία, Θράκη, Μα-
 κεδονία, Ἑλλάς, Θετταλία, Βοιω-
 τίς, Λοκρία, Αἰτωλία, Ἀχαΐα,
 Πελοπόννησος, Ἀκαρνανία, Ἡπει-
 ρῶται, Ἰλλυρίς. Λυχνίται, Ἀδ-
 ριακὴ, ἀφ' ἧς τὸ Ἀδριατικὸν πέ-
 λαγος ἐκλήθη, Καλαβρία, Ἰτα-
 λία, Γαλλία, Θουσκηνή, Λυσिता-
 νία, Κελτική, Μασσαλία, Κελτο-
 γαλλία, Ἰβηρία, Ἰσπανία ἢ με-
 γάλῃ καὶ μικρᾷ. Ἐνταῦθα κατα-
 λήγει τὰ ἔθνη τοῦ Ἰάφεθ, ἕως
 Βρεττανικῶν νήσων τὰ πρὸς βορ-
 ρᾶν βλέποντα. Ἔχει δὲ νήσους

ნოემ თავის მესამე ვაჟს ია-
 ფეთს, რომელიც 425 წლისა
 იყო, მისცა ჩრდილოეთისა და
 დასავლეთის ქვეყნები მიდიიდან
 ვიდრე დადირთამდე და ბრიტა-
 ნიის კუნძულებამდე, არმენია,
 იბერია, პონტო, კოლხეთი
 და მათ იქით მდებარე 1 ქვეყნე-
 ბი და კუნძულები ვიდრე იტა-
 ლიამდე და გალიებამდე, ისპა-

მათი ქვეყნები კი შემდეგია:
 მიდია, ალბანია, მცირე და დიდი
 არმენია, ამაზონისი, პაფლაგო-
 ნია, კაპადოკია, გალატია, კოლ-
 ხისი, ბოსპორინი, მეოტისი, დერ-
 რისი, სარმატია, ტავრიანი, ბაკ-
 ტრიანი 3 სკვითია, თრაკია, მა-
 კედონია, ჰელლასი, თეტალია,
 ბეოტისი, ლოკრია, ეტოლია,
 აქაია, პელოპონნესი, აკარნანია,
 ილიირისი, ლიხნიტისი, ადრია-
 კე, საიდანაც მოდის სახელწო-
 დება ადრიატიკის ზღვა, კალაბ-
 რია, იტალია, გალლია, თუსკი-
 ნე, ლისიტანია, კელტიკე, მასსა-
 ლია, კელტოგალია, იბერია, დი-
 დი და მცირე ისპანია, აქ თავსდე-
 ბა, იაფეთის საზღვრები, ვიდრე
 ბრიტანიის კუნძულებამდე, ჩრდი-
 ლოეთისაკენ. ამ საზღვრებში შე-

¹ κατ' Ἰόπην – ასეა დაბეჭდილ ტექსტში: უნდა იყოს κάτοπιν („იქით მდებარე“).

² ეს ცნობა კედრენეს მიერ მთლიანად ამოღებულია გიორგი სინგელოზის „ქრონოგრაფიიდან“ (იხ. გეორგია IV, გვ. 60).

³ Βαστάνη გიორგი სინგელოზი.

Βρεττανίαν, Σικελίαν, Εἰβόριαν, Ῥόδον, Χίον, Λέσβον, Κύθηραν, Ζάκυνθον, Κεφαληγίαν, Ἰθάκην, καὶ τὰς Κυκλάδας, καὶ μέρος τῆς Ἀσίας τὴν Ἰωνίαν καλουμένην, ποταμὸν δὲ Τίγγριν, διορίζοντα μεταξὺ Μηθίδας καὶ Βαβυλωνίας (CB I 25, 8—22).

ვარს წარმოადგენს ¹ (CB I, 94, 8 – 22).

დის კუნძულები ბრეტანია, სიკელია, ევბეა, როდოსი, ქიოსი, ლეზბოსი, კითერა, ზაკინთოსი, კეფალენია, ითაკე და კიკლადები და აზიის ერთი ნაწილი, ეგრეთწოდებული იონია, აგრეთვე მდინარე ტიგროსი, რომელიც მიდიისა და ბაბილონის საზღ-

არგონავტების ლაშქრობა კოლხეთში

Ἐν τοῖς χρόνοις τῶν κριτῶν καὶ οἱ Ἀργοναῦται οἱ περὶ Ἰάσονα τὸν Θεσσαλονικέα καὶ Πολυδεύκην καὶ Ἰλῆαν καὶ Τελαμῶνα καὶ τοὺς λοιποὺς πρὸς τὴν Κολχίδαν ἐκπλέοντες, καὶ διὰ τοῦ ἀνάπλου πρὸς πῆγ Ποντικὴν θάλασσαν διαβῆναι θέλοντες ἀντιστάντος αὐτοῖς Κυζίκου τοῦ ἐν Ἑλλησπόντῳ τοπαρχοῦντος ἐν ναυμαχίᾳ, τὸν μὲν ἐφόνευσαν, τὴν δὲ Κυζίκον ἔλαβον, μητροπολιν οὖσαν Ἑλλησπόντου (CB I, 209, 10—16).

Μετὰ δὲ τὴν νίκην Ἀμύνκου οἱ Ἀργοναῦται μεθ' Ἡρακλέους ἐπὶ τὴν Ποντικὴν θάλασσαν ἐκπλεύσαντες πόλιν ἐδείμαντο ἐπὶ τῷ τοῦ Ἡρακλέους ὀνόματι. Εἶτα διὰ τὸ χρυσοῦν δέρας ἐπὶ τὴν Κολχίδαν διαπεράσαντες αὐτὸ τε καὶ Μῆδειαν τὴν τοῦ βασιλέως Κολχίδος θυγατέρα, Ἰάσο-

იმ დროს, როდესაც მსაჯულნი მეთაურობდნენ ისრაელს, კოლხეთში გასცურეს სალამქროდ არგონავტებმა იაზონ თესალიელის, პოლიდეკეს, პილასის, ტელამონის და სხვათა მეთაურობით, და როდესაც დააპირეს სრუტის გავლის შემდეგ პონტოს ზღვაში გადასვლა, მათ წინააღმდეგობა გაუწია საზღვაო ბრძოლით ჰელესპონტის მმართველმა კვიზიკოსმა და არგონავტებმა იგი მოკლეს, ხოლო ჰელესპონტის დედაქალაქი კვიზიკი დაიპყრეს.

ამიკოსი რომ დაამარცხეს, არგონავტებმა შესცურეს პონტოს ზღვაში და დააარსეს ქალაქი, რომელსაც ჰერაკლეს სახელი მიაკუთვნეს. შემდეგ ოქროს ტყავის (ე. ი. საწმისის) გულისთვის კოლხეთში გაემართნენ და ოქროს საწმისთან ერთად მოიტაცეს კოლხეთის მეფის ასუ-

¹ ამოღებულია გიორგი სინგელოზის „ქრონოგრაფიიდან“ (იხ. გეორგიკა IV, გვ. 63).

νος ἐρασθεῖσαν, ἀνελόμενοι ἵπες-
τραψαν. Τότε καὶ Τρῶς τῆς Φρυ-
γῶν χώρας ἦρχεν, ὁ Ἴλου καὶ
Γανυμήδους πατήρ (CB I, 210,
20,—211, 3).

ლი მედეაც, რომელსაც იაზონი
შეუყვარდა, და უკან დაბრუნდ-
ნენ. მაშინ ფრიგიელთა ქვეყანას
მართავდა ტროსი, ილოსის და
განიმედეს მამა.

ჰერაკლეს მოგზაურობა კოლხეთში

Ἡρακλῆς δὲ καὶ αὐτός, ὁ
τοῖς ἄθλοισι πολυμήρηνος, μετὰ
τὴν ἀπὸ Κολχίδος μετὰ τῶν Ἀρ-
γωναυτῶν ὑποστραφὴν ἐν Λιβύῃ
γενόμενος καὶ Ἀνταίφῃ συμβαλὼν
δαίμονι ὄδη τινὰ καὶ μυσσάρῃ φάσ-
μάτα τελοῦντι, καὶ νικήσας αὐ-
τὸν νόσφῃ λοιμῶδε περιπίπτει,
καὶ μαγεὶς εἰς πῦρ ἕαυτὸν ῥίψας
τελευτᾷ (CB I 214, 16—20).

გადავარდა და მოკვდა (CB I 214, 16 – 20).

ჰერაკლე, რომლის საგმირო
საქმეები საყოველთაოდ განთქ-
მულია, არგონავტებთან ერთად
კოლხეთიდან დაბრუნების
შემდეგ¹ ლიბიაში იყო; აქ ის
შეხვდა ანტეოსს, რომელიც რა-
ღაც „დემონიურსა და სამაგელ
ამბებს სჩადიოდა, და იგი რომ
დაამარცხა, გადამდებ სენს შე-
ეყარა, გაცოფებული ცეცხლში

კასპიის კარები

Τῷ κα' ἔτει Οὐγγοὶ οἱ λεγό-
μενοι Σαβήρ, τὰς Κασπίας

ოცდამეხუთე წელს² ეგრეთ-
წოდებულმა საბირის ჰუნებმა გა-

¹ თანახმად არგონავტების შესახებ არსებული მითისა, იმ 50 მოლაშქრე-
ში, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს იაზონის მოგზაურობაში ოქროს საწმი-
ლის მოსაპოვებლად, იყო ცნობილი ღმერთ-გმირი პერაკლეც.

² ეს ნაწყვეტი ეხება ანასტასი I-ის დროინდელ ამბებს. ანასტასი მეფობ-
და 491 – 518 წლებში. მისი მეფობის 25-ე წელი ხვდება 516 წელს. სწორედ ამ
დროისათვის არის აღწერილი ისტორიკოსთა მიერ საბირის ჰუნთა შემოსევა
(იხ. იოანე მალალას ცნობა: გეორგიკა, ტ. III, გვ. 270 – 271; აგრეთვე გვ.
296 – 297). ამ ჰუნთა შემოსევის ამბავი, ისევე როგორც ყოფილ პატრიარქ მა-
კედონიოსის უკანასკნელი წლების თავგადასავალი (მისი გადასახლება ევხაიტა-
ში, განგრანში გაქცევა და მისთვის თვალყურის დევნება) სწორედ ისევე, რო-
გორც კედრენეს, გადმოცემული აქვს თეოფანე უამთაალმწერელს
(„ქრონოგრაფია“, დე ბლორის გამოცემა გვ. 161 – 162), რომელიც კედრენეს წყა-
როს უნდა წარმოადგენდეს.

მაკედონიოსის შესახებ დაწვრილებით აქვს მოთხრობილი ი. კულაკოვი-
სკის (История Византии, том I, Киев 1913, გვ. 497 და შდრ. განსაკუთრე-
ბით გვ. 513).

πύλας περάσαντες, τὴν Ἀρμενίαν ἐξέδραμον, Καππαδοκίαν τε καὶ Γαλατίαν καὶ Πόντον λεγόμενοι, ὡς καὶ τὰ Ἐδχάϊτα μικροῦ παραστήσασθαι· ἔθεν καὶ φυγῶν ὁ ἱερός Μακεδόνιος σχεδὸν κινδυνεύων εἰς Γάγγραν διεσώθη. "Ὅπερ μαθὼν Ἀναστάσιος πικρῶς αὐτὸν ἐκεῖ προσέταξεν φυλάττεσθαι, πέμψας, ὡς φασίν, καὶ τὸν ἀναίρησοντα αὐτόν (CB I, 633, 3—9).

ბენ, კაციც გაგზავნა იქ მის მოსაკლავად.

დალახეს კასპიის კარები³ და სომხეთის გზით თავს დაესხნენ და დაარბიეს კაპადოკია, გალატია და პონტო, ცოტალა დააკლდა, რომ კინალამ ევხაიტაც დაიმოხილეს; საფრთხეში ჩავარდნილი წმინდა მაკედონიოსი აქედან გაიქცა და თავს უშველა განგრაში. ეს რომ შეიტყო ანასტასიმ, ბრძანება გასცა მისთვის იქ ფხიზლად ედევნებინათ თვალყური და, როგორც ამბობენ,

ლაზთა მეფე წათე

Ἰουστίνος ὁ μέγας βασιλεὺς Ῥωμαίων ἔτη θ'. (CB I, 636).

Τῷ ε' ἔτει Τζάθιος ὁ τῶν Λαζῶν βασιλεὺς ἀποστατήσας τῆς τῶν Περσῶν βασιλείας ἤλθε πρὸς Ἰουστίνον εἰς τὸ Βυζάντιον, καὶ παρεκάλεσε γενέσθαι χριστιανὸν καὶ ἵπ' αὐτοῦ ἀναγορευθῆναι βασιλέα τῶν Λαζῶν. "Ὁ καὶ μετὰ χαρᾶς ἐποίησε καὶ σὺν ἀνηγόρευσε, καὶ γυναῖκα εὐγενῆ Ῥωμαίαν δέδωκεν, ἣν καὶ εἰς τὴν ἰδίαν χώραν ἀπεκόμισε μετὰ χαρᾶς, καὶ δῶρα ἔλαβε πολλά.

რომაელთა დიდი მეფე იუსტინე მეფობდა ცხრა წელს (518 – 527).

იუსტინეს მეფობის მეხუთე წელს² ლაზთა მეფე წათე ჩამოშორდა სპარსთა ძალაუფლებას და მოვიდა იუსტინესთან ბიზანტიონში; მან სთხოვა იუსტინეს ქრისტიანობა მიმალებინეო და ლაზთა მეფედ დამამტკიცეო³. იუსტინემ ეს სიხარულით შეურულა: იშვილა კიდევაც წათე და კეთილშობილი რომელიც ქალიც მისცა, რომელიც წათემ თავის ქვეყანაში წაიყვა სიხარულით.

¹ კასპიის კარების შესახებ იხ. ჩვენი გეოგრაფია, ტ. II (1934), გვ. 99 – 101; 201 – 203; აგრეთვე გეოგრაფია, ტ. I (1961), გვ. 256 – 260, 274 – 276. ი. კ. უ. ლ. ა. კ. ვ. ს. კ. ი. ს. აზრი (იხ. ამის წინა შენიშვნა) ზემომოყვანილ ტექსტში იგულისხმება დარუზანდის კარი.

² ესე იგი 523 წელს.

³ სიტყვა-სიტყვით: ქრისტიანი გამხადეო, და ლაზთა მეფედ გამომაცხადეო.

Γνοὺς δὲ τοῦτο Καβάδης
 θελοῖ Ἰουστίνῳ ὅτι φιλικῶς καὶ
 εἰρηγῆς μεταξὺ ἡμῶν οὐσης τὰ
 ἐχθρῶν πράττεις καὶ τοὺς ὑπὸ
 τὴν ἐξουσίαν τῶν Περσῶν ὄντας
 προσλαμβάνῃ.

Ὁ δὲ βασιλεὺς ἀντιδηλοῖ
 αὐτῷ: „ἡμεῖς τινὰ τῶν ὑποκειμέ-
 νων τῇ βασιλείᾳ σου οὐ προσε-
 λαβόμεθα. Ὁ δὲ Τζάθოს προσ-
 ῆλθεν ἡμῖν...¹ ρუსθηγαί τοῖς μ-
 σαροῦ ἐλληγισμοῦ καὶ τῶν ἀσε-
 βῶν φουσιῶν καὶ τῆς τῶν δαιμό-
 νων πλάνης καὶ γενέσθαι Χρισ-
 τιστῆς, καὶ τὸν ἀληθῆ ἐπιγῶναι
 θεόν. Τοῦτον ἡμεῖς βαπτίσαντες
 ἀπελύσαμεν εἰς τὴν ἰδίαν χώραν“.

Ἐκτοτε λοιπὸν πάλιν γέγο-
 νε ἔχθρα μεταξὺ Ῥωμαίων καὶ
 Περσῶν² (CB I, 638, 17 – 639, 7).

ლეთ და ისე გავისტუმრეთ მის საკუთარ ქვეყანაშიო.

აი, ამ დროიდან დაიწყო მტრობა რომაელებსა და სპარსე-
 ლებს შორის.

რულით; მან დიდძალი საჩუქრე-
 ბიც მიიღო,

ეს რომ გაიგო სპარსელთა მე-
 ფემ კავადმა, შეუთვალა იუსტი-
 ნეს: „თუმცა ჩვენ შორის მეგობ-
 რობა და ზავია, შენ მაინც
 მტრულად იქცევი; შენ ივარებ
 სპარსთა ძალაუფლების ქვეშ
 მყოფთ“.

მეფემ (*იუსტინემ*) მას უპასუ-
 ხა: „ჩვენ შენი სახელმწიფოს
 ქვეშევრდომთაგან არავინ გად-
 მოგვიბირებია. ხოლო წათე მო-
 ვიდა ჩვენთან [და გვთხოვა]¹
 გვეხსნა იგი სახიზლარი წარმარ-
 თობისაგან, უწმინდური მსხვერ-
 პლებისაგან და ეშმაკთა ცთუნე-
 ბისაგან, და გაგვექრისტიანები-
 ნა იგი, რათა შეეცნო ჭეშმარი-
 ტი ღმერთი. ჩვენ ის მოვნათ-

¹ [და გ ვ თ ხ ო ვ ა] ჩვენი კონიექტურაა; მას უთუოდ შეესაბამებოდა ბერძ-
 ნულ ტექსტში *καὶ ἐδεήθη*, რაც, ალბათ, გადამწერის დაუდევრობით არის გა-
 მორჩენილი. თეოფანე ჟამთააღმწერლის „ქრონოგრაფიაში“ ამ ადგილას სწე-
 რია: *ἐλθόντος Τζαθίου εἰς τὰ ἡμέτερα βασίλεια ἐθεήθη προσπιπτῶν ἡμῖν
 εὐσεβῆται μισαροῦ καὶ ἐλληγιστοῦ δόγματος καὶ ἀσεβῶν φουσιῶν καὶ πλάνης
 δαιμόνων...* (de Boor 169; გეორგიკა IV, 1 გვ. 79).

² ეს ეპიზოდი 525 წელს ლაზთა მეფის წათეს ჩასვლის შესახებ ბიზან-
 ტონში (ე. ი. კონსტანტინოპოლში) და მისი გაქრისტიანების შესახებ გადმო-
 ცემული აქვთ ი ო ა ნ ე მ ა ლ ა ლ ა ს (გეორგიკა III, 263 – 268), *Chronicon Pa-
 schale*-ს (გეორგიკა IV, 1, 11 – 12), და თ ე ო ფ ა ნ ე ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ს
 (გეორგიკა IV, 1, გვ. 77 – 79). ტექსტების შედარება გვარწმუნებს იმაში, რომ
 კედრენეს წყარო თეოფანე უნდა იყოს. ამას წინა შენიშვნაში მოყვანილი ტექს-
 ტიც (თეოფანეს „ქრონოგრაფიიდან“) გვარწმუნებს ამაში.

ზემომოყვანილ ნაწყვეტში მოთხრობილია იმის შესახებ, რომ ლაზთა მე-
 ფე წათე 523 წელს ჩავიდა იუსტინესთან, სთხოვა მას დახმარება სპარსელების
 წინააღმდეგ და ქრისტიანად მონათვლაც. ქრონოგრაფოსების ეს ცნობა გახდა

სპარსელების ლაშქრობა ლაზების წინააღმდეგ

Κόσμος ἔτος, ἡμέρα, τῆς
 θείας σαρκώσεως φησὶ. Ἰουστινιανὸς
 ὁ μέγας βασιλεὺς Ῥωμαίων
 ἔτη λη' μῆνας ζ' ἡμέρας ἔγ' (CB I,
 642, 10—11).

Τῷ δ' αὐτῷ ἔτει ὁ βασι-
 λεὺς Περσῶν ἐπολέμει Τζάθφ ὡς
 προσρῦντι Ῥωμαίοις. Πέμπει οὖν
 αὐτῷ Ἰουστινιανὸς βοήθειαν στρα-
 τὸν καὶ στρατηγούς τρεῖς, Βελι-
 σάριον, Κήρυκον καὶ Πέτρον, οἱ
 καὶ κατὰ φθόνον ἀλλήλων πολε-
 μήσαντες ἠττήθησαν. Δυπηθεὶς
 οὖν ὁ βασιλεὺς αὐτούς μὲν διεδέ-
 ξατο, ἀπέστειλε δὲ Πέτρον τὸν
 νοτάριον αὐτοῦ στρατηλάτην. Καὶ
 συμβαλὼν μετὰ τῶν Λαζῶν τοῖς
 Πέρσαις ἐνίκησε καὶ πολλοὺς ἀνεῖ-
 λεν (CB I 643, 3—9).

ნა სტრატელატად. პეტრე ლაზებთან ერთად შეებრძოლა სპარსე-
 ლებს, დაამარცხა ისინი და მრავალი სპარსელი გაჟლიტა (CB I,
 643, 3 – 9).

წყარო იმ დებულებისა, რომელიც მიღებულია თანამედროვე ქართულ ისტო-
 რიოგრაფიაში და რომლის მიხედვითაც დასავლეთი საქართველო ქრისტიანობა-
 ზე მოიქცა VI საუკუნეში (523 წელს). რომ სხვა წყაროები ამ დებულების სა-
 წინააღმდეგო ცნობებს გვაწვდიან და რომ ქრისტიანობა დასავლეთ საქართვე-
 ლოშიც IV საუკუნეში ჩანს უკვე ოფიციალურ სარწმუნოებად, ამის შესახებ
 იხ. გეორგიკა I (1961). გვ 243 – 248.

¹ ე. ი. იუსტინიანეს გამეფების წელს, 527 წელს.

² „პეტრეს“ ნაცვლად ყველა დანარჩენი წყარო (მალალა, Chr. Paschale)
 მესამე სტრატეგოსად ასახელებს Εἰσηγατος-ს (იხ. გეორგიკა III 257: IV 14 –
 15, 79). საფიქრებელია, რომ თვით კედრენეს ან ხელნაწერის გადამწერს შეც-
 დომა მოუვიდა და მომდევნო წინადადებაში დასახელებული „ნოტარი 3 ე ტ-
 რ ე ს“ სახელი აქ გადმოიტანა.

დასაბამითგან 6021 წელს,
 ღვთაების განკაცებითგან 527
 წელს გამეფდა იუსტინიანე. რო-
 მელთა დიდმა მეფემ იუსტინია-
 ნემ იმეფა 38 წელი, 7 თვე და
 13 დღე.

ამავე წელს ¹ სპარსთა მეფემ
 ომი დაუწყო წათეს იმის გამო,
 რომ უკანასკნელი რომელთა
 მხარეზე გადავიდა, იუსტინია-
 ნემ გაუგზავნა წათეს დასახმა-
 რებლად ჯარი სამი სტრატეგო-
 სის – ველისარის, კვირიკეს და
 პეტრეს 2 მეთაურობით. ესენი
 ომის დროს ერთმანეთის ჯიბრ-
 სა და შურს მოუხდნენ და ამი-
 ტომ დამარცხდნენ. ამით ნაწ-
 ყენმა მეფემ ისინი გადააყენა და
 თავისი ნოტარი პეტრე გაგზავ-

იბერთა მეფე ძამანარძე

Τῷ ἡ' ἔτει ὁ τῶν Ἰβήρων βασιλεὺς Ζαβαναρζὸς πρὸς Ἰουστινιανὸν τὸν βασιλέα ἦλθεν ἐν Κωνσταντινουπόλει μετὰ τῆς γυναικὸς καὶ τῶν συγκλητικῶν αὐτοῦ, αἰτούμενος σύμμαχος Ῥωμαίων καὶ φίλος γνήσιος γενέσθαι. Ὁ δὲ βασιλεὺς τοῦτο ἀποδέξάμενος πολλὰ αὐτῷ τε καὶ τῇ συγκλήτῳ αὐτοῦ ἐφιλοτιμήσατο. Καὶ ἡ Αὐγουστα δὲ τῇ γυναικὶ αὐτοῦ κόσμια παντοῖα διὰ μαργαριτῶν ἐχαρίσατο, καὶ ἀπέλυσεν αὐτοὺς ἐν εὐρήγῃ εἰς τὴν ἰδίαν βασιλείαν¹ (CB I, 650, 17—23).

იუსტინიანეს მეფობის მერვე წელს¹ იბერთა მეფე ძამანარძე მოვიდა კონსტანტინოპოლში იუსტინიანე მეფესთან თავისი მეუღლითა და დარზაისლებითურთ, და სთხოვდა გაეხადა იგი რომაელთა მოკავშირედ და ჭემმარიტ მეგობრად, ხოლო მეფემ (*იუსტინიანემ*) შეიწყნარა ეს მისი თხოვნა და დიდი პატივი სცა მასაც და მის დარზაისლებსაც. დედოფალმაც აჩუქა მის მეუღლეს მრავალნაირი სამკაულები, მარგალიტებით მოჭედილი, და გაისტუმრა ისინი მშვიდობით მათ საკუთარ სახელმწიფოში.

* * *

კედრენეს ამ ცნობით, რომლის წყაროა თეოფანე ჟამთააღმწერელი, 535 წელს ქართლს მეფე ჰყავს და ეს მეფე (ძამანარძე) კონსტანტინოპოლში მიდის იბერიის სახელმწიფო საქმეების მოგვარების მიზნით. რადგანაც პროკოპი კესარიელს ნათქვამი აქვს რომ 523 წლის შემდეგ სპარსელებმა «ქართველებს ნება აღარ მისცეს საკუთარი მეფე ჰყოლოდათ და მეფობა გააუქმესო», ქართულ ისტორიოგრაფიაში განმტკიცდა ის აზრი, რომ 523 წლის შემდეგ ქართლს მეფე აღარ ჰყავს. იოანე მალალას და თეოფანე ჟამთააღმწერლის (და აქედან მომდინარე კედრენეს) ცნობასაც

¹ ესეიგი 535 (527+8) წელს.
² იბერთა მეფის ძამანარძეს შესახებ მოთხრობილი აქვთ აგრეთვე იოანე მალალას (იხ. გეორგიკა III, 268) და თეოფანე ჟამთააღმწერელს (იხ. გეორგიკა IV, 1, გვ. 80). გიორგი კედრენეს ტექსტი თითქმის სიტყვა-სიტყვით ემთხვევა თეოფანეს ტექსტს; მათ შორის მხოლოდ უმნიშვნელო განსხვავებაა, მაგალითად:

თეოფანე	კედრენე
ἐπιβήσαντον βασιλέα	βασιλέα
παραικλῶν	αἰτούμενος
προσείρετον ἀποδέξάμενος	τοῦτο ἀποδέξάμενος
τοὺς αὐτοῦ συγκλητικοὺς	τῇ συγκλήτῳ αὐτοῦ

გარდა ამ აღნიშნული ადგილებისა, ტექსტები ემთხვევა ერთიმეორეს.

ჩვენი ისტორიკოსები არავითარ ანგარიშს არ უწევენ. 1941 წელს, თეოფანე ჟამთააღმწერელის „ქრონოგრაფიის“ ტექსტიდან ამოღებულ საქართველოს შესახები ცნობების გამოქვეყნების დროს, ჩვენ ვრცელი მსჯელობა გავმართეთ VI საუკუნის იბერიაში მეფობის გაუქმების საკითხის გარშემო (იხ. გეორგიკა, ტ. IV, ნაკვეთი I, გვ. 80 – 84). რამდენადაც ამ საკითხს, ჩვენის აზრით, დღესაც არ დაუკარგავს თავის მნიშვნელობა, საჭიროდ ვთვლით აქაც გავიმეოროთ ის მსჯელობა.

სამეცნიერო ლიტერატურაში განმტკიცებულია ის აზრი, რომ 523 წლის შემდეგ ქართლში მეფობა გაუქმდა. „მას შემდეგ, რაც ქართველები გურგენ მეფის მეთაურობით სპარსელებს აუჯანყდნენ, და ბიზანტიის მფარველობას მიჰმართეს, მაგრამ კეისრის მხრივ პირობის აუსრულებლობის გამო ძლეულ იქნენ, ხოლო სამეფო სახლობა და ამბოხების მოთავე დიდებულები იძულებული იყვნენ ბიზანტიაში გაქცეულიყვნენ, ამის შემდგომ სპარსელებმა, როგორც პროკოპი კესარიელი მოგვითხრობს, ქართველებს ნება აღარ მისცეს საკუთარი მეფე ჰყოლოდათ და მეფობა გააუქმეს“ (ივ. ჯავახიშვილის ქ. ერის ისტ. (1⁵, 245). „ქართლში მეფობის უფლება გაუქმდა მაშინვე, როცა გურგენი თავისი შვილითა და სახლობით ბიზანტიაში გაიხიზნა, ესე იგი 523 წ., მაგრამ საბოლოოდ ეს გაუქმება 532 წლის „საუკუნო ზავის“ ხელშეკრულებამ დააკანონა“ (იქვე, 246),

მაგრამ ამ აზრს თითქოს ეწინააღმდეგება ბიზანტიელი ისტორიკოსების ორი ცნობა. იოანე მალალა წერს: „ამ ხანებში, როგორც ზემოთ ვთქვი, მეფობდა დმრთეებრი იუსტინიანე. ხოლო სპარსელთა მეფე იყო კოადი დარასთენი, ძე პეროზისა, რომში კი აღარიხი... აფრიკის მეფე იყო გილდერიხი... ხოლო ივერიელთა – **ზამანაზი** (CB 429, 10 – 15; გეორგიკა III, 268). ხოლო თეოფანე ჟამთააღმწერელის ცნობით 535 წელს კონსტანტინებოლში ჩასულა «იბერიელთა მეფე **ძამანარძე**».

ი. მარკვარტი (Streifzüge, 432) ფიქრობს, რომ მალალას ცნობა ეკუთვნის იუსტინიანეს მეფობის პირველ წელს, ხოლო თეოფანეს ცნობა – თანახმად ქრონოგრაფში მოცემული თარიღისა – 535 წელს, და ამბობს; „მალალას ცნობა რომ არ ყოფილიყო, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ძამანარძე გურგენ მეფის ძმა იყო, რომელიც ზავის დადების შემდეგ [32 წ.] დაბრუნდა და სპარსელების მიერ «მამასახლისად» იქნა დაყენებული».

ი. ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ამბობს: „აღბათ გაქცეული მეფის გურგენის მოადგილედ იბერიაში ძამანარსე დამჯდარა, რომელიც 527 წ. კონსტანტინოპოლში წასულა... და იუსტინიანე კეისრისთვის აღუთქვამს რომაელების მოკავშირეები და მეგობრები ვიქნებითო“ (ქ. ერის ისტ. I⁵, 244), ხოლო იქვე შენიშვნაში დასძენს: „ცნობა ძალიან საეჭვოა იმიტომ, რომ ძამანარსე ახლად გაქრისტიანებულად არის მოხსენებული და განა ამის თქმა ქართლის მეფეზედ შეიძლებოდა? იქნებ იგი იბერიის მეფე არც-კი ყოფილიყოს“.

არც მ ა ლ ა ლ ა ს და არც თ ე ო ფ ა ნ ე ს ტექსტებიდან არ ჩანს, რომ ძამანარძე „ახლად გაქრისტიანებული“ იყოს; არც ის არის სწორი, თითქოს ეს ამბავი მომხდარიყოს 527 წელს, რადგან თეოფანეს თარიღებში „ქრისტესით“ თვლაში ყველგან მისამატებელია 8 წელი, ვინაიდან თეოფანე პანოდორეს წელთაღრიცხვით ანგარიშობს; თანაც თეოფანეს იქვე აქვს აღნიშნული, რომ ეს მოხდა იუსტინიანეს მეფობის მე-8 წელს, ე. ი. (527+8=) 535 წელს.

ი. მ ა რ კ ვ ა რ ტ ი ს ექვი, თითქოს მ ა ლ ა ლ ა ს ცნობა ხელს გვიშლიდეს იმაში, რომ თ ე ო ფ ა ნ ე ს ცნობის მიხედვით რაიმე დასკვნა გამოვიტანოთ ძამანარძეს შესახებ, უსაფუძვლოა. იოანე მალალა გადმოგვცემს, თუ სხვადასხვა ქვეყანაში ვინ მეფობდა იუსტინიანეს მეფობის დასაწყისში. სახელდობრ;

სპარსეთში – კოადი (488 – 531)
რომში – (ათ)ალარიხი 526 – 534)
აფრიკაში – ჰილდერიხი (523 – 530)
ივერიაში – ძამანარძე.

ამ ცნობაში თეოფანეს ცნობის საწინააღმდეგო არაფერია. მ ა ლ ა ლ ა გვიამბობს, რომ 527 – 530 წლებში იბერიის მეფე იყო ძამანარძე, ხოლო თ ე ო ფ ა ნ ე გადმოგვცემს, რომ ეს მეფე ძამანარძე 535 წელს კონსტანტინეპოლში ჩასულა იუსტინიანე მეფესთან. რომ მალალას და თეოფანეს ცნობები ერთსა და იმავე ამბავს ეხებოდეს, შეიძლებოდა კაცს ეფიქრა, რომ ერთხელ მალალას მიერ დაშვებული შეცდომა ბრმად იქმნა განმეორებული თეოფანეს მიერ. მაგრამ ამ ორი ტექსტის შესწავლა უეჭველპყოფს, რომ ჩვენი ავტორები ერთმანეთისაგან დამოუკიდებელნი არიან. რაც შეეხება მესამე ავტორს, გ ი ო რ გ ი კ ე დ რ ე ნ ე ს, რომელსაც აგრეთვე მოეპოვება ცნობა იბერიის მეფის ძამანარძეს შესახებ, ის

მთლიანად იმეორებს თეოფანეს: τῆ γ' ἔτει..... (CB: Georgius Cedrenus, Tomus I, 650).

ამრიგად, მალალას და თეოფანეს ტექსტების გაცნობიდან და ამ ტექსტების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული აზრების გადასინჯვიდან ცხადი ხდება, რომ **527 – 535 წლებში იბერიაში მეფედ მჯდარა ძამანარძე**. ეს ფაქტი დადგენილად უნდა ჩაითვალოს, მიუხედავად იმისა, რომ პროკოპი კესარიელის ცნობის მიხედვით (BP II, 28) სამეცნიერო ლიტერატურაში განმტკიცებულია ის აზრი, რომ გურგენ მეფის გაქცევის (523 წ.) შემდეგ იბერიაში მეფობა მოისპო.

როგორ უნდა შევათანხმოთ ერთმანეთს ეს ორი ცნობა: ერთი მხრით 523 წლის შემდეგ იბერიაში მეფობა გაუქმდა, ხოლო მეორე მხრით 527 – 535 წლებში იბერიის მეფედ არის ძამანარძე.

მართალია, პროკოპი კესარიელის გარდა, რომელიც 523 წლის შემდეგ იბერიაში მეფობას მოსპობილად თვლის, მისი მომდევნო ისტორიკოსებიც, აგათია და მენანდრეც, რომლებიც თავიანთ „ისტორიებში“ ეხებიან აგრეთვე იბერიასაც, არსად არ იხსენიებენ იბერიის მეფეს, – მაგრამ მეორე მხრით ქართული საისტორიო წყაროები VI საუკუნის ქართლის ისტორიისათვის სულ სხვა სურათს იძლევიან:

ა) „ქართლის მოქცევის“ მატანიით ვახტანგ გორგასალის შემდეგ (გარდ. 502 წელს) ქართლის მეფეებად იყვნენ:

დაჩი უჟარმელი,
ბაკურ, ძღ მისი,
ფარსმან,
ფარსმან სხუად,
ბაკური

«და მის ბაკურის-ზევე დაესრულა მეფობა ქართლისაჲ... სპარსნი უფლებდეს ქართლს და სომხითს, და სივნიეთს და გუასპურაგანს» (Описание II, 722 – 724). ხოლო ჭელიშის ვარიანტი ფარსმან მეორის მეფობაში სდებს იოანე ზედაზადენელისა და მისი მოწაფეების მოსვლას შუამდინარიდან ქართლში, რაც მემატანიის აზრით მოხდა «ქართლის მოქცევითგან მეორასესა წელსა» (იქვე, გვ. 723).

ბ) ისტორიკოსი ჯუანშერიც, რომელიც ამ ეპოქისათვის უთუოდ „მოქცევაჲ ქართლისაჲთ“ სარგებლობს, ქართლის მეფეებად იმავე პირებს და იმავე თანმიმდევრობით ასახელებს (დაჩი, ბაკური, ფარსმანი, ფარსმანივე, ბაკური) და იოანე ზედაზადენელ-

საც ფარსმან მეორის მეფობაში მოსულად თვლის. თანაც დასძენს: ბაკურის დროს სპარსეთში უ რ მ ი ზ დ ი მ ე ფ ო ბ დ ა ო (მარიამ დედოფლ., ვარ. გვ. 400 – 404; ქ. ცხ. ტ. I [1955], 204 – 215).

მკლევარნი იოანე ზედაზადენელის მოსვლას ქართლში VI საუკ. შუა წლებში სდებენ (კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე; თბ. უნ. მოამბე VI, 100; ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქ. ერის ისტ. I⁵, 349) ხოლო ჰორმიზდა, როგორც ცნობილია, 579 – 590 წლებში მეფობდა. მაშასადამე, ის მეფეები, რომლებსაც ასახელებენ ქართული საისტორიო წყაროები, 502 – 590 წლების მოღვაწეებად ჩანან.

პროკოპი კესარიელის მიერ გამოთქმული აზრი, რომ გურგენ მეფის შემდეგ სპარსელები იბერიელებს აღარ «აძლევდნენ ნებას მათ მეფე ჰყოლოდათ», საბუთს აძლევს მკვლევართ კატეგორიულად უარჰყონ ქართული საისტორიო წყაროების ცნობა VI საუკუნეში ქართლის მეფეთა არსებობის შესახებ. მართალია, ჩვენ მიერ ზემო მოყვანილი ქართული საისტორიო ძეგლები გვიანი დროისაა (IX – XI საუკუნეებისა), მაგრამ, როგორც ეს უკვე დამტკიცებულია, მათ (განსაკუთრებით „მოქცევა ქართლისაჲს“ მათიანეს) ძველი სანდო წყაროები მოეპოვებოდათ (იხ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, მეორე გამ. 1920, გვ. 86). გარდა ამისა, საკმარისია ერთმანეთს შევადაროთ ერთისა და იმავე ძეგლის („მოქც. ქართლ.“) ორი ვარიანტი, რომ დავრწმუნდეთ იმაში, თუ რაოდენ სახეშეცვლილად არის ჩვენამდე მოღწეული ეს ძეგლი. და, თუ მათიანეს თავის ნაწარმოებში შეტანილი აქვს VI საუკუნის ქართლის მეფეთა სია, მიუხედავად პროკოპი კესარიელის ცნობისა, ეს იმას ნიშნავს, რომ მათიანეს მართლაც რაღაც ძველი წყარო, ძველი ნუსხები ჰქონდა ხელთ, ხოლო ის ჩვენამდე შერყვნილი სახით არის მოღწეული. რომ ეს ასე არ იყოს, რატომ არ არის ამ სიაში მოხსენებული გურგენ მეფე, რომლის არსებობა არავის არ ეეჭვება, ვინაიდან ის ჰყავს მოხსენებული თანამედროვე ისტორიკოსს პროკოპი კესარიელს.

ჩვენის აზრით „მოქცევა ქართლისაჲს“ მათიანის სია VI საუკუნის ქართლის მეფეებისა უკუსაგდები არაა, ხოლო ის ნაკლულევანია და აღრეულია.

ქართლში მეფის არსებობას ამ ხანებისათვის ჰგულისხმობს აგრეთვე შიო მღვიმელის „ცხოვრებაში“ შეტანილი ცნობა იმის შესახებ, რომ ქართლის მეფემ ფარსმანმა დახმარება აღმოუჩინა იუსტინიანე კეისარს, როდესაც ეს უკანასკნელი ებრძოდა აჯანყე-

ბულ აბაზგებს (ჩვენის აზრით ეს ეხება 550 წლის აჯანყებას: იხ, გეორგიკა II, 130 – 132).

მამასადაძე, ქართლში მეფეების არსებობა VI საუკუნის მანძილზე დასტურდება: 1) მალალას და თეოფანე ჟამთააღმწერელის ქრონოგრაფებით, 2) „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მატანიით (და მისგან დამოკიდებული ჯუანშერთ), 3) შიო მღვიმელის „ცხოვრებაში“ მოხსენებული ეპიზოდით.

საკითხი შეიძლება ეხებოდეს მხოლოდ იმას, თუ რა უფლების მატარებელი იყვნენ ეს მეფეები იმ დროს, როდესაც ქართლში გაბატონებული იყვნენ სპარსელები. ევსტათი მცხეთელის მარტვილობის მიხედვით ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი წერს: „ქვეყნის ბატონპატრონად შაჰის წარმომადგენელი მარზპანი ჩანს, ხოლო შინაურობაში მხოლოდ ქართლის მთავარი, კათალიკოზი, მამასახლისი და პიტიახში გვხვდება“ (მც. ქ. საისტ. მწერლობა, 1920, გვ. 20), მართლაც, ქართლის სამმართველო აპარატი ამ დროს მოსპობილი არაა, და ამ სამმართველო აპარატში, როგორც ჩანს, სამეფო გვარის წევრები არიან. ევსტათი მცხეთელის განთავისუფლებისათვის სათხოვნელად მარზპანთან მივიდნენ „ქართლის მთავარი“ – ნათქვამია ევსტათის „ცხოვრებაში“: «რაჟამს აღმხედრდებოდა მარზპანი იგი, აღდგეს მთავარი ქართლისანი და სამოელ ქართლისა კათალიკოზი და გრიგოლ ქართლისა მამასახლისი და არშუშა ქართლისა პიტიახში და სხუანი სეფეწულნი და მარზპანსა ჰრქუეს...» (საქ. სამოთხე 315). ყურადღებას იპყრობს თანამიმდევრობა მოხსენებული პირებისა: 1) ქართლისა კათალიკოზი, 2) ქართლისა მამასახლისი, 3) ქართლისა პიტიახში და სხუანი სეფეწულნი. ქართლის მამასახლისს ამ რიგში ის ადგილი უჭირავს, რომელიც მეფეს განეკუთვნებოდა, და მართალი უნდა იყოს მარკვარტი, რომელიც ფიქრობდა, რომ სპარსელებმა მეფის ადგილას მამასახლისი დააყენესო (Streifzüge 432).

ამრიგად, ირკვევა რომ ქართლში VI საუკუნის მანძილზე, როდესაც იქ სპარსელები ბატონობდნენ, ადგილობრივი სამმართველო აპარატი მოსპობილი არ ყოფილა; ის გარეგნულად დარჩა ისევე, როგორც იყო – მეფე (მამასახლისი) და [მისი მოადგილე] პიტიახში, ხოლო მათი მოქმედება შეზღუდული იყო მარზპანის ძალაუფლებით. საგულისხმოა, რომ შიო მღვიმელის „ცხოვრებაში“ მოხსენებულ ფარსმან მეფესაც ჰყავს თავისი „მოადგილე“. იქ ნათქვამია: ისმინა უკუე ფარსმან ვედრებაიჲ ბერძენთა მეფისაჲ, და დაუტევა ევაგრე მცველ სამეფოსათვის; ხოლო თვთ

წარვიდა... დაიმორჩილა ნათესავი იგი ტასკუნთად» (ხელთნაწერი A – 160, გვ. 691 – 692). და რომ სპარსელებმა ვერო მოახერხეს ქართლის მესვეურთა მთლად მოშორება, ეს ჩანს პროკოპი კესარიელის სიტყვებიდანაც, რომელიც ამბობს: «იმ დროიდან არც სპარსელები აძლევდნენ ნებას მათ მეფე ჰყოლოდათ, არც იბერიელები ემორჩილებოდნენ სპარსელებს თავისი ნებით: (ὅπτε αὐτογυαμοῖσιντες Περσῶν κατήκοι: Ἰβήρης ἦσαν BP II, 28: გეორგიკა II, 66). ეს უკანასკნელი სიტყვები იმას მოასწავებს, რომ იბერიელები ებრძოდნენ სპარსელებს მმართველობის საკითხებში და, როგორც ჩანს, შინაურ მმართველობაში შეუნარჩუნებიათ საკუთარი აპარატი, მეფითა და პიტიახშით.

ერთ-ერთი მეფეთაგანი უნდა იყოს ძამანარძე, რომელიც, სპარსელების ბატონობით უკმაყოფილო, 535 წელს იუსტინიანესთან ჩასულა კონსტანტინეპოლში: ამავე პერიოდის მეფედ ჩანს ფარსმანიც, რომელმაც 550 წელს დახმარება აღმოუჩინა იუსტინიანეს აბაზგთა აჯანყების ჩაქრობაში].

ლაზები და აბაზგები ბიზანტიის ჯარში

Τῷ ἰδ' ἔτει Χοσρόης ὁ τῶν Περσῶν βασιλεὺς Σαρβαραζᾶν ἄλλον στρατηγὸν ἐξοπίστας μετὰ λαοῦ πρὸς Σαρβαραγικᾶν ἀπέστειλεν, ὡς ἐνωπιέντας ἀμφοτέρους πολεμήσαι Ῥωμαίοις.

Τοῦτο γινούσ ὁ βασιλεὺς ἔσπευσε συμβαλεῖν πόλεμον μετὰ Σαρβάραικα πρὸ τοῦ ἐνωπιῆσαι αὐτὸν τῷ Σαρβαραζᾶ, καὶ πολλὰς ἐκδρομὰς κατ' αὐτοῦ ποιησάμενος εἰς δεξιάν αὐτὸν ἐνέβαλεν. Ὅπισθεν δὲ ἀμφοτέρους ἐάσας κατὰ Χοσρόου μετὰ σπουδῆς ἦλασεν. Αὐτομολοῦσι δὲ δύο τῶν Ῥωμαίων πρὸς τοὺς Πέρσας, καὶ

ირაკლის მეფობის მეთოთხმეტე წელს¹ სპარსთა მეფემ ხოსრომ მისცა ჯარი სხვა სტრატეგოსს სარვარაზას და გაგზავნა იგი სარვარანკასთან, რათა ორივეს შეერთებული ძალებით, ეომა რომაელების წინააღმდეგ.

ეს რომ შეიტყო რომაელთა მეფემ, ომი დაიწყო სარვარანკასთან, სანამ იგი სარვარაზას შეუერთდებოდა; მრავალი თავდასხმა მოაწყო მის წინააღმდეგ და დიდ შიშში ჩააგდო იგი. ორივენი რომ უკან მოიტოვა, სწრაფად გაემართა ხოსროს წინააღმდეგ. ორი რომაელი სპარსელების მხარეზე გადავიდა თავისი

¹ ესე იგი 624 წელს.

πειθουσιν αὐτοὺς ὅτι ἐκ δειλίας
φεύγουσιν οἱ Ῥωμαῖοι. Ἦλθε δὲ
αὐτοῖς καὶ φήμη τὸν Σαῖν στρα-
τηγὸν Περσῶν καταλαμβάνειν¹
μεθ' ἐτέρου στρατεύματος εἰς
βοήθειαν.

Τοῦτο μαθόντες Σαρβαραζ-
κᾶς τε καὶ Σαρβαραζᾶς ἡγωνί-
σαντο συμβαλεῖν πόλεμον Ἡρακ-
λείῳ πρὸ τοῦ φθάσαι τὸν Σαῖν,
καὶ τὴν νίκην ἐπ' αὐτοὺς μετε-
νεγκεῖν. Πιστεύσαντες δὲ καὶ τοῖς
αὐτομόλοις ἐχώρησαν κατὰ Ἡρακ-
λείου. Καὶ πλησιάσαντες αὐτῇ
κατεσκήνωσαν, βουλόμενοι ἅμα
πρῶτ' συμβαλεῖν. Ὁ δὲ Ἡράκλειος
ἀπάρας ἄφ' ἐσπέρας ᾤδευσε δι'
βλῆς τῆς νυκτός, μακρὰν τε γε-
νόμενος ἀπ' αὐτῶν εὐρὴν πεδίον
χλοηφόρον, ἡπλήκωσε. Νομίσαν-
τες δὲ οἱ βάρβαροι αὐτὸν ἐκ δει-
λίας φεύγειν ἀκόσμως ἐδίωκον·
αὐτὸς δὲ ὑπαντιάσας αὐτοῖς ἐκρό-
τησε πόλεμον, καὶ τῇ τοῦ θεοῦ
συνεργίᾳ τρέπει τοὺς βαρβάρους,
καὶ τοὺτους διὰ τῶν φαράγγων
διώξας πλήθῃ πολλὰ ἀνείλεν. Ἐν
τῇ μεταξὺ δὲ τῶν ἀγώνων ὄντων
ἔφθασε καὶ ὁ Σαῖν σὺν τῇ ἑαυτοῦ
στρατῇ. Συμβαλὼν δὲ καὶ μετ'
αὐτοῦ ὁ βασιλεύς, καὶ τοῦτον
τρέψας πολλοὺς ἀνείλε καὶ τοὺς
λοιποὺς διέσπειρε φεύγοντας, πα-
ρέλαβε δὲ καὶ τὸ τοῦλθον αὐτῶν.

Ὁ δὲ Σαρβαραζᾶς ἐνωθεὶς
τῇ Σαῖν ἐπισυνῆξε τοὺς ὑπολειφ-

ნებით და არწმუნებდა მათ –
რომაელებს შეეშინდათ და გარ-
ბიანო. ხმებიც მივიდა – სპარს-
თა სარდალი საინი მოდის სხვა
ახალი ჯარით საშველადო.

ეს რომ შეიტყეს სარვარან-
კამ და სარვარაზამ, დაუჩქარეს
ომი გაემართათ ირაკლისათვის,
სანამ საინი მოვიდოდა, რათა
გამარჯვების დიდება მათ რგე-
ბოდათ, იმათ ირწმუნეს იმ ორი
რომაელის სიტყვები და გაემარ-
თნენ ირაკლის წინააღმდეგ. მას
რომ მიუახლოვდნენ, დაიბნაკეს,
რათა დილით ადრე შეებოდნენ.
ირაკლი საღამოთი აიყარა ბანა-
კიდან და მთელი ღამე იარა;
კარგა მოშორებით რომ იყო
მათგან, ერთ ამწვანებულ მიწ-
ლორში დაიბნაკა. ბარბაროსებ-
მა გადაწყვიტეს ირაკლი შიშით
გაიქცაო და უწესრიგოდ დაედევ-
ნენ. ირაკლი კი მედგრად და-
უხვდა მათ და შეებრძოლა და
ღმრთის თანადგომით მოიგერია
ბარბაროსები, ნაპრაღ-ნაპრაღ
სდია მათ და ბევრიც გაჟლიტა.
შუა ბრძოლაში რომ იყვნენ, მო-
ვიდა საინიც თავისი ჯარით. მე-
ფე მასაც შეებრძოლა და მოიგე-
რია; ბევრი დაუხოცა, დანარჩე-
ნები გააქცია და გაფანტა; მათი
ბარგიც ხელში ჩაიგდო.

სარვარაზა შეუერთდა საინს
და თავი მოუყარა დარჩენილ

¹ ერთ-ერთი ნუსხის არშიაზე სწერია – ალბათ უნდა იყოს καταβαίνειν.

θέντας βαρβάρους, καὶ πάλιν δι-
ενοοῦντο κατὰ τοῦ βασιλέως χω-
ρεῖν. Ὁ δὲ Ἡράκλειος ἐπὶ τὴν
τῶν Ὀβνγῶν χώραν καὶ ταῖς τού-
των δυσχωρίαις ἤλαυνεν ἐν τό-
ποις τραχέσι καὶ δυσβάτοις. Οἱ
δὲ βάρβαροι ὀπίσω αὐτοῦ ἠκολού-
θουν. Οἱ μὲντοι Λαζοὶ ἅμα τοῖς
Ἀβασγοῖς θειλιάσαντες ἀπέσπα-
σαν ἑαυτοὺς τῆς τῶν Ῥωμαίων
συμμαχίας καὶ οἴκαδε ἀνεχώρη-
σαν. Ὁ δὲ Σαῖν ἠσθίεις ἐπὶ τού-
τω θυμῷ πολλῷ σὺν τοῖς βαρβά-
ροις ἐχώρει κατὰ Ἡρακλείου.

Ὁ δὲ βασιλεὺς λόγους τὸν
στρατὸν ἀναπερώσας παρήγει λέ-
γων. „Τὸ πλεῖστον ἡμᾶς, ἀδελφοί,
μὴ ταραττέτω· θεοῦ γὰρ θέλον-
τος εἰς διώξει χιλιούς. Θύσωμεν
οὖν τῷ θεῷ ἑαυτοὺς ὑπὲρ τῆς
τῶν ἀδελφῶν ἡμῶν σωτηρίας.
Δάβωμεν στέφη μαρτύρων, ἵνα ὁ
μέλλων ἡμᾶς ἐπαινέσῃ χρόνος“.

რათა მომავალმა თაობებმა შეგვაქონ ჩვენ“.

Τούτοις καὶ ἄλλοις πλείοσι
παραθαρρόνας τὸν στρατὸν φαιδ-
ρῷ τῷ προσώπῳ ἐξαρτῦει τὸν πό-
λεμον. Καὶ στάντες ἐπ’ ἀλλήλοις
ἀπὸ μικροῦ διαστήματος ἕωθιν
μέχρις ἑσπέρας ἀλλήλοις οὐ συν-
έβαλον. Ἐσπέρας δὲ καταλαβού-
σης ὁ βασιλεὺς τῆς ὀδοιπορίας
εἴχετο, καὶ οἱ βάρβαροι πάλιν
ὀπίσω αὐτοῦ ἠκολούθουν. Ἐνγαλ-
λάξαντες δὲ τὸν ὁδόν, προλαβεῖν
τοῦτον βουλόμενοι, ἐμπίπτουσιν

ბარბაროსებს: ისინი კვლავ ფიქ-
რობდნენ მეფის წინააღმდეგ გა-
მართულოყვნენ. ირაკლი კი წა-
ვიდა ჰუნების ქვეყნისაკენ და
იქაური მნელსავალი ადგილების-
კენ, კლდოვანი და მნელად გა-
დასავალი გზებით. ბარბაროსები
მათ უკან მისდევდნენ. ლ ა ზ ე ბ ი
და ა ბ ა ზ გ ე ბ ი შეშინდნენ, გა-
მოეთიშნენ მოკავშირე რომაე-
ლებს და შინ გაბრუნდნენ. საინს
ძალიან გაუხარდა ეს ამბავი და
დიდი აღფრთოვანებით წაასხა
ბარბაროსები ირაკლის წინა-
აღმდეგ.

ხოლო მეფე ჯარის აღფრთო-
ვანების მიზნით შემდეგი სიტყვე-
ბით აქეზებდა მას: „ძმებო, დე,
ნუ შეგაშინებთ მტრის სიმრავ-
ლე; თუ ღმერთი ინებებს, ერთი
კაციც აოტებს ათასს. შევწი-
როთ ღმერთს საკუთარი თავი
ჩვენი ძმების ხსნის გულისთვის.
მივილოთ წამების გვირგვინი,

ასეთი და სხვა მრავალი სი-
ტყვებით ამხნევებდა ჯარს და
გაბრწყინებული სახით ემზადე-
ბოდა საომრად. მოწინააღმდეგე-
ნი ერთიმეორის პირისპირ და-
დგნენ პატარა მანძილით დაშო-
რებულნი, და საღამომდე არ
შეხმინან ერთმანეთს. საღამო რომ
დადგა, მეფე გზას გაუდგა: ბარ-
ბაროსები კვლავ უკან მისდევდ-
ნენ მას. როდესაც მათ გზა შე-
ცვალეს და მოინდომეს მისთვის

εις τόπον τελευτώνη. και ήναγκάσθησαν έξελθειν.

გილში, და იძულებული იყვნენ უკან გასულიყვნენ.

Ὁ δὲ βασιλεὺς τὴν γῆν Περσαρμενίας παρέτρεχε. Τῆς γῆς δὲ ἐκείνης ὑπὸ τῶν Περσῶν κρατουμένης πολλοὶ συνέτρεχον τῷ Σαρβαραζᾶ, καὶ ἠρξείτο ὁ λαὸς αὐτοῦ· χειμῶνος δὲ ἐπιγενομένου ἐσκορπίσθη ἕκαστος εἰς τὸν ἴδιον τόπον.

Τοῦτο μαθὼν ὁ βασιλεὺς διανοεῖτο ἐν νυκτὶ κλέψαι τὸν πόλεμον. Καὶ ἐπιλεξάμενος ἵππους¹ εὐσθηνεῖς, καὶ τοὺς στρατοῦ τοὺς ἀνδρειοτέρους διελὼν, προάγειν τοὺς μὲν ἐκέλευσε κατὰ τοῦ βάρβαρου, αὐτὸς δὲ σὺν τοῖς ἑτέροις ὀπίσσω τοῦτων εἶπετο. Σπεύσαντες δὲ κατέλαβον χωρίον Ἀλβανῶν ἄρα θ' τῆς νυκτός.

Τῶν δὲ Περσῶν γιγόντων τὴν ξηροδὸν καὶ ὀρηγασάντων κατ' αὐτῶν, οἱ Ῥωμαῖοι τοὺτους πάντας ἀνείλον, πάρεξ ἑνὸς τὸ τοῦ λόγιου πυρφόρου, ὃς καὶ τῷ βαρβαρῷ ἐμήγυσεν. Ὁ δὲ βάρβαρος γυμνὸς καὶ ἀνυπόδητος ἵππῳ ἐπιβάς φυγῆ τὴν σωτηρίαν ἐπορεύετο (CB 1, 722,13—724,22).

(*ე. ი. მეფისთვის*) გზა გადაეჭრათ, ჩავარდნენ ჭაობიან ად-

მეფემ პერსარმენიის ქვეყანას ჩაუარა. რადგან ეს ქვეყანა სპარსელეს ეპყრათ, ბევრნი სარვარაზას მხარეზე გადავიდნენ და, ამრიგად, მისი ლაშქარი გაიზარდა; ზამთარი რომ დადგა, ყველა ისინი თავთავიანთ სახლებში დაიფანტნენ.

ეს რომ შეიტყო ირაკლი მეფემ, გადაწყვიტა ღამით მიეტანა იერიში. მან გამოარჩია ძლიერი „ცხენოსნები, გამოიპყო ჯარიდან უმამაცესნი და უბრძანა ბარბაროსთა წინააღმდეგ გამართულიყვნენ, თვითონ კი დანარჩენი ჯარით მათ უკან მისდევდა. ასე, გაეშურნენ ბერძნები და ღამის ცხრა საათზე დაიკავეს ალბანთა ციხე.

სპარსელებმა რომ შეიტყეს ეს იერიში და მათ წინააღმდეგ გაემართნენ, რომაელებმა ისინი ყველანი გაჟლიტეს: გადარჩა, როგორც იტყვიან, მხოლოდ ერთი, რომ ბარბაროსისათვის უბედურება ეუწყებინა. ხოლო ბარბაროსი ტიტველა და ფეხშიშველა ცხენს მოახტა და გაქცევით თავს უშველა³.

¹ ალბათ, ნახმარია როგორც ἵππεις („ცხენოსნები“).

² გამოთქმა *γυμνὸς καὶ ἀνυπόδητος* („ტიტველი და ფეხშიშველა“) მიემართება, ჩვეულებრივ, სრულიად დამარცხებულ მტერს. ძველი გრამატიკოსები უმართლებლოდ თვლიან ἀνυπόδητος-ს (საჭიროა η და არა ε),

³ სპარსეთ-ბიზანტიის ეს საომარი ოპერაციები მოთხრობილი აქვს თ ე ოფ ა ნ ე ს (de Boor 309 – 311; გეორგია IV, 1, გვ. 94 – 97).

ირაკლის ჩასვლა ლაზეთში

16 (626) წელს

Τῷ ιε' ἔτει ὁ Χοσρόης νέαν ἐποιήσατο στρατιὰν ἀπὸ τε ξένων καὶ πολιτῶν καὶ οἰκετῶν καὶ παντὸς γένους. Καὶ ἐκ τούτων ἐκλεξάμενος καὶ τῷ Σαῖν παραδοῦς στρατηγῷ, ἄλλας τε γ' χιλιάδας ἐκ τῆς φάλαγγος τοῦ Σαρβάρου τούτοις συνῆψεν, οὓς καὶ χρυσολόχας¹ ὠνόμασε καὶ κατὰ τοῦ βασιλέως ἀπέστειλε. Τὸν δὲ Σάρβαρον σὺν τοῖς λοιποῖς αὐτοῦ στρατεύμασι κατὰ Κονσταντινουπόλεως ἐπεμφεν, ὅπως τοῖς ἐκ δύσεως Οὐννοῖς, οὓς καὶ Ἄβαρας καλοῦσι, μετὰ καὶ Σθλαβίνων καὶ Γηπέδων συμφωνήσας κατὰ τῆς πόλεως χωρήσῃσι καὶ ταύτην πολιορκήσῃσι. Γνοὺς δὲ τοῦτο ὁ βασιλεὺς τὸν ἑαυτοῦ στρατὸν εἰς τρεῖς διαιρέσει: ἐχώρισε, καὶ τοὺς μὲν ἐπεμφεν εἰς φυλακὴν τῆς πόλεως, τοὺς δὲ παραδοῦς Θεοδώρῳ τῷ ἀδελφῷ αὐτοῦ κατὰ τοῦ Σαῖν πολεμεῖν ἐκέλευσε. Τὸ δὲ τρίτον μέρος αὐτὸς λαβὼν ἐπὶ Λαζικήν ἐχώρει, καὶ τοὺς Τούρκους τῆς ἐφάσ, οὓς καὶ Χαζάρους ὀνομάζουσιν, εἰς συμμαχίαν ἐκάλει.

ძოლა. ხოლო მესამე ნაწილს თვითონ ჩაუდგა სათავეში და ლაზეთის კენ გაემართა და მოკავშირეობა სთხოვა თურქებს, რომელთაც ხაზარებსაც უწოდებენ.

Ὁ δὲ Σαῖν σὺν τῷ νεολεκτηῖ στρατῷ τὸν τοῦ βασιλέως

მეთექვსმეტე წელს ხოსრომ ახალი ჯარი შეკრიბა უცხოელთა, მოქალაქეთა და მონათაგან და მთელი მოდგმიდან. ამათგან რომ **ჯარი** შეადგინა და სარდალ საინს გადასცა, სხვა ორმოცდაათი ათასი სარბაროსის ფალანგიდან ამათ შეუერთა, უწოდა მათ ქრისოლოქები¹ („ოქროს რაზმეულები“) და გაგზავნა მეფის წინააღმდეგ საბრძოლველად. ხოლო სარბაროსი თავისი დანარჩენი ჯართურთ კონსტანტინეპოლის წინააღმდეგ გაგზავნა, იმ ვარაუდით რომ ის უნდა შეთანხმებოდა დასავლეთის ჰუნებს, რომელთაც ავარებსაც ეძახიან, და, სლავინებთან და გვიდეებთან ერთად, ისინიც წასულიყვნენ ქალაქის (ე. ი. კონსტანტინეპოლის) წინააღმდეგ და მისთვის ალყა შემოერტყათ. ხოლო ეს რომ ირაკლი მეფემ შეიტყო, თავისი ჯარი სამ განაყოფად დაანაწილა: ერთნი გაგზავნა ქალაქის (კონსტანტინეპოლის) დასაცავად, მეორენი კი თავის ძმას თეოდორეს ჩააბარა და უბრძანა საინის წინააღმდეგ ებრ-

ხოლო საინი ახლად შეკრებილი ჯარით თავს დაესხა მეფის

¹ თ ე ო ფ ა ნ ე: χρυσολόχοι „ოქროსშუბოსნები“.

ἀδελφὸν Θεόδωρον καταλαβὼν πρὸς πόλεμον ὤπλισατο. Τοῦ δὲ φεοῦ διὰ πρεσβειῶν τῆς φεοτόκου συνεργήσαντος, πολέμου κροτηθέντος χάλαζα παραδόξως κατὰ τῶν βαρβάρων κατηνέχθη καὶ πολλοὺς αὐτῶν ἐπάταξεν, ἣ δὲ τῶν Ῥωμαίων παράταξις γαλήνης ἀπήλαυσε. Τρέπουσι δὲ Ῥωμαῖοι τοὺς Πέρσας, καὶ ἀναιροῦσι πλήθη πολλὰ.

Ὅπερ μακρὸν ὁ Χοσρόης ὀργίζεται κατὰ τοῦ Σαῖν, ὃς ἐκ πολλῆς ἀθυμίας νόσῳ περιπεσὼν τελευτᾷ. Τοῦτου τὸν νεκρὸν Χοσρόης πολλαῖς αἰκίαις ὑπέβαλεν.

Οἱ δὲ Χάζαροι διαρρήξαντες τὰς Κασπίας πύλας τῆ Περιίδι εἰσβάλλουσιν ἐν τῇ χώρᾳ τοῦ Ἄνδρογαᾶ¹ σὺν τῷ στρατηγῷ αὐτῶν Ζεβεήλ, δευτέρῳ ὄντι τοῦ χαγάνου τῆ ἀξίᾳ· καὶ ἐν οἷς ἂν τόποις διέβαινον, τοὺς τε Πέρσας ἡχμαλῶτευσον καὶ τὰς κώμας καὶ πόλεις πυρὶ παραδίδουν.

Ὁ δὲ βασιλεὺς ἀπάρας ἀπὸ Λαζიკῆς τούτοις συνήγησεν. Ὁ δὲ Ζεβεήλ μετὰ πολλῆς ἀγάπης καὶ χαρᾶς ἤσπασατο τὸν βασιλέα καὶ τοὺς σὺν αὐτῷ. Προσήμεγε δὲ καὶ τὸν υἱὸν αὐτοῦ τῷ βασιλεῖ πρὸς συμμάχίαν, καὶ αὐτὸς ὑπέστρεψεν εἰς τὴν ἰδίαν χώραν.

ძმას თეოდორეს და საომრად განეწყო. ღვთის შეწევნით და ღვთისმშობლის შუამდგომელოლობით, ომი რომ გამწვავდა, ბარბაროსებს მოულოდნელად სეტყვა დაატყდათ, რომელმაც ბევრი მათგანი დაანარცხა, ხოლო რომაელთა რაზმი გადარჩა მშვიდად. რომაელებმა სპარსელები აოტეს, დიდძალი ხალხიც გაუჟლიტეს.

ეს რომ ხოსრომ შეიტყო, განრისხდა საინზე, რომელიც დიდი მწუხარებისაგან ლოგინად ჩავარდა და გარდაიცვალა. მის გვამს ხოსრომ ბევრნაირი შეურაცხყოფა მიაყენა.

ხოლო ხაზარებმა გადმოლახეს კასპიის კარები და შეიჭრნენ სპარსეთში, ანდროეგის ქვეყანაში, თავიანთი სარდლის ზებეილის მეთაურობით; ხაკანის შემდეგ მეორე კაცი იყო თავისი პატივით; რომელ ადგილებშიც კი გადავიდნენ, სპარსელებიც, დაატყვევეს და სოფლები და ქალაქებიც ცეცხლს მისცეს.

ხოლო ირაკლი მეფე წავიდა ლაზეთიდან და მათ შეეგება. ზებეილი დიდის სიყვარულითა და სიხარულით მიესალმა მეფეს და მის მხლებლებს. მან თავისი ვაჟი ჯარითურთ მოკავშირედ გადასცა მეფეს და თვითონ საკუთარ ქვეყანაში გაბრუნდა. ირაკ-

¹ თეოფანე: Ἄδραϊγάν (ადარბაგანი?).

Λαβῶν δὲ τοὺτους ὁ βασιλεὺς κατὰ Χοσρόου ἐχώρει¹.

Ὁ δὲ Σάρβαρος τῆ Χαλκηδόνι προσβαλὼν, ἀλλὰ καὶ οἱ Ἄβαρες ἐκ τῆς Θράκης τῆ πόλει πλησιάσαντες, ταύτην ἐλεῖν ἐβούλοντο, μηχανὰς κατ' αὐτῆς ποιήσαντες (CB I, 727,7—728,17).

ლი მეფემ ჩაიბარა ისინი და ხოსროს წინააღმდეგ გაემართა.

ხოლო სარზაროსი თავს დაესხა ქალკედონს; ავარებიც თრაკიის მხრიდან ქალაქს (*ე. ი. კონსტანტინეპოლს*) მოუახლოვდნენ და ლამობდნენ მის აღებას: მანქანებიც მოიმარჯვეს მის წინააღმდეგ.

ფაზისის ეპისკოპოსი კვიროსი

Τῷ κ' ἔτει ὄντος Ἡρακλείου ἐν Ἱεραπόλει ἔρχεται πρὸς αὐτὸν Ἀθανάσιος ὁ πατριάρχης τῶν Ἱακωβιτῶν, δεινὸς ἀνὴρ καὶ κακοῦργος τῆ τῶν Σύρων ἐμφύτῳ πανουργίᾳ, καὶ κινεῖ πρὸς τὸν βασιλέα λόγους περὶ πίστεως, καὶ ὑπισχνεῖται αὐτῷ Ἡράκλειος, εἰ τὴν ἐν Χαλκηδόνι σύνοδον ἀποδέξεται, πατριάρχην αὐτὸν ποιῆσαι Ἀντιοχείας. Ὁ δὲ ὑποκριθεὶς ἐδέξατο τὴν σύνοδον, ὁμολογήσας τὰς δύο ἐν Χριστῷ ἡνωμένας φύσεις· ἡρώτησέ τε τὸν βασιλέα περὶ τῆς ἐνεργείας καὶ τῶν θελημάτων, πῶς δεῖ ταύτας λέγειν ἐν Χριστῷ, διπλᾶς ἢ μοναδικᾶς.

ნებათა შესახებ, თუ როგორ უნდა ითქვას ესენი ქრისტეს მიმართ: ნება ორმაგია თუ ერთიაო.

Ὁ δὲ βασιλεὺς γράφει πρὸς Σέργιον τὸν Κωνσταντινουπόλεως, προσκαλεῖται δὲ καὶ Κύρον τὸν Φάσιδος, μονοθελήταις ἀμφοτέ-

ირაკლის მეფობის მეოცე წელს (*ე. ი. 629/30 წ.*), ირაკლი რომ იერაპოლისში იყო, მასთან მოვიდა იაკობიტების პატრიარქი ათანასი, კაცი საშინელი და სირიელებისათვის თანდაყოლილი ბოროტებით აღსავსე, და აღძრა მეფის წინაშე სიტყვები სარწმუნოების შესახებ; ირაკლი შეჰპირდა მას, თუ ქალკედონის სინოდის დადგენილებას მიიღებ, ანტიოქიის პატრიარქად დაგაყენებო. მან უპასუხა: ვღებულობ სინოდის დადგენილებასო, და აღიარა ორი ბუნება, ქრისტეში გაერთიანებული; ის შეეკითხა მეფეს მოქმედებითი ძალისა და

მეფემ მისწერა ამის შესახებ კონსტანტინეპოლის ეპისკოპოსს სერგის, მოიწვია აგრეთვე ფაზისის ეპისკოპოსი კვი-

¹ ეს თხრობა „ირაკლი კეისარი საქართველოში“ ამოღებულია თ ე ო ფ ა - ბ ე ს „ქრონოგრაფიიდან“ (იხ. ჩვენი გეორგიკი IV, 1, გვ. 98 – 100). გიორგი კედრენე თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებს თეოფანეს.

ροις οἴσι, καὶ εἵρεν αὐτοὺς ἑμὸ-
φρονας Ἀθανασίου¹ (CB I 736,
4–15).

როსიც – ესენი ორივენი მო-
ნოთელიტები იყვნენ, – და ნახა,
რომ ისინი იმავე აზრისა იყვნენ,
როგორც ათანასი¹.

ლაზეთის პატრიკოსის სერგი

Κόσμου ἔτος ,εϋρη', τῆς
Χριστοῦ παρουσίας ἔτος χϋθ',
Λεόντιος βασιλεὺς Ῥωμαίων ἔτη
γ'. Τοῦτου τῷ α' ἔτει πάντοθεν
εἰρηγαῶς διετέλεσε.

Τῷ β' ἔτει ἐπεστράτευσεν
Ἀλιὸν τὴν Ῥώμην, καὶ πολλοὺς
ἀνιχνεύσας ἐπέστρεψεν.

Ἐστασίασε δὲ καὶ Σέργιος
ὁ πατριάρχης τῆς Ἀλεξάνδρειας, καὶ
ταύτην τοῖς Ἀραβῶν ἐπέταξε²
(CB I 776, 6–11).

ქვეყნის დასაბამიდან 6188
წელს, ქრისტეს მოსვლიდან 694
წელს, რომელთა მეფე ლეონ-
ტი მეფობდა სამ წელს. მისი
მეფობის პირველ წელიწადს
ყველგან სიმშვიდე იყო.

მეორე წელს ალიდიმ ილა-
შქრა რომის წინააღმდეგ, ბევრ-
ნი დაატყვევა და უკან გაბრუნდა.

ამ წელს აჯანყდა ლაზეთის
პატრიარქი სერგი, და ლა-
ზეთი დაუქვემდებარა არაბებს².

¹ ეს ცნობა გადმოცემული აქვს თეოფანეს (იხ. de Boor, გვ. 329 – 330;
გეორგიკა IV, 1, გვ. 101 – 102).

² ცნობა ამოღებულია თეოფანეს „ქრონოგრაფიიდან“ (de Boor 370, 1 – 3;
გეორგიკა IV, 1, გვ. 105), ხოლო თეოფანეს „ლაზეთის პატრიკოსის
სერგი“ კედრენეს ტექსტში დამახინჯებულია.

ლაზეთის პატრიკოსის სერგის აჯანყება ბიზანტიის წინააღმდეგ თარიღ-
დება 6189 წლით ქვეყნის გაჩენიდან. ასეთი თარიღი უწერია თეოფანეს
შაბლაძის (იხ. გეორგიკა IV, 1, გვ. 105); გიორგი კედრენეს კი უწე-
რია 6188. რადგან თეოფანე მისდევს პანოდორეს წელთაღრიცხვას, ამიტომ
აჯანყების თარიღი ქრისტესით იქნება (6189 – 5492=) 697 წელი. კედრენეს მიერ
მოყვანილ თარიღში ორნაირი განსხვავებაა (თუ შეცდომაა): ა) 6189-ის მაგიერ
მას უწერია 6188; ბ) ქრისტესით გამოანგარიშების დროს დაწერილი 694 არ
შეესაბამება არც ერთ წელთაღრიცხვას: არც პანოდორესას (492), არც ალექ-
სანდრიულს (5500) და არც ბიზანტიურს (5508). ამიტომ ის-ღა დაგვრჩენია,
რომ სარწმუნოდ მივიჩნიოთ თეოფანეს თარიღი, ე. ი. 697 წელი.

ზარდა სკლეროსის ამბობება

Ἐκειθεν οὖν ὁ Φωκᾶς, ὡς εἶχε, διὰ ταχέων ἀνεισιν εἰς τὴν Ἰβηρίαν, καὶ Δαβὶδ τῷ τῶν Ἰβήρων ἄρχοντι προσελθὼν εἰς ἐπικουρίαν ἤτει στρατόν· τοῦ δὲ μετὰ προθυμίας ὑπηρετοῦντος (ἐπεφίλωτο γὰρ τῷ Φωκᾶ ἕξ οὐ θοῦξ ἦν ἐν Χαλδίᾳ) λαὸν ἐκειθεν εἰληφώς οὐκ ὀλίγον, ἀφίριστας δὲ καὶ τοὺς μετ' αὐτοῦ ἐσκεῖασμένους ὄντας ἐκ τῆς τροπῆς, κάτεισιν εἰς Παγκάλειαν, ἔνθα στρατοπέδευσάμενος ἦν ὁ Σκληρός.

სადაც სკლეროსი იყო დაბანაკებული.

Τόπος δὲ ἦ Παγκάλεια, πεδῖον ἀναπεπταμένον τε καὶ ἰππήλατον, ἔγγιστά που τοῦ ποταμοῦ Ἄλσοϋ κείμενον.

Καὶ γίνεται πάλιν καρτερὸς ἀγών. Ἐνταῦθα τὸν ἑαυτοῦ λαὸν φεασάμενος ὁ Φωκᾶς κατὰ μικρὸν

ამ ბრძოლის შემდეგ¹ ფოკა დაუყოვნებლივ, რაც შეეძლო სწრაფად გაემართა იბერიაში, მივიდა იბერთა ა რ ქ ო ნ ტ თ ა ნ² დავითთან და სთხოვა მას დამხმარე ჯარი; იმანაც სიამოვნებით აღუთქვა დახმარება (დავითი მეგობრობდა ფოკას იმ დროიდან, რაც ეს ხალდიის დუკი იყო); ფოკამ წამოიყვანა იქიდან ხალხი არა მცირე, შეკრიბა თავისი, ლტოლვის დროს დაფანტული ჯარიც და ჩავიდა პანკალიაში,

ხოლო ადგილი პანკალია, დაბლობი გაშლილი და ცხენთა საჯირითო, მდებარეობს მდინარე ღალისის მახლობლად.

და კვლავ გაჩაღდა ფიცხელი ბრძოლა, მაშინ ფოკამ თავის ხალხს რომ შენიშნა, რომ ცოტ-

¹ ამის წინ მოთხრობილია იმის შესახებ რომ სკლეროსმა დაამარცხა ფოკა ე. წ. „სამეფო აბანოებთან“ (Βασιλικὰ ἄβαντα).

² აქ კედრენე „არქონტს“ უწოდებს დავით კურაპალატს, თუმცა დავითი მქონე იყო მეფის სწორი ძალაუფლებისა. ამის შესახებ ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი წერს: „საზოგადოდ, ბიზანტიის მთავრობა ცნობილია თავისი მედიდურობით და თავის მიწერ-მოწერაში ყოველთვის ცდილობდა მეზობელი მფლობელებისათვის, რომელნიც თავიანთ ქვეყანაშია და ყველგანაც მეფეებად ითვლებოდნენ, მეფის სახელი არ ეწოდებინა. ქართველთა და სომეხთა მეფეების შესახებაც ამ ხანის ბიზანტიელი მწერლები არას დროს არ ხმარობენ სახელწოდებას «მ ე ფ ე» (ბაზილევს), არამედ მხოლოდ ან «მ თ ა ვ ა რ ი» (არხონ), ან არა-და «ე ქ ს უ ს ი ა ს ტ ე ს», ესე იგი მ ფ ლ ო ბ ე ლ ი. სომეხთა მეფეებს ბერძნები უწოდებდნენ «არხონტეს არხონტონ», რაც უდრის ერისთავთ-ერისთავს, ან სომხურს «იშხანაც იშხან»-ს, და არა მეფეს, საქართველოს მეფეთაგან-კი ამ დროს მხოლოდ აფხაზთა მეფე გახადეს ღირსი «ექსუსიასტეს»-ის სახელწოდებისა. მესხეთის მფლობელს მარტივად მთავარს, «არხონ»-ს უძახდნენ“ (ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წ. II [1948], გვ. 106 – 107: აქვე იმოწმებს გიორგი კედრენეს ზემოთ მოყვანილ ადგილს).

ἐνδιόνοντα καὶ πρὸς φυγὴν βλέποντα, βέλτιον εἶναι κρίνας τὸν εὐκλεῆ θάνατον τῆς ἀγεννοῦς καὶ ἐπονειδίστου ζωῆς, τὰς τῶν ἐναντίων συγκόψας φάλαγγας πρὸς αὐτὸν μετὰ σφοδρότητος ἴεται τὸν Σκληρον.

Εὐρώστως δὲ κακείνου τὴν αὐτοῦ ὑποδεξαμένου ὁρμήν, καὶ μηδενὸς τῶν στρατιωτῶν ἐπιβοήθουσαν, ἀλλὰ τῶ τῶν ἀρχηγῶν ἀγῶνι κριθῆναι τὰ πράγματα βουλευομένων (καὶ γὰρ δὴ καὶ ἐφαίνετο πάγκαλόν τι θέαμα καὶ κατάπληξιν τοῖς ὁρῶσιν ἐπάγον ἀνδρῶν δὴ μονομαχία ἐπ' εὐτολμία καὶ ῥώμῃ ψυχῆς μέγα φρονούντων), ὑποστάντες ἀλλήλους συστάθην ἐμάχοντο.

ძალას); ასე რომ სკლეროსი და ფოკა ერთიმეორის პირისპირ დადგნენ და ხელჩართული ბრძოლა გაიმართა.

Καὶ ὁ μὲν Σκληρὸς τοῦ ἵππου τοῦ Φωκᾶ τὸ δεξιὸν οὐς σὺν τῷ χαλινῷ παίσας ἀποκόπτει τῷ ξίφει· ὁ δὲ Φωκᾶς τῇ κορύνῃ πατάξας αὐτὸν κατὰ τῆς κεφαλῆς τοῦτον μὲν ἐπὶ τοῦ τραχήλου τοῦ ἵππου ρίπτει τῷ βάρει τῆς πληγῆς κατενεχθέντα, αὐτὸς δὲ τὸν ἵππον κεντρίσας καὶ τὰς τῶν ἐναντίων διατεμῶν φάλαγγας ἔξεισι, καὶ πρὸς τινα λόφον ἀνεληθῶν τοὺς ἐκ τῆς τροπῆς ἀνεκαλεῖτο.

Οἱ δὲ περὶ τὸν Σκληρὸν κακῶς ἔχοντα τοῦτον ἐκ τῆς πληγῆς θεασάμενοι καὶ ἤδη λειποψυχόντα τῷ τραύματι ἐπὶ τινα πη-

ვოტა ლალატობდნენ და გაქცევაზე ეჭირათ თვალი, უმჯობესად ჩათვალა სახელოვანი სიკვდილი, ვიდრე ლაჩრული და ნადრახი სიცოცხლე, გაარღვია მოწინააღმდეგის ფალანგები და სწრაფად მიიჭრა სკლეროსთან.

რადგან (სკლეროსი) მაგრად შეხვდა მის შემოტევას, არავის ჯარისკაცთაგანს დახმარება არ უფიქრია, არამედ მხედართმთავართა შებმით, მათი აზრით, უნდა გადაწყვეტილიყო საქმე (ვინაიდან საუცხოვო და შემადრწუნებელი სანახაობა იშლებოდა მაყურებელთათვის, როდესაც ორი ვაჟკაცის პირისპირ შებრძოლება დიდად გამოამჟღავნებდა მათ გაბედულებას და სულიერ

და სკლეროსმა ფოკას ცხენს მახვილით ჩამოჭრა მარჯვენა ყური აღვირითურთ და თან დასცინოდა; ხოლო ფოკამ ლახტი დაჰკრა მას თავში და ცხენის ქედზე გადააგდო სკლეროსი, ძლიერი დარტყმის მიყენების წყალობით, თვითონ კი ფოკამ დეზი ჰკრა ცხენს, გაარღვია მტრის ფალანგები და გავიდა; ავიდა ერთ ბორცვზე და თავის გაქცეულ მებრძოლებს უკან მოუხმო.

და სკლეროსმა ფოკას ცხენს მახვილით ჩამოჭრა მარჯვენა ყური აღვირითურთ და თან დასცინოდა; ხოლო ფოკამ ლახტი დაჰკრა მას თავში და ცხენის ქედზე გადააგდო სკლეროსი, ძლიერი დარტყმის მიყენების წყალობით, თვითონ კი ფოკამ დეზი ჰკრა ცხენს, გაარღვია მტრის ფალანგები და გავიდა; ავიდა ერთ ბორცვზე და თავის გაქცეულ მებრძოლებს უკან მოუხმო.

სკლეროსის თანამებრძოლებმა რომ დაინახეს, რომ ის ცუდად გამხდარიყო დარტყმის მიყენების გამო და უკვე გულწა-

ἀφαισισμῶ.

Τοῦ δὲ ἵππου ἀποσχιρτή-
σαντος καὶ τὸν κατέχοντα ἀποδ-
ράντος καὶ διὰ τῶν στρατευμά-
των ἐπιβάτου χάρις θέοντος ἀτάκ-
τη ρύμη, καὶ τῷ αἵματι πεφυρ-
μένου (Αἰγύπτιον τὸν ἵππον ἐκά-
λουν), καὶ καταμαθόντες οὐ τι-
γὸς ὁ ἵππος, καὶ νομίσαντες τὸν
ἑαυτῶν ἄρχοντα πεπτωκέναι, ἀκόσ-
μως τρέπονται πρὸς φυγὴν, κρημ-
νοῖς καὶ "Αἰσι τῷ ποταμῷ ριπ-
τοῦντες ἑαυτοὺς καὶ ἀκλεῶς ἀπολ-
λόμενοι, μηδενὸς ὄντος τοῦ διώ-
κοντος (CB II, 431—433)

სული იყო ჭრილობისაგან, იქვე წყაროსთან მიიყვანეს ის სისხლის მოსაბანად; ფოკას შესახებ კი ფიქრობდნენ, რომ ის საბოლოოდ დაიღუპა.

სკლეროსის ცხენი დაფრთხა და გაექცა იმას, ვისაც ეჭირა, და შუა რაზმებში დარბოდა უმხედროდ და უწესრიგო ძალით, სისხლში ამოსვრილი (მას ეგვიპტურ ცხენს ეძახდნენ); იცნეს ვისი ცხენიც იყო; იფიქრეს, რომ მათი არქონტი¹ (ე. ი. სკლეროსი) დაიღუპა და არეულ-დარეულნი გაიქცნენ, კლდე-ღრეებში და მდინარე ღალისში ჩაცვივდნენ და უსახელოდ ამოწყდნენ, თუმცა მათ არავინ არ მისდევდა.

ზემოთ მოყვანილ ნაწყვეტში გიორგი კედრენე ეხება ბიზანტიის ისტორიის უაღრესად მნიშვნელოვან ხანას: მსხვილ ფეოდალთა ბრძოლას სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ.

976 წელს მცირეაზიელმა დიდმა ფეოდალმა ბარდა სკლეროსმა, მთელ მცირე აზიაზე გაავრცელა თავისი ძალაუფლება და დიდძალი ჯარით მიუახლოვდა დედაქალაქის მისადგომებს მცირე აზიიდან. ამ დროს სამეფო ტახტზე რეგენტობდა მცირეწლოვანი უფლისწულების, რომანოზ II-ის ვაჟების ბასილის და კონსტანტინეს დედა თეოფანო.

ბარდა სკლეროსის შემოტევამ დამღუპველი პირობები შეუქმნა ხელისუფლებას. მცოდნე პირების რჩევით გადაწყვიტეს დახმარებისათვის მიემართათ იბერიის მეფისათვის, დავით კურაპალატისათვის, რომელსაც ზურგიდან, აღმოსავლეთიდან, შეეძლო შეეტია აჯანყებული სკლეროსის ჯარისათვის და ამით გადაერჩინა

¹ კედრენე იმავე ტიტულით (ἀρχων) იხსენიებს ბარდა სკლეროსს, როგორც ზემოთ მოიხსენია საქართველოს მეფე დავით კურაპალატი.

ბიზანტიის სამეფო ტახტი კატასტროფისაგან. რადგან კონსტანტინეპოლში იცოდნენ, რომ ათონის მთაზე იმყოფებოდა დავით კურაპალატის სახელგანთქმული სარდალი, ამ დროს უკვე ბერად აღკვეცილი თორნიკე ერისთავი, დედოფალმა დაიბარა იგი სატახტო ქალაქში და სთხოვა დავით კურაპალატთან გამგზავრებულიყო დედოფლის დავალებით.

დავით კურაპალატი გამოეხმაურა ბიზანტიის მთავრობის შუამდგომლობას: «მისცა კურაპალატმან თორმეტი ათასი მკედარი რჩეული თორნიკს, და შეწევნითა ქრისტესითა აოტა სკლიაროსი და ვიდრე სპარსეთამდე მეოტად წარიქცია. (ცხოვრება იოვანესი და ეფთჳმესი, თბ, 1946, გვ. 19).

ასე, იბერთა მეფისა და ჯარის დახმარებით ბიზანტიის მთავრობა გადარჩა განადგურებას.

გიორგი კედრენეს ზემოთ მოყვანილი ცნობა სრულებით არ ითვალისწინებს იბერიის მეფის ასეთ დახმარებას და თორნიკე ერისთავის დიდ ღვაწლს ბიზანტიის მთავრობის წინაშე.

რადგან სამეცნიერო ლიტერატურაში იბერიის როლი ბარდა სკლეროსის აჯანყების ჩაქრობის საქმეში თითქმის სრულიად უგულებელყოფილია, ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია დაწვრილებით შევჩერდეთ ამაზე, თუმცა განსვენებული მკვლევარი მიხ. კახაძე ერთხელ უკვე შეეხო ამ ფაქტს და ნათელყო გიოოგი კედრენეს მიერ ისტორიული ფაქტის დამახინჯება¹.

პირველ რიგში შევეხებით იმას, თუ როგორ არის ეს ფაქტი ბარდა სკლეროსის ბრძოლისა სამეფო ტახტის წინააღმდეგ გაშუქებული სამეცნიერო ლიტერატურაში. ზოგადად შეიძლება ახლავე ითქვას, რომ ბიზანტიის ისტორიის სახელმძღვანელოებში და მონოგრაფიებში, ძირითადად, ემყარებიან გიორგი კედრენეს ცნობას, თუმცა ზოგიერთი მკვლევარი უგულებელყოფს კედრენეს ცნობის იმ ადგილს, სადაც ლაპარაკია იბერიაზე და დავით კურაპალატზე.

ჩვენ მოვიყვანთ როგორც ძველი, ისე ახალი ისტორიკოსების შეხედულებებს ამ საკითხზე.

ავასილიევი, უკანასკნელი დიდი წარმომადგენელი ძველი რუსული ბიზანტინისტიკისა, ძალიან მოკლედ ეხება ბარდა სკლეროსის აჯანყებას:

¹ იხ. მ. კახაძე, ქართველები ბიზანტიის პოლიტიკურსა და კულტურულ ცხოვრებაში, თბ. 1954, გვ. 33 – 45.

„Представители малоазиатских властельских фамилий, Барда Фока и Барда Склир, восстали против императора и чуть не лишили его трона. Только вмешательство русского вспомогательного войска, посланного князем Владимиром, спасло императорский трон“¹.

ახალ რუსულ სახელმძღვანელოში ვკითხულობთ:

„Один из наиболее популярных военачальников империи Варда Склир немедленно после смерти Цимисхия провозгласил себя императором. В течение 3 лет (976 – 979) Малая Азия являлась ареной ожесточенной гражданской войны. Склир два раза разбил армию центрального правительства, возглавленного евнухом Василием, и собирался осаждать Константинополь. Центральное правительство было вынуждено противопоставить Склиру другого представителя малоазиатской феодальной знати Варду Фоку, вызванного из монастырской келии, куда он попал после неудачного восстания против Цимисхия. Только в 979 г. удалось подавить восстание Склира, бежавшего в арабам“².

დღეს დასავლეთ ევროპაში საყოველთაოდ იხმარება, როგორც ბიზანტიის ისტორიის სახელმძღვანელო, გ. ო ს ტ რ ო გ ო რ - ს კ ი ს გერმანულად დაწერილი „ბიზანტიის სახელმწიფოს ისტორია“, რომელიც გერმანულ ენაზე ორჯერ გამოიცა, ხოლო 1956 წელს ინგლისურადაც დაიბეჭდა. აქ ვკითხულობთ:

ბარდა სკლეროსმა „ერთ-ერთი უძველესი და უმდიდრესი ბიზანტიური გვარის წარმომადგენელმა, გამოჩენილმა გენერალმა, რომელსაც თავისი სიძის ციმისხის დროს აღმოსავლეთის დომესტიკოსის უმაღლესი სამხედრო თანამდებობა ეკავა, 976 წლის ზაფხულში თავის ჯარებს კეისრად გამოაცხადებინა თავი. მის წინააღმდეგ გაგზავნილი გენერლები მან ზედიზედ დაამარცხა და თანდათან დაიმორჩილა მთელი მცირე აზია და 978 წლის დასაწყისში, ნიკეის აღების შემდეგ, მიუახლოვდა დედაქალაქს (კონსტანტინეპოლს). ამ უდიდესი საფრთხის პირობებში“ მთავრობამ „მომართა ბარდა ფოკას, ნიკიფორე კეისრის ძმისწულს, გაბედულ მეომარს, დევივით წარმოსადეგს, რომელმაც თვითონაც იოანე ციმისხის დროს სცადა ძალაუფლების უზურპაცია მოეხდინა. და როგორც მაშინ ბარდა სკლეროსმა, იოანე ციმისხის სამსახურში მყოფმა, ის დაამარცხა, ახლა მას უნდა მოეთოკა სკლეროსი ახალი ბატონების სამსახურში მყოფს, მართლაც, ბარდა ფოკამ თავისი ყოფილი მეროქე დაამარცხა, უფრო როგორც წარმომადგენელმა ძლიერი ფოკათა-გვარისა, ვიდრე როგორც კანონიერი კე-

¹ А. В а с и л ь е в, Лекции по истории Византии, т. 1 (1917), гл. 323. ვლადიმერის დახმარებას ადგილი ჰქონდა 987 – 988 წლებში, როდესაც სკლეროსი ხელმეორედ აჯანყდა,

² М. В. Л е в ч е н к о, История Византии. М. – Л. 1940, стр. 165 – 166.

ისრების მსახურმა. მან არ მოუშვა იგი საბრძოლველად კონსტანტინეპოლში, გამაგრდა კესარიაში, ფოკათა ციტადელში (Hochburg), და აიძულა უზურპატორი გაბრუნებულიყო. პირველი ბრძოლები სკლეროსმა მოიგო, მაგრამ 979 წლის 24 მაისს პანკალიის დაბლობში, ამორიონის მახლობლად, ფოკამ დაამარცხა თავისი მეტოქე ჯერ ორთაბრძოლაში, ხოლო შემდეგ მისი არმიაც საბოლოოდ გააცამტვერა. სკლეროსი გაიქცა ხალიფთა კარზე და ამით დამთავრდა სამი წლის ბრძოლების შემდეგ პირველი სამოქალაქო ომი¹.

როგორც ლევჩენკოს, ისე ოსტროგორსკის ძირითადად კედრენეს მიხედვით აქვთ გადმოცემული სკლეროსის აჯანყებისა და მისი ჩაქრობის ამბები, ოღონდ არა ჰყავთ მოხსენებული დავით კურაპალატი, რომელთანაც, კედრენის თქმით, წავიდა ფოკა დამხმარე ჯარის სათხოვნელად (εις ἐπιχορηγίαν ἤπει στρατὸν).

გერმანელი ბიზანტიტი ჰ. გელცერიც კედრენეს მიხედვით აღწერს სკლეროსის აჯანყების ისტორიას და დავით კურაპალატსაც იხსენიებს. ის წერს: ბარდა სკლეროსმა „ორჯერ დაამარცხა ბიზანტიური არმიები, ხელთ იგდო მთელი მცირე აზია და სერიოზულად ემუქრებოდა დედაქალაქს... ასეთ პირობებში გამოწვეულ იქნა... დიდი ხნის წინ გამეკვებული ქიოსის ერთ-ერთ მონასტერში სკლეროსის მეტოქე ბარდა ფოკა... მაგრამ სკლეროსი, როგორც ტაქტიკოსი, სჯობდა ფოკას. იმპერიის გენერალმა (ე. ი. ფოკამ) წააგო ორი ბრძოლა, ამორიონთან და ბასილიკა-თერმასთან (ხარსიანონის თემი კაპადოკიაში). იგი უნდა წასულიყო იბერიაში, რომ შეეკრიფა დაქირავებული ჯარი ბიზანტიის მოკავშირის, დავით კურაპალატის, ქვეყანაში, მესამე ბრძოლა, ღალისზე, პანკალიასთან, აგრეთვე უბედურად დაიწყო; მაგრამ ორთაბრძოლაში ფოკამ ცხენიდან ჩამოაგდო სკლეროსი. რადგან ცხენი უმხედროდ დარბოდა აჯანყებულთა რიგებში, ამათ ჩასთვალეს თავისი ბელადი დაღუპულად და გაიქცნენ. 979 წლის ზაფხულის ბოლოს სკლეროსი იძულებული იყო გაქცეულიყო არაბთა ტერიტორიაზე“².

¹ G. Ostrogorsky, Geschichte des byzantinischen Staates. München, 1940, გვ. 211 – 212.

² H. G e l z e r, Abriss der byzantinischen Kaisergeschichte (კრუმ-ბახერის „ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიაში“), München 1897, გვ. 991; იგივე რუსულად ვ. ბენეშევიჩის რედაქციით გამოსულ წიგნში Очерки по истории Византии, вып. 1. СПб 1912, გვ. 100.

როგორც ვხედავთ, არც ერთ სახელმძღვანელოში არ არის მოხსენებული, რომ ბარდა სკლეროსის აჯანყების ჩამქრობ მთავარ ძალას წარმოადგენდა დავით კურაპალატის 12-ათასიანი არმია და მისი მხედართმთავარი თორნიკე ერისთავი. მაგრამ ყველა ეს „ისტორია“ ემყარება როგორც ძირითად წყაროს გიორგი კედრენეს „ქრონოგრაფიას“, სადაც იბერთა ჯარის და თორნიკე ერისთავის როლი მიჩქმალულია. მაგრამ რის მიხედვით ვამბობთ ჩვენ, რომ კედრენეს „ქრონოგრაფიაში“ იბერთა ჯარის როლი მიჩქმალულია?

ჩვენს განკარგულებაში არის **რამდენიმე დოკუმენტი**, რომლებიც თარიღდება ბარდა სკლეროსის აჯანყების ახლო ხანებით. ამ დოკუმენტებში გარკვევით არის აღნიშნული დავით კურაპალატისა და თორნიკე ერისთავის როლი სკლეროსის აჯანყების ჩაქრობის საქმეში.

მაგრამ სანამ ამ დოკუმენტებზე ვილაპარაკებდეთ, საჭიროდ ვთვლი მოვიგონოთ ერთი ნარატიული წყარო, რომელიც აკაკი წერეთლის „თორნიკე ერისთავის“ ძირითად წყაროს წარმოადგენდა. ეს ნარატიული წყაროა გიორგი მთაწმინდელის ნაშრომი „ცხოვრება იოვანესი და ეფთჳმესი“, რომელიც დაწერილი უნდა იყოს XI საუკუნის შუა წლებში¹. ესე იგი: გიორგი მთაწმინდელის მიერ მოწოდებული ცნობები ბარდა სკლეროსის აჯანყების შესახებ სულ რაღაც 60 წლით არის დაშორებული, თვით აჯანყების თარიღს. რასაკვირველია, ამ 60 წლის მანძილზე კარგად ეხსომებოდა ყველა მთაწმინდელს თორნიკეს თავგადასავალი. ამ გარემოების მოგონება საჭიროა, რომ ნდობის ღირსად ჩავთვალოთ გიორგის მიერ მოწოდებული ცნობები.

ამ თხზულებაში გიორგი მთაწმინდელი მოგვითხრობს ჩვენ სკლეროსის აჯანყების ამბავს იმგვარად, როგორც ჩვენ ამ ნარკვევის დასაწყისში გადმოვცევით იგი:

«მას ჟამსა იქმნა განდგომილება სკლიაროსისა და ჳმელით კერძი ყოველი დაიპყრა და მეფენი² და დედოფალი შეწყუდეულად იყვნეს ქალაქსა შინა დიდითა ჳირითა და იწროებითა. და ამას რად შინა იყვნეს, განიზრახეს, ვითარმედ: „ჩუენი შემწე დავით კურაპალატისა განკიდე არავინ არს“. და ვინამთგან გზანი ყოველნი სკლიაროსსა დაეპყრნეს, კაცისა წავლენად

¹ გიორგი მთაწმინდელმა ეს შრომა დაწერა «ვიდრედა იყო დეკანოზად», ხოლო დეკანოზად იგი 1042 – 1044 წლებში იყო (იხ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1960, გვ. 219 და 235).

² მცირეწლოვანი მეფეები: ბასილი და კონსტანტინე.

არა ეგებოდა, და დიდსა ზრუნვასა შინა იყვნეს, რამეთუ არცა ვინ იყო ეგევი-თარი კაცი, რომელმანმცა სრულ-ყო ნებად გულისა მათისაა“.

ასეთ პირად მოიპოვეს თორნიკე, რომელიც დაითანხმეს, რომ დავით კურაპალატთან წასულიყო.

«და ესრეთ წიგნები ვედრებისად დაწერეს (დედოფალმან და პარაკიძემან ოსმან) კურაპალატსა თანა. და ესრეთ იჯმნა მეფეთაგან და რომლითაცა სახითა კურაპალატსა წინაშე მიიწია თორნიკე.

„ხოლო იხილა რად იგი კურაპალატმან, ფრიად განიხარა და წიგნები მეფეთად მიითულა, და ყოველიც საქმე თორნიკე გააცადა, რომლისათვისცა განზრახვად ქმნეს, რადთა ლაშქარნი წარმგზავნენ საბერძნეთს, და სპასალარად თორნიკე განაჩინეს...

«რომლისათვისცა მისცა კურაპალატმან თორმეტი ათასი მკვდარი რჩეული თორნიკს. და შეწევნითა ქრისტესითა აოტა სკლიაროსი და ვიდრე სპარსეთამდე მეოტად წარიქცია. და მერმე შეიქცა და სიტყვსაებრ მეფეთადას დატყუენნა ყოველნი დიდებულნი საბერძნეთისანი და მონაგები მათი იავარ-ყო და რომელიმე ლაშქართა განუყო და რომელიმე თვთ დაიმჭირა ნატყუენავი დიდძალი ფრიად: ოქრომ და ვეცხლი და სტავრად და სხუად ესევეითარი. და უკუნ იქცა და მოიკითხა კურაპალატი და დიდად მოიმაძლა და იჯმნა და მეფეთავე წინაშე მოვიდა.

«ხოლო იგინი დიდითა პატივითა მიეგებნეს და მოწლედ მოიკითხეს. იჯმნა უკუე მათგანცა და გამოეთხოვა. და კუალად მთაწმიდასვე მიიქცა» (ცხ. იოვანესი და ეფთემესი, თბ. 1947, გვ. 17 – 19) ¹.

მართალია, გიორგი მთაწმინდელის ეს შრომა დოკუმენტურ წყაროს არ წარმოადგენს, მაგრამ ძნელი საფიქრებელია, რომ იქ მოთხრობილი ამბავი ისტორიულ სინამდვილეს არ შეეფერებოდეს. ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს გიორგი მთაწმინდელის სამწერლობო მეთოდნი: «ჩუენ თავით თვისით არარად აღგვწერია – ამბობს გიორგი, – არამედ რად იგი ვისწავეთ კაცთა სარწმუნოთაგან და სულიერთა მამათა, რომელთა-იგი ეხილვნეს», აგრეთვე «თვთ მეზრ მათ საქმეთაგან, რომელნი-იგი დუმილით წამებენ და ჳმა-მაძლად ქადაგებენ ღუაწლთა და შრომათა მათთა» (ცხოვრება, გვ. 14).

ამგვარად, უნდა ვიფიქროთ, რომ გიორგი მთაწმინდელის შრომაში სანდო წყაროების მიხედვით არის გადმოცემული სკლეროსის აჯანყების ამბავი.

მაგრამ, ამ ნარატიული წყაროს გვერდით ჩვენ მოგვეპოვება დოკუმენტური მასალაც.

1. პირველ ასეთ დოკუმენტურ მასალას წარმოადგენს ზარზიმის წარწერა, რომელსაც სპეციალისტი მკვლევარები 979 წლის

¹ ამის შემდეგ მოთხრობილია, რომ ვიწროდ იყვნენ ქართველები (ათანასეს ლავრაში) და გადაწყვიტეს საკუთარი სავანის აგება, რაც, სისრულეში მოიყვანეს.

მახლობელი ხანით ათარიღებენ. ეს წარწერა ამოჭრილია ზარზმის ეკვდერზე:

«სახელითა ღმრთისათა და წმიდისა ღმრთისმშობელისა მეოხებითა, მე ივანე, ძემან სულამსმან აღვაშენე წმიდად ეგუტერი. მას ჟამსა ოდეს საბერძნეთს გადასკლიაროსი, დავით კურაპალატი ადიდენ ღმერთმან, უშველა წმიდათა მეფეთა, და ჩუენ ყოველნი ლაქმარსა წარგვავლინნა. სკლიაროსი გავაქციეთ მე¹ მას ქუეყანასა, რომელსა ჰქვიან ხარსანანი, ადგილსა, რომელსა ჰქვიან სარვე-ნისნი, მუნ ესუენა ტახტი...»².

რადგან წარწერა სკლეროსის აჯანყების მახლობელი ხანებით თარიღდება, ცხადია ამ წარწერის აზრი: ერთ-ერთ მოლაშქრეს, რომელსაც მონაწილეობა მიუღია დავით კურაპალატის მიერ სკლეროსის წინააღმდეგ მოწყობილ ლაშქრობაში, გამარჯვების შემდეგ მოპოებული ნადავლის ერთი ნაწილი შეუწირავს ზარზმის სავანისათვის და აუგია ეგუტერი. წარწერაში მოხსენებული ადგილები „ხარსანანი“, „სარვენისნი“ – ეს ის ისტორიული ადგილებია, რომელთა მიდამოებში ხდებოდა ბრძოლები ბიზანტიურ არმიასა და აჯანყებულებს შორის.

2. მეორე დოკუმენტს წარმოადგენს ერთ-ერთი ხელნაწერის ანდერძ-მინაწერი, სახელდობრ, ათონის მონასტრის ხელნაწერს № 9, რომელიც გადაწერილია 977 წელს, ბოლოში მე-375 გვერდზე აქვს შემდეგი მინაწერი:

«მე იოვანე თორნიკ ყოფილმან და ძმანან ჩემმან იოვანე ვარაზვაჩე ძეთა სულკურთხეულისა ჩორდვანელისათა მოვიგეთ და დავწერეთ წმიდად ესე წიგნი, რომელსა ეწოდების წმიდათა მამათა მიერ სამოთხე, რომელსა შინა იპოვებიან მრავალფერნი მადლნი მკურნალნი სულისანი, სალოცველად და სადიდებელად პირველად ძლიერისა და ღმრთის-მსახურისა კ უ რ ა პ ა ლ ა ტ ი ს ა დ ა ვ ი - თ ი ს თ ვ ს».

«...და მათსა შემდგომად სალოცველად თავთა ჩუენთა, პირველად იოვანე თორნიკ ყოფილისათვს და აწ წმიდათა მეფეთა მიერ იოვანე სვნიგლოზისთვს, რომელმანცა სიყუარულისათვს ღმრთისა დაუტევა დიდებამ ქუეყანისა, და პოვა ზეცისა, რამეთუ ღმრთისა მიერ ზეგარდამო დიდებასა შინა მათსა და პატივსა წმიდათა მეფეთა მიერ მწრაფლ შეიცვალა ხატი ერისა კაცობისა და შეიმოსა სახე მეუდაზნოვეთა, არამედ ამასცა სახესა შინა დიდად და ერთგულებით ჰმსახურა ძელსა ცხოვრებისასა და წმიდათა მეფეთა. რაჟამს-იგი გამოჩნდა ქუეყანასა საბერძნეთისასა კაცი განლაღებული და მჭდომად აღუდგა წმიდათა მეფეთა, ამან ისწრაფა და მოიწია ძლიერისა და ყოვლით-კერძოვე უძ-

¹ მ. კ ა ხ ა ძ ი ს აზრით (დასახ. შრომა გვ. 35) „მე“-ს მაგიერ უნდა ყოფილიყო „რე“ (გავაქციეთ-რე).

² Е. Т а к а й ш в и л и, Археологические экскурсии, разыскания и заметка. Выпуск I. Тифлис 1905, გვ. 19.

ლეველისა დავით კურაპალატისა, და ბრძანებითა ამათითა დაამკუა განზრახვაჲ მისი, და განამტკიცნა წმიდანი მეფენი. ღმერთმან დაიცვენ სულით და ჯორცით...

«დაიწერა წმიდაჲ ესე წიგნი დიდებულსა ლავრასა ოშკს საყოფელსა წმიდისა ნათლისმცემლისასა მამაობასა საბადასა – ქრისტემან აკურთხენ – კელითა სტეფანე დეკანოზისაჲთა და მისითავე კელითა შეიმოსა – ღმერთმან აკურთხენ – ქრონიკონსა იყო რ: ჟ: ზ [197+780=977]. ესე ანდერძი მე უღირსმან დავით დისწულმან ღმერთშემოსილისა მამისა მიქაელ მოდრეკილისამან დავეწერე...¹.

ამ დოკუმენტის მნიშვნელობა უაღრესად დიდია, იგი მოგვითხრობს იმასვე, რაც ასე ფართოდ აქვს გადმოცემული გიორგი მთაწმინდელს, ხოლო გიორგის შრომას ეს დოკუმენტი ორმოცდაათი წლით მაინც წინ უსწრებს.

დოკუმენტი გადმოგვცემს შემდეგს:

ა) თორნიკე ერისკაცობაში დიდი თანამდებობის მქონე იყო, ხოლო ღვთის სიყვარულისათვის დასთმო ამქვეყნიური დიდება («დიდებაჲ ქუეყანისაჲ») და აღიკვეცა ბერად («შეიმოსა სახეჲ მეუდაბნოვეთაჲ»),

ბ) მაგრამ ამ სახითაც (ესე იგი ბერად ყოფნის დროსაც) არ დაუგდია მეფეთა სამსახური; «ერთგულებით ჰმსახურა... წმიდათა მეფეთაო» რომ არის ნათქვამი ამ დოკუმენტში, ამით იგულისხმება ის ღვაწლი, რომელიც დასდო თორნიკემ მეფეებს ბასილის და კონსტანტინეს. თუ რა ღვაწლი იყო ეს, განმარტებულია მომდევნო წინადადებაში:

გ) როდესაც საბერძნეთში გამოჩნდა კაცი ბოროტი და თავხედი («განლაღებული», იგულისხმება ბარდა სკლეროსი), რომელიც წინააღმდეგ მეფეებს (ბასილის და კონსტანტინეს), თორნიკე მაშინვე გაეშურა დავით კურაპალატთან და ამის ბრძანებით (იგულისხმება დავითის მიერ მოცემული ჯარით) შეებრძოლა აჯანყებულ (სკლეროსს) და მისი გეგმები ჩაფუშა («დაამკუა განზრახვაჲ მისი»), ხოლო მეფეთა (ბასილის და კონსტანტინეს) მდგომარეობა განამტკიცა.

¹ R. Blake. Catalogue des manuscrits géorgiens de la Bibliothèque de la Laure d' Iviron au mont Athos. Paris (Revue de l' Orient Chrétien, 1931 – 34); გვ. 49 – 50, ხელნაწერი № 9.

ეს ხელნაწერი, რომელიც ათონის ქართველთა მონასტრის ბიბლიოთეკაშია დაცული, 1915 წელს გადმოუწერია ილია ბანძელს (ფანცულაიას) და საქართველოში ჩამოუტანია. იხ. საქ. სახ. მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, A კოლექცია, ტომი IV, თბ. 1954, გვ. 179 – 188, ხელნაწერი № 1142, ანდერძი მე-186 გვერდზე.

ამგვარად, ნათელია, რომ ეს დოკუმენტი, ხელნაწერის ანდერძ-მინაწერი, მოგვითხრობს სკლეროსის აჯანყების შესახებ და იმის შესახებ, თუ როგორი სამსახური გაუწიეს ბიზანტიის სამეფო კარს დავით კურაპალატმა და თორნიკე ერისთავმა.

მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამ დოკუმენტს იმის გამო, რომ იგი წარმოადგენს ანდერძ-მინაწერს 977 წელს გადაწერილი ხელნაწერისას.

ხელნაწერი წარმოადგენს იოანე ოქროპირისა და ეფრემ ასურის ჰომილიათა კრებულს; უკანასკნელი 58 ფურცელი უჭირავს იოანე მესხის „სამოთხეს“. ხელნაწერი, მართალია, ათონის ქართველთა სავანის ბიბლიოთეკაშია, მაგრამ ის ოშკშია გადაწერილი და თარიღი 977 წელი («ქორონიკონსა იყო 197», ე. ი. 977 წ.) ეხება ხელნაწერის გადაწერას, და ის არ არის თარიღი ანდერძ-მინაწერისა. ანდერძ-მინაწერიც შესრულებული უნდა იყოს იმავე სავანეში. რომ ეს ანდერძ-მინაწერი ათონზე ყოფილიყო შესრულებული, მაშინ იქ უთუოდ იქნებოდა მოხსენებული რომელიმე ათონელი მოღვაწე (იოანე, ექვთიმე...), ჩანს, სკლეროსის დამარცხების შემდეგ თორნიკეს შეუვლია ოშკში, სადაც მისი ძმა იოანე ვარაზ-ვაჩე მოღვაწეობდა, წიგნი შეუძენიათ და მინაწერიც დაურთავთ.

*

* *

თორნიკე ერისთავის დამსახურება ბიზანტიის სამეფო კარის წინაშე, როგორც ჩანს, კარგად ახსოვდათ ათონის ქართველთა სავანეში. ჩვენ საჭიროდ ვთვლით მკითხველს გავაცნოთ შემდეგი მასალაც.

1903 წელს ბერძნულ ენაზე გამოიცა წიგნი „მთაწმინდა“¹, რომელშიც დაწვრილებით არის მოთხრობილი ათონის მთაზე არსებული ყველა მონასტრის ისტორია, მათ შორის ქართველთა სავანის დაარსებისა და თავგადასავლის შესახებაც (გვ. 460 – 480).

აქ ფართოდ არის გაშუქებული თორნიკე ერისთავის ცხოვრება და მოღვაწეობა, თორნიკეს როლი ბიზანტიის ისტორიაში და მისი საქმიანობა ქართველთა სავანის დაარსებისათვის. სახელდობრ, მოთხრობილია, რომ ბარდა სკლეროსის აჯანყების დროს მცირეწლოვანი მეფეების (ბასილის და კონსტანტინეს) დედამ, დი-

¹ Γεωργ. Σμυρνάκης, Τὸ Ἅγιον Ὄρος. Ἐν Ἀθήναις 1903.

დებულთა რჩევით, ბერად აღკვეცილი თორნიკე მიავლინა დავით კურაპალატთან და რომ დავითის ბრძანებით შეკრებილი ლაშქრით თორნიკემ დაამარცხა ბარდა სკლეროსი. თორნიკეს დიდძალი ნადავლი ერგო. თორნიკეს ღვაწლის დასაფასებლად დედოფალმა შეაძლია მას საჩუქრები, მაგრამ თორნიკემ უარი განაცხადა.

შემდეგ ამ წიგნში ნათქვამია: რადგან ქართველები ვიწროდ იყვნენ ლავრაში ¹, ამიტომ იოანე იბერმა გადაწყვიტა საკუთარი ლავრა აეშენებინათ, დამოუკიდებელი, არა მთაწმინდის უფროსის იურისდიქციისადმი დაქვემდებარებული, არამედ უშუალოდ ელინთა მეფეების მფარველობაში მყოფი. ბასილი კეისარი სწყალობდა თორნიკეს და კეთილგანწყობილად შეხვდა ქართველთა ამ სათნო სწრაფვას, ამიტომ იოანე იბერი ჯერ გადავიდა ათონის მონიერიონში, ხოლო 980 წელს გამოითხოვა ბასილისაგან ლეონტიას მონასტერი თესალონიკეში, იოანე კოლოზის მონასტერი ჰიერისოში და წმ. კლემენტის მონასტერი ათონზე ყველა მათი მამულებით და შემოსავლით ათონის მონიერიონის შესანახავად და ახალი ლავრის დასაარსებლად, რომლისთვისაც თორნიკემ გამოიყენა ბარდა სკლეროსზე გამარჯვების წყალობით მოპოვებული ნადავლი. 985 წელს ქართველთა ლავრის აშენება დამთავრდა კეისრების თანხებით.

ასეა მოთხრობილი გერასიმე ზმირნაკის წიგნში („მთაწმინდა“) ქართველთა სავანის დაარსების ისტორია თორნიკე ერისთავის მოღვაწეობასთან დაკავშირებით. კეისარი ბასილი, რომელიც სამეფო ტახტზე იჯდა სწორედ თორნიკეს წყალობით, მზად იყო შეესრულებინა ათონელ ქართველთა ყოველგვარი თხოვნა: ნათქვამია ისიც, რომ კონსტანტინეპოლიდან საგანგებო ოსტატები გაუგზავნეს ათონის ქართველებს სავანის შენობის ასაგებად.

ამის გამო იყო, რომ თორნიკეს დიდი სახელი ჰქონდა მოხვეჭილი ათონის მოღვაწეთა შორის; ქართველთა სავანეში თორნიკეს ხსოვნას თაყვანს სცემდნენ. ქართველთა სავანის ისტორიის დამწერი (ზმირნაკის წიგნში) ასე ამთავრებს თავის აღწერას:

Ἐν τῇ βίβλιῳ θήκη τῶν Ἰβήρων διατηρεῖται εἰσέτι ἀνηρτημένον μέρους τοῦ ἀλυσσῆματος θάρρακος τοῦ γενναῖοτάτου τοῦτου πο-

ქართველთა [მონასტრის] ბიბლიოთეკაში დღემდე ინახება ამ უმამაცესი მებრძოლის თორნიკეს ჯაჭვის პერანგის შესაკრავი (? ἀνηρ-

¹ ქართველებს ხომ საკუთარი მონასტერი არ მოეპოვებოდათ და ისინი ათანასეს ლავრაში იყვნენ შეკედლებული.

λεμιστον Τοργικίον και βέλος
σχήματος Ταταρικόν ἐν μέρει
συγτεθλιμμένον (Τὸ βγ. ὅρις,
გვ. 463)

τημένον μέρος) და მისი ისარი
თათრული სახისა, ნაწილობრივ:
შექყლეტილი.

ამ რელიკვიების შესახებ ლაპარაკობს აგრეთვე ტ ი მ ო თ ე
გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი: «მონასტრისა მის საგანძურსა ძეს მრავალნი ქარ-
თველთაგან შემოწირულნი საყდრისა სამკაულნი თუ შესამოსელნი.
და კვალად ძეს თ ო რ ნ ი კ ი ს ს ა ჭ უ რ ვ ე ლ ნ ი: ზ უ ჩ ი, ჯ ა ჭ ვ ნ ი
და ა ბ ჯ ა რ ი და კ რ მ ა ლ ი, რაჟამს-იგი მონაზონებასა შინა შე-
იმოსნა და შებმა უყო სპარსთა და განიოტნა იგინი»¹.

რაოდენ დიდი უნდა ყოფილიყო თორნიკეს სახელისადმი და
ხსოვნისადმი მოწიწება, რომ საუკუნეთა მანძილზე გამოეტარებინათ
მოგონება მის ნახმარ ჯაჭვის პერანგზე და საბრძოლო იარაღზე.

*
* *
*

ზმირნაკის წიგნში მოხსენებული ფაქტები ქართველთა მო-
ნასტრის ისტორიიდან ემყარება დოკუმენტურ წყაროებს. ასე,
მაგალითად, იქ მოხსენებულია, რომ ქართველთა სავანეს შეუერთ-
და სამი მონასტრის ადგილ-მამული მთელი მათი შემოსავალით
ქართველთა ახლად დაარსებული ლავრის გასამლიერებლად. მართ-
ლაც, ჩვენამდე მოღწეულია 980 წლით დათარიღებული და ბიზან-
ტიის კეისრის ბასილი II-ის მიერ გაცემული სიგელი (χρυσόβουλ-
λος λόγιος), რომლის ძალითაც ქართველთა მონასტერში გაერთი-
ანდნენ თავთავიანთი მამულებით იმ სამი მონასტრის ბერები,
რომლებიც ზემოთ იყვნენ მოხსენებული. ჩვენ ხელთ არ არის ამჟა-
მად ამ ქრისობულის ტექსტი, ტექნიკურ დაბრკოლებათა გამო,
მაგრამ ამ სიგელის აღწერილობას აქვე მოვიყვანთ.

980 (6488). *Ohrysob. des K. Basilius II Porfyrogenitus
über die Vereinigung der Bewohner des Klosters Leontias in
Thessalonich, des Klosters Johannes Kolovus in Hierissus und*

¹ ტ ი მ ო თ ე გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, მიმოსლვა. ელ. მეტრეველის გამოცემა, თბ.
1956, გვ. 22, 16 – 21. ამ ტექსტის ვარიანტულ სხვაობებში ვკითხულობთ: «მო-
ნასტრისა მის სალაროსა (ამას უნდა უდრიდეს *ἐν τῇ βελλισθηρίῳ*) ძეს მრავალნი
შემოწირულნი ქართველთაგან საყდრის სამკაული თუ შესამოსელნი და ძეს კვა-
ლად თ ო რ ნ ი კ ი ს ს ა ჭ უ რ ვ ე ლ ი და ა ბ ჯ ა რ ი და ჯ ა ჭ ვ ი, რაჟამს-იგი
მონაზონებასა შინა შეიმოსა და განიოტნა და იავარ ყო სპარსნი, საჭურველნი
კვალად მუნვე ძეს (იქვე, გვ. 106).

*des Klosters des heiligen Klemens auf dem Athos im Kloster Iviron*¹.

იგივე სიგელი აღწუსებული აქვს ფრ. დელგერს თავის „კორპუსში“:

980. – xxx: *Über die Vereinigung der Insassen des Klosters Leontias in Thessalonike, des Iohannes-Kolobuklosters in Hierissos und des Klosters des heiligen Klemens auf dem Athos im Kloster I b e r o n*².

ამ ქრიზობულის ტექსტს ასე გადმოგვცემს კორფორი უსპენსკი, რომელმაც 1845-სა და მომდევნო წლებში იმოგზაურა ათონის მთაზე.

...Καὶ τοῦ παναοιδίμου βασιλέως Κυρ Βασιλείου τοῦ Πορφυρογεννήτου Χρυσόβουλλος γεγονῶς κατὰ τὸ ‚συη‘ (980) ἔτος τῷ μοναχῷ Ἰωάννῃ καὶ συγγέλῳ τῷ Τορνικίῳ κατὰ τρόπον ἀνταλλαγῆς ὑπαγορεύων αὐτῷ δωρηθῆναι τὴν μονὴν τὴν Λεοντίας ἐν τῇ Θεσσαλονίκῃ, καὶ τὴν μονὴν τοῦ Κολοβῶν ἐν Ἐρισσῷ, πρὸς δὲ καὶ τὴν μονὴν τοῦ Κλήμεντος, ἣτις ἐπ’ ὀνόματι μὲν τοῦ τιμίου προδρόμου καὶ βαπτιστοῦ Ἰωάννου καθύδριται, κατὰ δὲ τὸ ὄρος τὸν Ἄθωνα διακείται, ἀνθ’ ὧν παρητήσατο δῶμα μονῶν, τῆς τε μονῆς τῆς Ἰβηρίσσης, τῆς ἐν τῇ βασιλίδι τῶν πόλεων τυγχανούσης, καὶ τῆς μονῆς τοῦ ἁγίου Φωκᾶ, τῆς ἐν Τραπεζοῦντι διακειμένης...³

...და ნეტარხსენებული მეფის უფალ ბასილი პორფოროგენეტის მიერ 6488 (6488 – 5508 = 980) წელს იოანე ბერისა და თორნიკე სინგელოზისადმი გაცემული ოქრობეჭედი („ქრიზობული“), რომლითაც მეფე სანაცვლოდ აღუთქვამს მას, რომ ბოძებული იქნება ლეონტიას მონასტერი თესალონიკში, და კოლოზოს მონასტერი ერიოსში, გარდა ამისა კლემენტის მონასტერიც, რომელიც დაარსებულია პატოსანის წინამორბედის და ნათლისმცემლის იოანეს სახელობაზე, ხოლო მოიპოვება ათონის მთაზე, რომელთა სანაცვლოდ გამოთხოვილია ორი მონასტერი: ერთი მონასტერი იბერისისა, რომელიც არის სამეფო ქალაქში, და მეორე წმინდა

ფოკას მონასტერი, რომელიც მდებარეობს ტრაპეზუნტში...

¹ Josef Müller, Historische Denkmäler in den Klöstern des Athos: Slavische Bibliothek. I Band. Wien 1851, გვ. 148.

² Fr. Dölger, Corpus der griechischen Urkunden des Mittelalters und der neueren Zeit. Reihe A: Regesten... 1. Theil. München 1924, გვ. 98.

³ П. Успенский, Восток христианский, Киев 1877 (часть III), гв. 333.

*
* *
*

დავით კურაპალატის დროინდელი ამბები აღწერილი აქვს აგრეთვე სომეხ ისტორიკოსს ა ს ო ლ ი კ ს (XI ს.), რომელიც თავის ისტორიაში ეხება ბარდა სკლეროსის აჯანყებას და დავით კურაპალატის როლს ამ აჯანყების ჩაქრობაში ¹. თავისი ისტორიის მესამე თავში ასოლიკი გადმოგვცემს, რომ ათონის ბერი იოანე-თორნიკე, კურაპალატ დავით იბერიელის ყოფილი მხედართმთავარი, ბიზანტიის მეფეთა მიერ გაიგზავნა დავით კურაპალატთან: დაგვეხმარე ბარდა სკლეროსის წინააღმდეგ ბრძოლაში და მთელი ნადავლი თქვენი იქნება, გარდა ამისა იბერიას გადაეცემა შემდეგი ადგილები: ხალტოფარიჭი, კლესურა, ჩორმაირი, კარინი (არზრუმი), ბასიანი, ციხე სევუგი, რომელიც მარდალში იყო, აგრეთვე ჰარქი და აპაპუნისი. სტეფანე ასოლიკი იქვე დასძენს: ბასილ კეისარმა ეს ქვეყნები მართლა გადასცა დავით კურაპალატსაო ².

ამგვარად, როგორც ძველი ნარატიული წყაროები (გიორგი მთაწმინდელი, ასოლიკი), ისე თავისდროინდელი სიგელ-გუჯრები ამტკიცებენ დავით კურაპალატისა და თორნიკე ერისთავის გა-

¹ თუ რა თავზარდამცემი იყო ის შემფოთება, რომელიც გამოიწვია სკლეროსის აჯანყებამ, ჩანს ერთი ქართული ხელნაწერის გადამწერის ანდერძიდან: ხელნაწერი **978 წელს** არის გადაწერილი ულუმბოს მთაზე, კრანის სავანეში, სწორედ მაშინ, როდესაც სკლეროსი მძვინვარებდა მცირე აზიაში. ამ ანდერძში ვკითხულობთ:

«დაიწერა საბერძნეთს, მთასა წმიდასა ო ლ ი მ ბ ო ს, საყოფელსა წმიდისა ლთის მშობელისასა, ლავრასა შინა სახელით კ რ ა ნ ი ა ს, მეფობასა ბასილისსა და კოსტანტინესსა, პატრიაქობასა ანტონისსა და ფიცხლად განდგომილებასა ვ ა რ და ს კ ლ ე რ ო ს ი ს ა, ჭირსა დიდსა საბერძნეთისასა, ოჯრებასა გლახაკთასა და აწყუედასა ჭაბუკთასა უწყალოდ ურთიერთას მახვლითა; ძმად ძმასა ზედა და მამად შვილსა ზედა.

«ესე ყოველი იქმნებოდა, ამას რად წიგნსა ვწერდი, ხოლო თუ ძლევად ვის მიეცემოდა, არავინ უწყოდა, თვნიერ ლთისა. ყოველნივე ურთიერთას ეკუთებოდეს, სიტყთ და საქმით, მცირენი და დიდნი ყოველნი იბრძოდეს.

«დასაბამითგანნი წელნი იყვნეს ხვჰბ [6582], ქრონიკონი იყო რჟღ [198], (ხელნაწერთა აღწერილობა, H კოლექცია, ტომი III, 1948, გვ. 203; თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები I, 123; მ. კ ა ხ ა მ ე, ქართველები ბიზანტიის პოლიტიკურსა და კულტურულ ცხოვრებაში. თბ. 1954, გვ. 33 – 34),

² ს ტ ე ფ ა ნ ე ტ ა რ ო ნ ე ლ ი ა ს ო ლ ი კ ი, *ჟეორგიისაჲს სიხეცხოჲსაჲს*, III, 15; სტ. მალხასიანის გამოც., პეტერბურგი 1885, გვ. 192; ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია II (1948), 126.

დამწყვეტ როლს ბარდა სკლეროსის აჯანყების ჩაქრობის საქმეში¹.

ბასილი კეისარი იბერიაში

Ἀπολυθεις δὲ τῶν ἐμφυλίων πολέμων καὶ φροντίδων ὁ βασιλεύς, πῶς ἂν διάθῃται τὰ κατὰ τὸν Σαμουήλ ἐσκόπει καὶ τοὺς λοιποὺς τοπάρχας, οἵτινες ταῖς ἀποστασίαις ἐνασχολουμένου ἄδειαν εἰληφότες οὐ μικρὰ τὰς τῶν Ῥωμαίων ἐπικρατείας ἐλύπησαν. Ἐξείσιν οὖν εἰς τὰ πῖ Θράκης καὶ Μακεδονίας χωρία, καὶ κάτεισιν εἰς Θεσσαλονίκην, ἀποδώσαν τὰ εὐχαριστήρια τῷ μεγαλομάρτυρι Δημητρίῳ· ἐκεῖσέ τε Γρηγόριον μάχιστρον τὸν Ταρωνίτην ἄρχειν λιπῶν, δούς αὐτῷ καὶ στρατὸν ἀξιόμαχον ἐφ' ᾧ εἶργειν καὶ ἀνακόπτειν τὰς ἐπιδρομὰς τοῦ Σαμουήλ, αὐτὸς ὑποστρέψας κἀν τῇ βασιλίδι γενόμενος ἄνεισιν εἰς Ἰβηρίαν· ἤδη γάρ καὶ ὁ κουροπαλάτης ἐτεμνήκει Δαβίδ, κληρονόμον τῶν αὐτῷ προσηκόντων γράψας τὸν βασιλέα. Ἐκεῖσε δὲ γενόμενος, καὶ τὴν δοθεῖσαν αὐτῷ κληρονομίαν καταστησάμε-

შინაურ ომთა და ზრუნვა-თაგან რომ განთავისუფლდა მეფე, დაიწყო იმაზე ფიქრი, თუ როგორ დაესაჯა სამუელი და დანარჩენი ტოპარქები, რომლებმაც ძალიან აიშვეს თავი იმით, რომ მეფის წინააღმდეგ აჯანყებაში მონაწილეობა მიიღეს და რომაელთა სახელმწიფოს არა მცირედი ზიანი მიაყენეს. ის გაემართა თრაკიისა და მაკედონიის მხარეებში და ჩავიდა თესალონიკეში, სადაც მრავალი მაღლი შესწირა დიდ მოწამე დემეტრეს, იქ მმართველად დასტოვა მაგისტროსი გრიგოლ ტარონელი და მისცა მას დიდძალი ჯარი, რათა სამეულის იერიშები შეეკავებინა, თვითონ კი გამობრუნდა და სატახტო ქალაქზე გავლით იბერიაში ავიდა; და ვით კურაპალატი გარდაცვლილიყო და თავისი სამფლობელოების მემკვიდრედ მეფე დაეწე-

¹ ერთადერთი მკვლევარი, რომელმაც ამ ჩვენს დროში ანგარიში გაუწია ქართულ წყაროებს, ეს იყო ერნსტ ჰონიგმანი, რომელმაც ბარდა სკლეროსის აჯანყების შესახებ მსჯელობის დროს გამოიყენა ზარზმის წარწერა.

Erns Honigman, Die Ostgrenze des byzantinischen Reiches.

Bruxelles 1936, გვ. 150. ზარზმის წარწერასვე იცნობს, სკლეროსის აჯანყებასთან დაკავშირებით, G. Schlumberg, L'épopée byzantine, Paris 1896, გვ. 424 – 427.

νος, και τὸν τοῦ κοροπαλάτου
 Δαβιδ [ἀδελφὸν] Γεώργιον τὸν
 τῆς ἐνδοτέρω Ἰβηρίας ἄρχοντα
 τοῖς οἰκείοις ἀρκεῖσθαι πείσας
 και μὴ ἐπιβαίνειν τοῖς ἀλλοτρίοις
 σπεισάμενός τε αὐτῶ και ἄμνηρον
 εἰληφῶς τὸν τοῦτου υἱόν, ἀπεισιν
 εἰς Φοινίκην, ἔχων μεθ' ἑαυτοῦ
 και τοὺς ἐν τῇ κατ' αὐτὸν Ἰβη-
 ρία κατὰ γένος πρωτεύοντας, ὧν
 ἦσαν κοροφαῖοι ὁ Πακοურიάνος
 και Φεβδάτος και Φέρσης οἱ
 αὐτάδελφοι, οὖς και εἰς τὸν τῶν
 πατρικίων ἀνεβίβασε Φῶκον (CB
 II 447,5—448,1).

რ ა. იბერიაში რომ ჩავიდა, მი-
 ცემული მემკვიდრეობა დაიდგი-
 ნა, ხოლო კურაპალატის [ძმა]
 გიორგი, შიდა იბერიის მმართველი,
 დაარწმუნა დაკმაყოფი-
 ლებულიყო თავისი საკუთარი
 სამფლობელოთი და სხვისას არ
 შესეოდა, შეკრა მასთან ზავი,
 მძევლად მისი ვაჟი მიიღო და
 ფინიკიაში წავიდა; თან წაიყვან-
 ნა იბერიის დიდგვარიანები, რომე-
 ლთაგან უმთავრესნი იყვნენ
 ბაკურიანი, ფევდატე და ფერსი,
 ღვიძლი ძმები, რომელნიც მან
 პატრიკიოსთა ხარისხში აიყვანა.

ნიკიფორე ქსიფიასის და ფოკას მის ნიკიფორეს აჯანყება. ქართლის მეფე გიორგი I

Γεωργίου δὲ τοῦ ἄρχοντος
 Ἀβασγίας τὰς πρὸς Ῥωμαίους
 ἀμειψάντος συνθήκας και τὰ
 ἄμωρα κατατρέχοντος, ἔξεισι κατ'
 αὐτοῦ ὁ βασιλεὺς πανστρατί, κα-
 τόπιον λιπῶν Νικηφόρον πατρικίον
 τὸν Ἐπιφάν και Νικηφόρον πατρι-
 κίον τὸν υἱὸν Βάρδα τοῦ Φωκᾶ.
 Οἱ δὲ διὰ τὸ τῆς στρατείας ἀπο-
 λελεῖσθαι δεινοπαθήσαντες οὐ
 μικρῶς, λαθὼν ὧς ἔτυχεν ἡθροικώ-
 τες ἀπὸ τε Καππαδοκίας και
 Ῥοδάντου και τῶν πέριξ χωρίων
 ἀποστασίαν κινουσιν.

Ὅσπερ ἀγγεληθέντος τῶ βα-
 σιλεῖ ταραχὴ κατεῖχε τὴν παρεμ-
 βολὴν και ἀγωνία, δεδοικῶσαν μὴ

რადგან აბაზგიის მთავარმა
 გიორგიმ დაარღვია რომაელებ-
 თან დადებული ხელშეკრულება
 და რომაელთა საზღვრებში იჭ-
 რებოდა, მეფემ მთელი ჯარით
 გაილაშქრა მის წინააღმდეგ, ხო-
 ლო პატრიკიოსი ნიკიფორე ქსი-
 ფიასი და პატრიკიოსი ნიკიფო-
 რე, ბარდა ფოკას ძე, შინ და-
 სტოვა, ამათ კი ძალიან ეწყი-
 ნათ, რომ ისინი ლაშქრობას გა-
 მოთიშეს; შეკრიბეს, როგორც
 იყო, ჯარი კაპადოკიიდან, რო-
 დანტიდან და მეზობელი მხა-
 რეებიდან და აჯანყება მოაწყეს.

ეს ამბავი რომ აუწყეს მეფეს,
 მისი ბანაკი შიშმა და ძრწოლამ
 მოიცვა. ეშინოდათ, ვაი თუ

πως ἐν μέσῳ Ἀβασγῶν τε καὶ τῶν ἀποστατῶν συνειλημμένοι (διεδέδοτο γὰρ καὶ λόγος ὡς οἱ περὶ τὸν Ξεφίαν διεκηρυκέσαντο περὶ τοῦτου πρὸς τὸν ἄρχοντα Ἀβασγίας) ἀνήκεστον τι πάθωσιν.

Ὁ δὲ βασιλεὺς γράμματα γράψας πρὸς τε τὸν Ξεφίαν καὶ τὸν Φωκᾶν ἐξέπεμψε, παραγγείλας τῷ λαβόντι σπουδᾶσαι πάντα τρόπον λαθεῖν καὶ ἐκάστῳ ἀσυγχνώστως δεδωκέναι τὸ γράμμα. Τοῦ δὲ ὡς ἐκελεύσθη ποιήσαντος καὶ τὰς ἐπιστολὰς ἐγχειρίσαντος λεληθότος, ὁ μὲν Φωκᾶς εὐθὺς ἐπανέγνω τὴν ἑαυτοῦ τῷ Ξεφίᾳ, ἐκεῖνος δὲ τὴν ἑαυτοῦ ἀποκριψας καὶ γράμμα δέξασθαι ἔλωσ ἀπαρνησάμενος ἐν μιᾷ τῶν ἡμερῶν καλεῖ τοῦτον ἐπὶ κοινολογίαν, καὶ ἐλθόντα, λόχους ἔχων προεστρεπισμένους, ἀποκτίνουσι. Καὶ ἡ ἐπισύστασις τῶν ἀποστατῶν εὐθὺς διεσχεδᾶσθη.

Τοῦ δὲ θανάτου τοῦ Φωκᾶ γνωσθέντος τῷ βασιλεῖ πέμπεται Θεοφύλακτος ὁ Δαμιανοῦ τοῦ Δαλασσηνοῦ υἱός, καὶ τὸν Ξεφίαν συλλαβῶν ἐκπέμπει δέσμιον πρὸς τὴν βασιλίδα πρὸς Ἰωάννην τὸν πρωτονοτάριον, ὃς ἐν τῇ νήσῳ τοῦ Ἀντιγόγου μοναχὸν αὐτὸν ἀποκείρει.

Ὁ δὲ βασιλεὺς τοῦ τῶν ἀποστατῶν ἀπολυθεὶς δέους συμβάλλει τοῖς Ἀβασγοῖς, καὶ πολλοὶ πίπτουσι τῶν Ῥωμαίων.

აბაზგებსა და აჯანყებულთა შუა მოვემწყვდეთ და ცუდი დღე დაგვადგესო (ხმები დადიოდა, ქსიფიას კაცები ამის შესახებ მოლაპარაკებას აწარმოებენ აბაზგიის მთავართან).

მეფემ წერილები გაუგზავნა ქსიფიასს და ფოკას და შიკრიკს დაავალა ყოველნაირად ცდილიყო, რომ ერთიმეორის ჩუმიად გადაეცა წერილები. შიკრიკმაც შეასრულა დავალება და ჩუმიად ჩააბარა წერილები; ფოკამ მაშინვე გააცნო ქსიფიასს თავისი წერილი, ამან კი თავისი წერილი არ გამოუჩინა და სრულიად უარყოფდა წერილი არ მიმიღიაო; ერთ დღეს ქსიფიასმა მოსალაპარაკებლად უხმო მას და, რომ მოვიდა, წინასწარ ჩასაფრებულ კაცებს მოაკვლევინა იგი. მემხოხეთა კავშირი მაშინვე დაიშალა.

მეფეს რომ აცნობეს ფოკას სიკვდილი, მან გაგზავნა დამიანე დალასენოსის შვილი, თეოფილაქტე, რომელმაც დაატყვევა ქსიფიასი და შებორკილი მიჰგვარა სატახტო ქალაქში იოანე პროტონოტარს. იოანემ იგი ბერად აღკვეცა და ანტიგონეს კუნძულზე გადაასახლა.

მემხოხეთაგან განთავისუფლებული მეფე ეკვეთა აბაზგებს; თუმცა რომაელთაგან ბევრნი დაიღუპნენ, მაგრამ ორივე მხარის

Ὁμως διελύθησαν ἀμφω τὰ στρα-
τεύματα, καὶ ἡ νίκη ἀμφίβολος ἦν.

Μετὰ δὲ ταῦτα δευτέρως
συμπλοκῆς γενομένης, τῇ ια' τοῦ
Σεπτεμβρίου μηνός, ἰνδικτικῶνος ς',
κατὰ τὸ ςφλα' ἔτος, πίπτει μὲν ὁ
Λιπαρίτης (οὗτος γάρ ἦν ἀρ-
χιστράτηγος τῷ Γεωργίῳ) καὶ
σὺν αὐτῷ πᾶν τὸ κρατιστεῦον ἐν
'Αβασγοῖς, φεύγει δὲ καὶ ὁ Γε-
ώργιος εἰς τὰ ἐνδότερα ὄρη τῆς
'Ιβηρίας.

Μετ' ὀλίγον δὲ διαπρεσβευ-
σάμενος, καὶ τῷ βασιλεῖ ἐκστὰς
χώρας ὀπόσης ἐβούλετο, σπένδε-
ται, ὁμηρον δοῦς τὸν υἱὸν αὐτοῦ
Παγκράτιον· ὃν μάλιστα ποιή-
σας ὁ βασιλεὺς ὑπέστρεψεν.

Τοὺς μὲν οὖν ἄλλους τῶν
τῷ Ξεφία συναραμένων καὶ τῷ
Φωκῆ τῶν ὑπαρχόντων γυμνώσας
καθεῖρξεν, μόνον δὲ τὸν πατρι-
κιον Φέρσην ἀπέκτεινεν, πρὸ πάν-
των τὲ προσρῦέντα τοῖς ἀποστά-
ταις, καὶ τέσσαρας ἀρχόντων γει-
τόνων κουράτωρας ἀποκτείναντα,
καὶ ἐκτομίαν τινὰ βασιλικὸν αὐτο-
χείρως καρατομήσαντα. Ἐδόθη
δὲ καὶ λέουσι βασιλικοῖς τις θια-
λαμηπόλος βρῶμα, ἐλεγχθεὶς
φαρμάκοις ἐπιβουλεύων τῷ βασι-
λεῖ δια τὸν Ξεφίαν (CB II,
477—478).

ჯარები რომ დაიშალნენ, აღმო-
ჩნდა, რომ გამარჯვება არავის
არ ჰრგებია.

ამის შემდეგ მოხდა მეორე
ბრძოლა, სექტემბრის თერთ-
მეტს, მეექვსე ἰნდიქტიონს,
6531 წელს; ამ ბრძოლაში და-
ეცა ლიპარიტი (იგი ჰყავდა
გიორგის მთავარსარდლად) და
მასთან ერთად აზაზგების ჯარის
საუკეთესო ნაწილი; თვითონ
გიორგი გაიქცა იბერიის შიდა
მთებში.

ცოტა ხნის შემდეგ მან მო-
ლაპარაკება გამართა მეფეს-
თან, დაუთმო თავისი ქვეყნის
ის ადგილები, რომლებიც მეფეს
სურდა, და შეკრა ზავი; თავისი
ვაჟი ბაგრატიც მძევლად მისცა.
მეფემ მაგისტროსობა უბოძა
ბაგრატს და უკან გაისტუმრა.

სხვებს კი იმათი რიცხვიდან,
ვინც ქსიფიასსა და ფოკას ეხმა-
რებოდნენ, ქონება ჩამოართვა
და დაატუსაღა; სიკვდილით მხო-
ლოდ პატრიკიოსი ფერსი დასა-
καὶ ἄλλων ἐθνῶν πληθὺς οὐκ ὀλί-
γη· οἵτινες τῇ οἰκείᾳ θαρροῦντες
πληθύνει οὐ κατεδέξαντο εἶσω τεῖ-
χους γενέσθαι, καὶ ταῦτα τῆς
Θεοδοσιουπόλεως ἐκ γειτόνων κει-
μένης, μεγίστης πόλεως καὶ τεῖ-
χος ἐχούσης ἰσχυρὸν καὶ ἀνάλω-
τον, πολλὰ τοῦ Κεκαυμένου διὰ
γραμμάτων καὶ ἀπειλήσαντος καὶ
παρακαλέσαντος.

Καταλαβόντων οὖν τῶν Τούρ-
κων καὶ ἀπτομένων ἔργου, οἱ
ἐν τῷ Ἄρτζε τὰς διόδους συγ-

ისე გაიაზრა, რომ არ ღირდა
ნადავლის აღებას შესდგომოდა,
უკან დაედევნა მათ და ჩქარობ-
და ახლავე შებმოდა მათ, სანამ
სხვა ჯარიც იქნებოდა შეკრე-
ბილი.

ეს რომ რომაელთა სარდ-
ლებმა შეიტყეს, და რადგან შე-
ეშინდათ, ვაი თუ ძალაუნებურად
იძულებული გავხდეთ ვიომოთ
ლიპარიტის მოსვლამდეო, თავი
შეაფარეს ერთ მხელმისასვლელ-
სა და ციცაბო ადგილს, რომე-
ლიც ყოველი მხრიდან გარემო-
ცული იყო თხრილებით, და იქ
დადგნენ, ხოლო ლიპარიტს

ხოლო აბრამი არ დაედევნა
რომაულ ჯარს და მივიდა ეგ-
რეთწოდებულ არძეში. დაბა-ქა-
ლაქი არძე მჭიდროდ-დასახლებუ-
ლია და დიდი სიმდიდრის მქონე;
აქაური მკვიდრი მცხოვრებლები
არიან ვაჭრები, და აგრეთვე არა
მცირედნი არიან სირიელები,
არმენიელები და სხვები; ისინი
საკუთარი სიმრავლით გათამა-
მებულნი არ შეიხიზნენ (?) კედ-
ლის შიგნით, თანაც მეზობლად
მდებარეობდა თეოდოსიუპოლი,
დიდი ქალაქი, აუღებელი მაგა-
რი კედლის მქონე, თუმცა კე-
კავმენი წერილის საშუალებით
ძალიან ემუქრებოდა და სთხოვ-
და კიდევ.

როდესაც თურქებმა ეს დაბა
აიღეს და საქმეს შეუდგნენ, არ-
ძეს გზები ჩაკეტეს, ავიდნენ სა-

Ἄγγελθέντος δὲ τούτου τοῖς στρατηγοῖς, ὁ Κεκαυμένος πολὺς ἦν ἐγκείμενος καὶ παρακαλῶν ἀπελθεῖν καὶ συμβαλεῖν τοῖς Τούρκοις τὸν νοῦν ἔχουσι πρὸς τῇ πολιορκίᾳ, καὶ μὴ καθῆσθαι τηγάλλως καὶ τρίβειν τὸν χρόνον, τὴν συκίνην προσιμένοντας ἐπικουρίαν τὸν Λιπαρίτην, καὶ τὸν ἐπιτήδειον παρατρέχοντα βλέπειν καιρόν, οὗ τυχεῖν πάλιν οὐ ράδιον. Ἄντιπίπτοντος δὲ τοῦ Ἄσαρῶν, καὶ μηδὲν τι διαπράξασθαι λέγοντος παρὰ τὸ βασιλικὸν βούλημα, ἡσυχίαν καὶ αὐτὸς ἦγεν.

უიძისოდო, თვითონაც მშვიდად იყო.

Ἄβράμιος δὲ μὴ κατὰ σκοπὸν χωρούντων αὐτῶ τῶν πραγμάτων, μὴ δυνάμενος πολιορκίᾳ τὴν καιρόπολιν παραστήσασθαι, ὑπεριδὼν καὶ πλοῦτου τοῦ λείας πῦρ ἐνεῖναι τοῖς δώμασιν ἐγκელεύεται, καὶ εὐθύς οἱ Τούρκοι θαλοὺς αἶροντες καὶ ὕλην εὔπρηστον ἐξάπτοντες ἐρρίπτουσι ἐν τοῖς δώμασιν· ἀναφθέντος δὲ τοῦ πυρὸς πανταχόθεν καὶ πυρκαϊᾶς μεγίστης ἀνεγερθείσης, οἱ Ἄρτζηνοὶ πρὸς τε τὸ πῦρ πρὸς τε τὰς ἐκ τῶν τόξων βολὰς μὴ δυνηθέντες ἀντέχειν ἐνέκλιναν εἰς φυγὴν.

ვერც მშვილდთა ისრებისათვის და გაქცევას მისცეს თავი.

ხურავებზე და ქვებით, ჯოხებით და მშვილდისრით ებრძოდნენ შემომტევთ. და ასე გაგრძელდა ბრძოლა მთელი ექვსი დღე.

ეს რომ სარდლებმა შეიტყეს, კვავებენი დაჟინებით მოითხოვდა, რომ წასულიყვნენ და შემომოდნენ თურქებს, რომელნიც ალყის შემორტყმით იყვნენ გატაცებული; ტყუილ-უბრალოდ დროს ნუ ჰკარგავთ – ეუბნებოდა ის – ლიპარიტის ფუჭი დახმარების მოლოდინშიო, ხელიდან ნუ უშვებთ ამ ხელსაყრელ შემთხვევას, რომელიც კვლავ აღარ გეწვევათო. რადგან აარონი ეწინააღმდეგებოდა *კვავებენს* და ამბობდა არაფერი არ უნდა მოვიმოქმედოთ მეფის სურვილის

აზრამმა, რადგან საქმეები არ წაუვიდა მას დასახული მიზნის მიხედვით და ვერც დაბის ალყის შემორტყმით შესძლო დაბის აღება, არად ჩააგდო ნადავლის სახით მოსალოდნელი სიმდიდრე და ბრძანება გასცა სახლებისთვის ცეცხლი წაეკიდათ; თურქებმაც მაშინვე აიღეს მუგუზლები, ადვილად საწვავ მასალას მოაბეს და ისროლეს სახლებში; ცეცხლი რომ ყოველმხრივ მოედო და ძალიან დიდი ხანძარი გაჩნდა, არძენელებმა ვერ შესძლეს წინააღმდეგობის გაწევა ვერც ცეცხლისათვის და

Καί λέγεται ἀπολέσθαι περὶ τὰς ρν' χιλιάδας ἀνδρῶν, τῶν μὲν μαχαίρας τῶν δὲ πυρὸς παρανάλωμα γεγονότων· οὗτοι γὰρ ἐπεὶ κατισχυμένοι ἔγνωσαν ἀποσφάττεσθαι, γυναικᾶς τε καὶ τέκνα ἑαυτῶν εἰς τὸ πῦρ ἀπερρίπτουν.

Οὕτω τοῦ Ἄρτζε ληφθέντος, πολὺν χρυσίον ἐβρών ὁ Ἄβ-
ράμιος καὶ ὄπλα καὶ ἄλλα τινὰ
χρειώδη, ὅποσα μὴ τῷ πυρὶ κα-
τέστησαν ἀχρηστα, περιβαλόμε-
νος δὲ καὶ ἔπικον οὐκ ὀλίγην καὶ
ὑποζύγια, καὶ τὸν ἑαυτοῦ λαὸν
καθοπίσας ὡς ἔδει, ὑπίστρεψεν
ἀναζητῶν τὴν Ῥωμαϊκὴν δύναμιν.

Ἀβτη δὲ καταλαβόντος ἦδη
καὶ τοῦ Λιπαρίτου καταβάσα
ἀπὸ τοῦ ῥηθέντος δαχρῶματος
ἔκειτο ἐν τῇ πεδιάδι· κατὰ τοὺς
πρόποδας τοῦ βουνοῦ ἐνθα περ-
ἴδονται τὸ Καπετροῦ φρούριον.

Ἐρχομένων οὖν τῶν Τούρ-
κων σποράδην, συνεβούλευε πάλιν
ὁ Κεκαυμένος συμβαλεῖν αὐτοῖς
διεσπαρμένοις οὖσι καὶ ἀσυντάκ-
τοις ἔτι. Ἄλλ' ὁ Λιπαρίτης
οὐκ ἤθελε διὰ τὴν ἡμέραν ἦν
γὰρ σάββατον, ἢ ἄγοντος τοῦ
Σεπτεμβρίου μηνός, τῆς β' ἐπινε-
μήσεως, ἐν ταῖς ἀποφράσι δὲ τῶν
ἡμερῶν τῷ Λιπαρίτῃ τὸ σάβ-
βατον ἐνομίζετο, ὅπερ ἀποτροπια-
ζόμενος ἀνεδύετο πολεμεῖν.

ამ დღეს ომის წარმოებაზე უარი უნდა თქმულიყო.

და ამბობენ, რომ დაახლო-
ვებით ასორმოცდაათი ათასი კა-
ცი დაიღუბა, ზოგი მახვილის
მსხვერპლი გახდა, ზოგიც ცეცხ-
ლისა. როდესაც ამათ, დამარც-
ხებულებმა, შეატყვეს, რომ ამო-
ქლეტილი იენებოდნენ, თავიან-
თი ცოლები და შვილები ცეცხლ-
ში ჩაყარეს.

არმე რომ ამნაირად იქმნა
აღებულის, აბრამმა დიდძალი
ოქრო იპოვა, იარაღიც და ზო-
გი სხვა რამ სასარგებლოც ნა-
ხა, რაც ცეცხლს გადარჩენოდა;
ხელთ იგდო აგრეთვე ცხენი არა
მცირედი და სახედრები, შეა-
იარალა თავისი ხალხი, როგორც
საჭირო იყო, მობრუნდა და და-
ედევნა რომაულ ჯარს.

ხოლო რომაული ჯარი, რო-
დესაც უკვე ლიპარიტი მო-
ვიდა მათთან, ჩავიდა ხსენებული
სიმაგრიდან და დაბანაკდა დაბ-
ლობში მთის ძირთან, სადაც
მდებარეობს კაპეტრონის ციხე.

თურქები რომ მოდიოდნენ
დაფანტულად, კეკავმენმა კვლავ
ურჩია რომაელებს შებმოდნენ
მათ, სანამ ჯერ კიდევ დაფანტუ-
ლად და უმწყობროდ იყვნენ.
მაგრამ ლიპარიტმა არ მო-
ინდონა იმ დღეს ბრძოლა, ვი-
ნაიდან შაბათი იყო, სექტემბ-
რის თვის თვრამეტი რიცხვი,
მეორე ინდიქტიონისა ხოლო
ლიპარიტი უბედურ დღეთა რი-
ცხვს მიაკუთვნებდა შაბათს, და

Καὶ τὰ μὲν τῶν Ῥωμαίων ἐν τούτοις, ὁ δὲ Ἀβράμιος διὰ τῶν προδρόμων μαθὼν ἔποιε τε οἱ Ῥωμαῖοι ἠδύλζοντο καὶ ὅτι ἡγεμόνισι, συντάξας τὰς ἑαυτοῦ δυνάμεις ἤρχετο συντεταγμένως πρὸς μάχην.

Τοῦτο δὲ καὶ ἡ ἀντίπαλος δύναμις ἰδοῦσα ἀκουσίως καὶ αὐτῇ ἀντιπαρετάττετο, τὸ μὲν δεξιὸν ἔχοντος κέρως τοῦ Κεκαυμένου, τοῦ δὲ Ἀαρῶν τὸ εὐώνυμον, ἐν τοῖς μέσοις δὲ ὁ Λιπαρίτης ἐτάττετο. Ἦν δὲ καὶ ἡ ὄρα περὶ βουλευτόν.

Ἐφ' ἡμὲν οὖν Κεκαυμένῳ ἀντιμέτωπος ἦν ὁ Ἀβράμιος, τῷ δὲ Ἀαρῶν Χωροσανίτης ἄτερος στρατηγός, καταντικρὺ δὲ τοῦ Λιπαρίτου Ἀσπάμ Σελάριος ὁ τοῦ Ἀβραμίου ἑτεροθαλῆς ἀδελφός.

Συμπλοκῆς δὲ γενομένης ὁ μὲν Κεκαυμένος καὶ ὁ Ἀαρῶν τὰ κατ' αὐτοὺς ἐτρέψαντο κέραια καὶ μέχρι φωνῆς ἀλεκτρυόνων ἐδίωκον, ὁ δὲ Λιπαρίτης, πεσόντος αὐτῷ τοῦ ἀνεψιοῦ δεινοπαθήσας καὶ μεθ' ὀρμῆς βιαίας ἐλάσας, τοῦ Ἰππου αὐτοῦ τραφέντος καὶ πεσόντος ἀλίσκεται.

დღე რაც მისი ცხენი დაიჭრა და მოკვდა.

Καὶ ὁ μὲν ἦν ἐν τούτοις, οἱ δὲ Ῥωμαῖοι παυθέντες ἐκ τῆς διώξεως καὶ τῶν Ἰππων ἀποβάντες καὶ πῶ θεῶ δόντες ὕμνους ἐπιγυκίους, ἐν μιᾷ φωνῇ βόήσαντες τὸ τίς

და რომაელების საქმეები რომ ასე იყო, აბრამმა მოწინავე მეომართა მეშვეობით შეიტყო, თუ სად იყვნენ რომაელები და ბანაკებული და რომ ისინი მოსვენებით არიან, შეკოიბა თავისი ჯარები და დარაზმული მიადგა მოწინააღმდეგეს საბრძოლველად, ეს რომ მოწინააღმდეგე ჯარმა დაინახა, ძალაუნებურად ისიც ჩადგა მწყობრში: მაჯვენა ფრთას მეთაურობდა კეკავმენი, მარცხენას – აარონი, ხოლო შუა რაზმეს ლიპარიტი სარდლობდა. იყო სადამო ჟამი, გუთნეულის გამოხსნის დრო.

კეკავმენს დაუპირისპირდა აბრამი, აარონს – თურქთა სხვა სარდალი, ხვარასნელი, ხოლო ლიპარიტის წინააღმდეგ კი დადგა ასპამ სელარი, აბრამის ნახევარ-ძმა.

ბრძოლა რომ დაიწყო, კეკავმენმა და აარონმაც მათ პირისპირ განლაგებული რაზმები გააქციეს და სდიეს მამლის ყივილამდე, ხოლო ლიპარიტი, რომელიც ძალიან განიცდიდა თავისი ბიძაშვილის დალუპვას და ძლიერი შეტევით ებგერა მტერს, ტყვედ ჩავარდა, მის შემ-

ასეთი რომ იყო საქმის ვითარება, რომაელებმა შეწყვიტეს დევნა და დაბრუნდნენ, ჩამოხდნენ ცხენებიდან და მადლობა უძღვნეს ღმერთს გამარჯვებისა-

Φεδς μέγας ἄς ὁ Φεδς ἡμῶν, προσ-
έμενον τὸν Λιπαρίτην, ἐλπίζοντες
καὶ αὐτὸν διώκειν ὀπισθεν τῶν ἐχθρῶν.
Ἐπει δὲ ἐφάνετο οὐδαμοῦ, ἐν ἀμηχανίᾳ ἦσαν,
διαποροῦντες ὅ τι καὶ γένοιτο.

ხოლო რადგან არსად არ ჩანდა, საგონებელში ჩავარდნენ: ვერ გაერკვიათ, რა უნდა მომხდარიყო.

Ὅντω δὲ διαπορουμένοις αὐτοῖς ἔρχεται τις στρατιώτης τῶν ὑπ' ἐκείνῳ ταττομένων, καὶ μῆνυει τοῖς στρατηγοῖς τὴν ἐκείνου τροπὴν καὶ τὴν ἄλωσιν, καὶ ἕπως ὁ Ἀβράμιος ἐκ τῆς φυγῆς ἐπανελθὼν καὶ τῷ οἰκείῳ ἐνωθεὶς ἀδελφῷ (ὁ γὰρ Ἀσάν ἐπεσεν ἐν τῷ πολέμῳ) ἀναλαβόντες τὸν Λιπαρίτην καὶ τοὺς ἄλλοὺς τῶν Ἰβήρων ὑπενόστησαν εἰς τὸ λεγόμενον Καστροκώμιον, σπουδαίαν τὴν ὁδοιπορίαν ποιούμενοι. Ἀπεγάγησαν πρὸς τὴν ἀκοὴν οἱ ἄρχοντες τοῦ στρατοῦ.

Ὅμως διανυκτερεύσαντες ἄγρυπνοι, ἐπεὶπερ ἡμέρα ἐπέλαμψε καὶ βουλὴ προστέθη καὶ τοῖς πᾶσι συμφέρον ἐνομίσθη ἕκαστον οἴκαδὲ ἀπελθεῖν, ὁ μὲν Ἀαρῶν τὸν οἰκεῖον ἀνειληφῶς λαὸν ἄπεισιν εἰς τὸ Ἰβαν (μητρόπολις δὲ αὕτη τοῦ Βασπρακῶν), ὁ δὲ Κεκαυμένος μετὰ τῶν ἰδίων ἐπανήλθεν εἰς τὸ Ἀνίον.

Ὁ δὲ Ἀβράμιος τῇ τοῦ Λιπαρίτου ἀρκεσθεὶς ἄλωσει, καὶ ὀλβιώτερον ἑαυτὸν κρίνας παντὸς ἀνθρώπου διὰ τὸ παρὸν εὐτύχη-

თვის და ერთხმად შესძახეს: „რომელი ღმერთია ისე დიდი როგორც ჩვენი ღმერთი“, და ელოდებოდნენ ლიპარიტს: იმათ იმედი ჰქონდათ, რომ ლიპარიტიც უკან დაედევნა მტერს,

ასეთ გაჭირებულ მდგომარეობაში რომ იყვნენ, მოვიდა ერთი ჯარისკაცი ლიპარიტის რაზმიდან და აცნობა სარდლებს, რომ ლიპარიტი დამარცხდა და ტყვედ ჩავარდა; და როდესაც აბრამი, გაქცევის შემდეგ, დაბრუნდა და თავის ძმას შეუერთდა (ასანი ხომ ომში დაიღუპა), იმათ თან წაიყვანეს ლიპარიტი და დატყვევებული იბერნი, და დაბრუნდნენ ეგრეთწოდებულ კასტროკომიონში, მის შემდეგ რაც დიდის რუდუნებით გაიარეს გზა. ამ ამბის გაგონებაზე ჯარის სარდლებს თავზარი დაეცათ.

როგორც იქნა ღამე გაათიეს უძილოდ და, როგორც კი გათენდა, საბჭო მოიწვიეს და ყველამ ჩათვალა უფრო მისაღებად, რომ ყოველი მათგანი შინ დაბრუნებულიყო. აარონმა თავისი ჯარი წაასხა და წავიდა ივანში (ის არის ვასპურანაკის დედაქალაქი), ხოლო კეკავმენი თავისიანებით ანისში დაბრუნდა.

ხოლო აბრამი, ლიპარიტის დატყვევებით კმაყოფილი, თავის თავს ყველა ადამიანზე უფრო ბედნიერად თვლიდა მო-

μα, μηδὲν ἕτερον πολυπραγμονή-
σας, ἀλλ' ἐπιτείνας τὴν ὀδοιπο-
ρίαν, διὰ πέντε ἡμερῶν παραγί-
νεται εἰς τὸ λεγόμενον 'Ρέ, κα-
κείθεν ἄπεισιν εἰς τὸν σουλτάνον
προπέμφας τὰ εὐαγγέλια καὶ τὴν
τοῦ Λιπαρίτου μηνύσας κα-
τάσχεσιν.

Ὁ δὲ τῷ δοκεῖν μὲν γυφ-
ράνθη καὶ ἡγαλλιάσατο ἐπὶ τῇ
ἀλώσει τοῦ Λιπαρίτου, ἐφθό-
γησε δὲ τῷ ἀδελφῷ τοιοῦτου κα-
ταξιδιᾶντι τοῦ εὐτυχήματος, καὶ
διὰ παντὸς ἐμελέτα καὶ πρόφασιν
ἐζήτει τοῦτον ποιήσασθαι ἐκποδῶν.

Τὸν μὲν οὖν Λιπαρίτην,
ὡς ἐπύθετο τὴν τοῦτου κατάσχε-
σιν ὁ βασιλεὺς, ἄλλος ἐγένετο
ἀναρρῶσασθαι, καὶ ὄψρα πολυτε-
λή καὶ λύτρα πέμφας τῷ σουλ-
τάνῳ διὰ Γεωργίου τοῦ λεγομέ-
νου Δρόσου (ὑπογραμματεὺς δὲ
ἦν ὁ Δρόσος τοῦ Ἀαρῶν) ἐξαι-
τεῖται τὴν ἐλευθερίαν καὶ σπον-
δὰς εἰρήνης.

Ὁ δὲ σουλτάνος τὰς πρεσ-
βείας δεξάμενος, καὶ μεγαλοπρε-
πῆς θέλων εἶναι βασιλεὺς μᾶλλον
ἢ κἀπηλὸς ἀνελεύθερος, ἀποδί-
δωσι τοῦτον ὄψρον τῷ βασιλεῖ,
λαβῶν μὲν τὰ λύτρα, πάντα δὲ
τῷ Λιπαρίτῃ παρεσχηῶς, καὶ
μεμνήσθαι τῆς παρούσης ἡμέρας
διὰ παντὸς παρεγγυησάμενος, καὶ
μηδέποτε ἔπλα θελῆσαι τὸ ἀπὸ
τοῦδε κινήσαι κατὰ τῶν Τούρκων
(CB II, 572, 17—581, 6).

მხდარი კარგი ამბით და სხვა
არაფერზე არ უზრუნვია, არა-
მედ გზად გაემართა და ხუთი
დღის შემდეგ ჩავიდა ეგრეთწო-
დებულ რე-ში, ხოლო იქიდან
გაემართა და სულტანს ცნობა
გაუგზავნა ატყობინებდა ლი-
პარიტი ს შეპყრობას.

სულტანს მოაჩვენა ისე, თით-
ქოს ძალიან გაიხარა ლიპარი-
ტი და ტყვევებით, ხოლო ძმის
ასეთი ბედნიერი წარმატება
შურდა, და ყოველნაირად ცდი-
ლობდა და საბაზსაც ეძებდა,
რომ ის თავიდან მოემორებინა.

როდესაც მეფემ გაიგო ლი-
პარიტი და ტყვევების შესა-
ხებ, მთლად იმის ცდაში იყო,
რომ გამოესყიდა; ამიტომ მან
ძვირფასი საჩუქრები და გამო-
სასყიდი გაუგზავნა სულტანს
გიორგის (დროსოსად სახელდე-
ბულის) ხელით (დროსოსი ხომ
აარონის მდივანი იყო) და სთხოვ-
და ლიპარიტის განთავისუფლე-
ბას და ზავის დადებას.

სულტანმა მიიღო ელჩები და
მოინდომა ეჩვენებინა, რომ ის
უფრო დიდსულოვანი მეფეა,
ვიდრე უღირსი ვაჭარი, და მე-
ფეს საჩუქრად გაუგზავნა იგი
(ლიპარიტი): გამოსასყიდი აიღო,
ხოლო მთლიანად ლიპარიტი ს
მისცა და თან ურჩია: ეს დღე
სამუდამოდ დაიხსომე და არას-
დროს არ მოინდომო იარაღის
ხელში აღება თურქების წინააღ-
მდეგო.

იბერიას მტრად მიაჩნია ბიზანტია

Ὁ δὲ σουλτάνος τὴν τῶν αὐτοῦ πρέσβειων ἀπρακτον ὑποστροφήν μὴ φέρων, τὰς ἐν Περσίδι πάσας δυνάμεις καὶ τὰς Βαβυλωνίους ὑφ' ἐν ἀθροίσας εἰσβολὴν ποιεῖται κατὰ Ῥωμαίων. Τοῦτο δὲ προκακηρῶς ὁ Μανομάχος ἔσπευθε μὲν καὶ διὰ τῶν οἰκείων δυνάμεων ἀντιπαράταξιν στήσαι τῇ πολεμίᾳ, ὥπλισε δὲ καὶ ἀπὸ τῶν Πατρίνακων χιλιάρδας ἑ'. Καὶ ἡγεμόνας τέσσαρας ἀπὸ τῶν ἐν Κωνσταντινουπόλει Πατρίνακων αὐτοῖς ἐπιστήσας, τὸν Σουλτζῶν, τὸν Σελτέ, τὸν Καρχμαῦν καὶ τὸν Καταλείμ, δώροισ τε φιλοτιμησάμενος οὐ μικροῖς, καὶ ἄρματα κάλλιστα δοῦς καὶ ἵππους διαπρεπεῖς, περαιοὶ ἐν Χρυσουπόλει, δοῦς αὐτοῖς ὁδηγὸν τὸν ἀπάξαι μέλλοντα τοὺς εἰς Ἰβηρίαν Κωνσταντῖνον τὸν Πατρίκιον, ᾧ Ἄδროβάλλανος τὸ ἐπώνυμον.

Περαιωθέντες δὲ οὗτοι καὶ τοὺς ἵππους ἀναβάντες καὶ τῆς πρὸς ἀνατολὴν φερούσης ἀψάμενοι καὶ προελθόντες ἄχρι Μελιτηνῆς¹ καὶ τῇ λεγομένῃ Δαματρυῖ προσεγγίσαντες ἐπέσχον τὴν πορείαν, καὶ στάντες ἐπὶ τῆς ὁδοῦ συμβουλήν προσένθεσαν, ἥτις παρ' αὐτοῖς κομάντων ὠνόμασται. Τισὶ μὲν οὖν ἐδόκει πορευτέα εἶναι καὶ μὴ ἀντιβαίνειν ἐπὶ τῆς χώρας τοῦ βασιλέως τοῖς βασιλικοῖς

სულტანმა ვერ აიტანა თავისი ელჩების უშედეგოდ დაბრუნება, შეაგროვა სპარსეთში და ბაბილონში მყოფი ყველა ჯარები და იერიში მიიტანა რომაელებზე. ეს რომ შეიტყო მონომახოსმა, მოწინააღმდეგის საპირისპიროდ დარაზმა საკუთარი ძალები და აგრეთვე შეაიარაღა თხუთმეტი ათასი პაჭინაკი. წინამძღოლებად დაუყენა მათ კონსტანტინოპოლში მყოფ პაჭინაკთაგან ოთხი კაცი: სულჯუნი, სელტე, ყარამანი და კატალიმი არა მცირე საჩუქრები უბოძა მათ, საუკეთესო საჭურველიც მისცა და საუცხოო ცხენებიც, და გადასხა ხრისოპოლისში; მეგზურად გააყოლა მათ პატრიკიოსი კონსტანტინე, რომელიც მათ იბერიისში მიაცილებდა; მეტსახელად მას ადროვალანოსი ეწოდებოდა.

გაღმა რომ გავიდნენ ესენი და ცხენებზე შესხდნენ, აღმოსავლეთისაკენ გაემართნენ და მელიტენემდე მივიდნენ; ეგრეთწოდებულ დამატრის რომ მიუახლოვდნენ, შეჩერდნენ და გზაზე გამართეს თათბირი, რომელსაც მათ ენაზე კომენტონი ეწოდება. ზოგიერთების აზრით საჭიროა განაგრძონ ლაშქრობა და მეფის ქვეყანაში არ გაუწიონ წინააღმდეგობა მეფის ბრძანებებს...

¹ Μελιτηνής[μιλίων τινόν v. l.

προστάγμασι, ... Ἄλλοις πάλιν ἐδόκει, κατασχοῦσιν ὄρη τινὰ τῆς Βιθυνίας, ἐν τούτοις παραμένειν καὶ τοὺς ἐπιόντας ἀμύνασθαι, ἀνελεῖν δὲ μηδαμῶς εἰς Ἰβηρίαν, ἐς χώραν μακρὰν καὶ ἀλλόκοτον, ἔγθα μέλλουσιν ἔξειν πολέμους οὐ μόνον τοὺς ἐχθροὺς Ῥωμαίων, ἀλλὰ καὶ αὐτοὺς τοὺς Ῥωμαίους (CB II, 587, 20 — 588, 20).

სხვები კიდევ ფიქობდნენ, რომ საჭირო იყო ბითონიის მთების დაკავება. იქ დარჩენა და თავდამხმელთა მოგერიება, არავითარ შემთხვევაში იბერიის მისვლა არ იყო საჭირო, ამ შორეულ და უცხო ქვეყანაში, სადაც მტრებად თვლიან არა მართო რომაელთა მტრებს, არამედ თვით რომაელებსაც.

იბერიის ციხე-სიმაგრეები

Ὁ δὲ σουλτάνος, ὡς εἶπομεν, βραθυμῆσας διὰ τὴν τῶν αὐτοῦ καταφρόνησιν πρέσβων καὶ τὴν τῶν φιλημάτων ἀστοχίαν, ἄρας μετὰ πάσης αὐτοῦ τῆς δυνάμεως ἔξεισι κατὰ τῆς ὑπηκόου Ῥωμαίους· καὶ κατελθὼν ἄχρι τοῦ λεγομένου Κωμοῦ, καὶ μηδὲν ὅ τι καὶ λόγου ἄξιον διαπράξασθαι δυνήθει (ἔφθασαν γὰρ οἱ τῆς χώρας προασφαλίσασθαι ἑαυτοὺς τε καὶ τὰ αὐτοῖς ἀναγκαιότατα ἐν τοῖς φρουρίοις· γέμει δὲ ἡ Ἰβηρία φρουρίων ἐρυμνοτάτων), προσωτέρω δὲ προβῆναι μὴ φαρρήσας τῇ πυθέσθαι τὰς Ῥωμαϊκὰς ἐν Καισαρεία δυνάμεις ἀθροίζεσθαι, ὑπέστρεψε τῇ μισμῇ φλεγμάτων καὶ μέγα τι ζητῶν ἀτεργάζεσθαι (CB II, 590, 7-16).

სულტანი, როგორც ვთქვით, განრისხდა მისი ელჩების შეურაცხყოფის და მისი გეგმების ჩაშლის გამო და მთელი თავისი ჯარებით გაემართა რომაელთა ქვეშევრდომ ქვეყნის წინააღმდეგ; როცა ჩავიდა ეგრეთწოდებულ კომიონამდე და ღირსშესანიშნავი ვერაფერი ვერ გააკეთა (ამ ქვეყნის მცხოვრებნი ხომ თვითონაც შეიხიზნენ და თავიანთი უსაჭიროესი საგნებიც დააბინავეს ციხე სიმაგრეებში: იბერიის აზარებელი ძალიან გამაგრებული ციხე-კოშკებია). ვეღარ გაბედა უფრო შორს წასვლა, რადგან შეიტყო, რომაული ჯარებია კესარიისში თავმოყრილი, და უკან გაბრუნდა ძალიან გაჯავრებული და ოაღაც დიდი ბოროტების ჩადენის მსურველი.

ყარსის გარემოცვა. იბერიის დარბევა

Καὶ ἐλθὼν πρὸς τὴν Περσαρμενίαν καὶ τὸ λεγόμενον Κάρσε προσέμενε τὰς τῆς πρεσβείας

პერსარმენიაში ორომ მივიდა, ეგრეთწოდებულ ყარსთან და ელოდა სულტანი ელჩების პა-

ἀποκρίσεις· ἐν τῷ μεταξὺ δὲ πολιορκήσας τὸ Κάρσει, πλὴν τῆς ἀκροπόλεως, παρειλήφει τὴν πόλιν.

Κατόπιον δὲ τούτου διώκων ὁ σουλτάνος ἦλθε μετὰ τῶν αὐτοῦ δυνάμεων ἐν Ἰβηρία· ὑπερμαθῶν ὁ Κουτλουμοῦς ἔφυγε πρὸς τὰ Σαβᾶ καὶ τὴν εὐδαίμονα Ἀραβίαν. Ὁ δὲ σουλτάνος ἐν Ἰβηρία γενόμενος ἐληΐζετο τὰ παρατυχόντα καὶ ἐπυρπόλει.

Διὸ καὶ κατὰ σπουδὴν ὁ βασιλεὺς τὸν Ἀκόλουθον Μιχαὴλ μεταπεμφάμενος ἐκ τῆς ἐσπέρας ἐς Ἰβηρίαν ἐκπέμπε· ὅς ἐκεῖ γενόμενος καὶ τοὺς διεσπαρμένους ἐν τῇ Χαλδίᾳ καὶ Ἰβηρίᾳ Φράγγους καὶ Βαράγγους ἀγροχῶς, κωλύειν ἠπειλεῖτο τὸν ἐνόητα τρόπον τὰς ἐκδρομὰς τοῦ σουλτάνου (CB II, 606, 9-20).

სულს. ამასობაში ალყა შემოარტყა ყარსს და ქალაქი აიღო, გარდა აკროპოლისისა.

სულტანი მას უკან დაედევნა და თავისი ჯარებით იბერიაში მივიდა; ეს რომ ყუთლუმუსმა შეიტყო, გაიქცა საბასკენ და ბედნიერი არაბეთისაკენ. სულტანი რომ იბერიაში ჩავიდა, რაკვი შეხვდა გზაზე დაარბია და გადასწვა.

ამიტომ მეფემ სასწრაფოდ დაიბარა დასავლეთიდან მიხეელ აკოლუთოსი და იბერიაში გაგზავნა. ეს რომ იქ ჩავიდა, შეკრიბა ხალდიასა და იბერიაში გაბნეული ფრანგები (ბრანჯები) და ვარანგები და იქაროდა რამენაირად შეეფერხებინა სულტანის თავდასხმები (სულტანი აიყარა და თავრეზისკენ წავიდა).

იბერები ბიზანტიის ჯარში

Μοναστήριον δὲ οἰκοδομῶν ὁ βασιλεὺς κατὰ τὰ λεγόμενα Μάγγανα ἐπὶ ὀνόματι τοῦ ἁγίου μεγάλου μάρτυρος Γεωργίου, καὶ ἀφειδῶς τὰ δημόσια καταναλισκῶν ἐν ταῖς οἰκοδομαῖς χρήματα, νῦν μὲν οἰκοδομῶν, νῦν δὲ καταστρέφων, εἰς μεγάλην ἤλασεν ἔνδειαν, ὡς πᾶσαν ἐπινοῆσαι διὰ τοῦτο καπηλείαν καὶ ἀτόπους καὶ σεσοφισμένας εἰσπράξεις ἐφευρήκῃ· δημοσίους τε γὰρ προεχειρίζετο φρογτιστάς ἀσεβεῖς καὶ ἀλάστορας, καὶ δι' αὐτῶν χρήματα ἔξ ἀδίκων πόρων συνήθιζεν.

მეფე რომ აშენებდა დიდი მოწამის წმინდა გიორგის სახელობის ეგრეთწოდებულ მანგანის მონასტერს და უხვად ხარჯავდა ამ მშენებლობისთვის სახელმწიფო ფულებს (თუ აშენებისთვის თუ დანგრევისთვის), ისეთ გაჭირებაში ჩავარდა, რომ ამის გამო ყოველგვარ მევახშეობას მიმართავდა და უმართებულო და გამოგონილ გადასახადებს ადებდა ხალხს; ჩააყენა უღვთო და უწმინდური გადასახადის-ამკრეფლები და მათი მემკვიდრით აგროვებდა ფულს უსა-

Κατέλυσε δὲ καὶ τὸν Ἰβηρικὸν στρατὸν ἀμφὶ τὰς πεντήκοντα χιλιάδας ἀριθμούμενον διὰ Λέοντος τοῦ Σερβλίου, καὶ ἀντὶ στρατιωτῶν φόρους πολλοὺς ἐπορίζετο ἀπὸ τῶν χωρίων ἐκείνων (II, 608).

როის) მხარეებიდან დიდძალს გადასახადებს კრეფდა.

იბერია – მდიდარი ქვეყანა

Προσκειμένου δὲ αὐτοῦ τοῖς τοιοῦτοις διηγενῶς, τῶν δὲ στρατιωτικῶν ἡμεληκότος καὶ ῥαθυμῆσαντος, τὰ τῆς ἀνατολῆς, καὶ μᾶλλον τὰ ἐν τοῖς τέρμασι τῶν μερῶν τῶν Ῥωμαϊκῶν, ὑπὸ τῶν πολεμίων ἐφέροντό τε καὶ ἦγοντο, καὶ ἐληΐζοντο καὶ διεφθείροντο ἅπαντα τῆ τε τῶν Τούρκων ἐπιδρομῆ καὶ κατισχύσει καὶ τῆ βία, ἢ ὑποχωρήσει καὶ δειματῶσει τῶν ἡμελημένων στρατιωτῶν· συνεχεῖς γὰρ ὑπῆρχον ἐκδρομαὶ καὶ λεηλασίαι συχναί, ἀφανιζομένου τοῦ προστυχόντος παντός. Διὸ καὶ ἡ εὐδαίμων χώρα τῆς Ἰβηρίας ἡρίπωτο παντελῶς καὶ ἠφάνιστο, ἤδη προκατειργασμένη καὶ ἡσθενηκυῖα (CB II, 652, 20—653, 5).

რბევა და დასუსტებული იყო, საბოლოოდ დაეცა და განადგურდა.

ფარესმანე იბერი

Ὁ δὲ βασιλεὺς ἐπαγγελθῶν εἰς τὸν χάρακα μετὰ τὴν τῶν ἐχθρῶν ἀποσώβησιν ἔγνω τὴν ἀκρόπολιν τῆς Ἰεραπόλεως ἐνοικῆσαι. Καταστήσας οὖν τὸν Φαρესμάνην ἐκείνον βέστην τὸν Ἀποκάπης, ἐξ Ἰβήρων τὸ γένος ἔλκοντα... (CB II, 675, 21—676, 1).

მართლო წყაროებიდან. დაშალა აგრეთვე იბერიული ჯარი, დაახლოვებით ორმოცდაათი ათასი კაცისაგან შემდგარი, ლეონტი სერვლიას მეშვეობით, და ნაცვლად ჯარისკაცებისა ამ (იბე-

რადგან ის ასეთ საქმეებზე იყო გადაყოლილი და სამხედრო საქმეებზე სრულიად არ ზრუნავდა, აღმოსავლეთის მხარეები, განსაკუთრებით კი რომაული ქვეყნის მოსაზღვრე მხარეები მტრის ლუკმად იყო გამხდარი, ყველაფერი ირბეოდა და ნადგურდებოდა თურქთა თავდასხმებისა და ძალადობის გამო, აგრეთვე იმის გამო რომ აღვირახსნილი ჯარისკაცები ძალმომრეობას ხმარობდნენ და თავზარსა სცემდნენ ხალხს. განუწყვეტელი თავდასხმებისა და მარცვაგლეჯის გამო ყველაფერი ნადგურდებოდა, ამიტომ იბერიის მდიდარი ქვეყანაც, რომელმაც უკვე წინათაც განიცადა

ხოლო მეფე ბანაკში რომ დაბრუნდა მტრის უკუქცევის შემდეგ, გადაწყვიტა აეგო იერაპოლისს აკროპოლისი. და აი, მან დანიშნა ამ აკროპოლისის უფროსად ფარესმანე, ვესტი აპოკაპისა, ტომით იბერი.

პეტრიწონის წესდება

მეთერთმეტე საუკუნის ბრწყინვალე ძეგლთა რიცხვს მიეკუთვნება „პეტრიწონის წესდებაც“, იგი დაწერილია 6592 წელს „ქვეყნის გაჩენიდან, ხოლო ქრისტესით (6592 – 5508 =) 1084 წელს¹. თვით პეტრიწონის სავანე დაარსებულია XI საუკუნის ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის გრიგოლ ბაკურიანის-ძის მიერ 1083 წელს. დაარსებულია ბიზანტიაში, ახლანდელ ბულგარეთის ტერიტორიაზე, იმ ადგილას, სადაც ამჟამად არის სოფ. ბაჩკოვო, ქალაქ ფილიპოპოლის (პლოვდივის) მახლობლად, როდოპის მთის კალთებზე.

დაარსების მეორე წელსვე (1085 წ.) გრიგოლ ბაკურიანისძემ შეუდგინა სავანეს ტიპიკონი, თვით გრიგოლი წერს ამის შესახებ ტიპიკონის დასაწყისში: «ვიწყით საუბარი ... შესახებ ამ მონასტერში (ე. ი. პეტრიწონის მონასტერში) არსებული მონაზვნების რიცხვის განსაზღვრისა და მცნებისა და კანონისა, რომელთაც ისინი ექვემდებარებიან..., შესახებ პეტრიწონად წოდებული ციხის (τῆς κἀστρου τοῦ Πητριῶν κελουμένου) ადგილსამყოფელში შეკრებილ მონაზვნებისა, რომელნიც ქართული წერა-კითხვისა და ენის მცოდნენი არიან და მოთავსებული არიან ... ახლახან აშენებულ მონასტერში, რომელიც აღვაშენე მე გრიგოლმა, ღვთის ნებით სევასტოსმა და მთელი დასავლეთის დომესტიკოსმა, ღვიძლმა შვილმა ნეტარი ბაკურიანისა, ბრწყინვალე ერისთავთ-ერისთავისა, რომელიც წარმოშობით ვარ აღმოსავლეთი მხარეებიდან, იბერთა უბრწყინვალესი გვარიდან» (იხ. ტექსტი A 148).

როგორც ვხედავთ, გრიგოლ ბაკურიანისძე საკმაოდ ვრცელ ავტობიოგრაფიულ ცნობებს გვაწვდის, სახელდობრ, რომ ის არის:

1) იბერთა უბრწყინვალესი გვარიდან; 2) ბრწყინვალე ერისთავთ-ერისთავის ბაკურიანის შვილი; 3) დაჯილდოებულია „სევასტოსის“ პატივით; 4) უჭირავს თანამდებობა დასავლეთის დომესტიკოსისა; 5) მან დააარსა პეტრიწონში სავანე.

ქვემოთ, ტიპიკონის სხვადასხვა მუხლებში ის იხსენიებს იმასაც, თუ სად უმსახურია მას სხვადასხვა დროს და რა მამულები შეუძენია ან მოუპოვებია:

¹ ეს თარიღი იხ. ქვემოთ A 295 გვერდზე.

1) უმსახურია ყარსში; 2) თეოდოსიუპოლში, შეიძლება აგრეთვე ზომოლენის თემში; 3) უმსახურია სომხეთში, იბერიასა და სირიაში; 4) მამულები ჰქონია: ანისის მხარეში, ტაოს მხარეში, არმენიაკთა თემში, მოსინოპოლში, ფილიპოპოლში, ახრიდონში, სოფელ სიკონში და სოფელ ხარპეტიკიონში, ვოლერონში.

ყველაფერ ამის შესახებ მას მოეპოვება უმაღლესი მთავრობის სიგელები, ხრიზობულები ანუ ოქრობეჭედნი: ამ საბუთებით მტკიცდება ის, რომ გრიგოლ ბაკურიანისძეს კეთილსინდისიერად უმსახურია და კეთილსინდისიერი სამსახურისათვის მთავრობას მამულები უბოძებია მისთვის და ეს მამულები შეუვალობის გუჯრებით დაუმტკიცებია მისთვის; გრიგოლი ჩამოთვლის ამ საბუთებს, მაგ.:

1) ორი ოქრობეჭედი იმის შესახებ, რომ დიდ დომესტიკად ჩემი მოღვაწეობის დროს არაფერი ბრალი არ მედება (A 291);

2) სამი ოქრობეჭედი კირ მიხაელისა ჩემი მამულების შესახებ, რომლებიც მოსინოპოლში არის (A 290);

3) სხვა ოქრობეჭედი შ ე უ ვ ა ლ ო ბ ი ს ა ფილიპოპოლში და მოსინოპოლში არსებული ჩემი მამულებისათვის.

მრავალი ასეთი საბუთის შესანებ ლაპარაკობს გრიგოლ ბაკურიანისძე ტიპიკონის ბოლო თავებში, ხოლო ტიპიკონის პირველ თავებში ჩამოთვლის გრიგოლი, თუ რა მამულებს აძლევს მის მიერ დაარსებულ პეტრიწონის სავანეს.

გრიგოლ ბაკურიანისძე, როგორც ვხედავთ, გამოჩენილი პიროვნება ყოფილა: ბიზანტიის სახელმწიფოში მას ეჭირა ხელმძღვანელი თანამდებობები და უმაღლეს მთავრობასთან დაახლოებული ყოფილა.

მაგრამ გრიგოლ ბაკურიანისძეს კარგად იცნობდა აგრეთვე საქართველოს მაშინდელი მთავრობაც, მეფე გიორგი მეორე (1072 – 1089). დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი გადმოგვცემს:

«და წარვიდა მეფე გიორგი მამულსა თვსსა ტაოს, და მოვიდა ბანას. ხოლო მუნ მოვიდა წინაშე მათსა ზ ო რ ვ ა რ ი ა დ მ ო ს ა ვ ა ლ ი ს ა გ რ ი გ ო დ ლ ბ ა კ უ რ ი ა ნ ი ს ძ ე, რომელსა ჰქონდეს ოლთისნი, და კარნუ-ქალაქი, და კარი, და დიდად განიხარეს და განისუენეს; და მოსცა გიორგი მეფესა კარის ციხე-ქალაქი და მისი მიმდგომი ქუეყანა და განიყარნეს» (ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ. 1955, გვ. 318).

გავიცნოთ ახლა თვით ტიპიკონის შინაარსი.

„წესდება“ შედგება 33 თავისაგან, რომლებიც დასათაურებულია, და რამდენიმე დამატებითი თავისაგან, რომლებიც ცალკე თავებად არ არის გამოყოფილი.

პირველ თავებში გარკვეულია პეტრიწონის სავანის დაარსების მიზანი და ამოცანები; აღნუსხულია, თუ რა მამულები, რა სოფლები და რა განძი ეძლევა ამ სავანეს შესაწირავის სახით მისი პირადი, გრიგოლის, ქონებიდან და მისი ძმის, აბაზის, მემკვიდრეობიდან: «თ ა ვ ი მ ე ო რ ე: იმის შესახებ, თუ რა შესაწირავნი შევწირეთ ამ წმინდა ეკლესიას ჩემი ქონებიდან და ჩემი ღვიძლი ნეტარი ძმის ქონებიდან, უძრავი, მოძრავი და თვითძრავი»¹.

მესამე თავში ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ეს მამულები თავისუფალია ყოველგვარი გადასახადისაგან: «თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე: იმის შესახებ, რომ ჩვენ მიერ აგებული წმინდა მონასტერი თავისუფალია ყოველგვარი სამსახურისა და გადასახადისაგან, როგორც სამეფო ისე საპატრიარქო, და რაიმე გამოსაღებთაგან». ეს შეღავათები დამტკიცებულია სათანადო ოქრობეჭდებით².

შემდეგ თავებში განსაზღვრულია სავანეში და სემინარიაში მისაღებ პირთა (როგორც ბერების, ისე მოსწავლეების) რიცხვი, დადგენილია სავანის თანამდებობის პირთა (წინამძღვარის, ეპიტროპოს იკონომოსის, კელარის [აზარმადის] და სხვათა ფუნქციები. თანამდებობის პირთა წესების დადგენისას გრიგოლ ბაკურიანისძე კატეგორიულად მიუთითებს პეტრიწონის სავანის ძმებს, რომ თვალყური ადევნონ – ბოროტმოქმედება არაფერი ჩაიდინონ წინამძღვარმა ან სხვა პირებმა: პირველი შემჩნევისთანავე გააფრთხილონ, ხოლო თუ არ გამოსწორდებიან და ბოროტებას არ დაიშლიან, გააძევიან ისინი სავანიდან: «თ ა ვ ი მ ე ც ხ რ ა მ ე ტ ე: ...თუ რამე მიზეზით ვინმე აშკარად შესცდება და ნამდვილ დასკვნას არ გააკეთებს, არამედ სამწყსოს მგლად მოევლინება ნაცვლად მწყემსისა და მონასტრის წმინდა ქონებას უხეიროდ და დაუზო-

¹ ეს მამულებია: ფილიპოპოლის თემში მდებარე პეტრიწონი, მისითა ყანებითა; აგარაკები იანოვა, ბაჩოკოვა, დობროლინგი, დობროსტანი, ბურსეოსი, ლალკუვა, ავროვა, აგრეთვე მათ გვერდით მდებარე სტენიმახი...

² ძველქართული რედაქციით: «აზნაურებისათჳს მონასტრისა ჩემისა ყოველთაგან სამეუფოთა და სამღვდელმთავროთა ხარკთა და მისაჯდელთაგან გამოსავალთა ჩემთაგან მონაგებთა და ძმისა ჩემისა აბაზისთაგან, რომელ არიან მოძრავნი და უძრავნი და თვითძრავდნი», «და ეგრეთვე ყოველთაგან მთავართა და კელმწიფეთა მსოფლიოთა არს თავისუფალ მონასტერი ჩემი დიდთაგან ვიდრე მიმცირეთადმდე, ვითარ იგი სარწმუნოთა მიერ სამეუფოთა ოქრობეჭედთა არს დამტკიცებულ ესე ყოველი» (თარხნიშვილის გამ. გვ. 3, 29 – 30 და გვ. 18, 3 – 7).

გავად დახარჯავს, ისე რომ საქმეს მიიყვანს მოსპობამდე და მხეცურ განადგურებამდე, პირველად სიტკბოებით და ღვთის შიშით დაყვავებით არის საჭირო ასეთების დარიგება; შემდეგ კი, ...თუ არ გამოსწორდა, უნდა განიდევნოს წმინდა სავანიდან ძმათა ერთობლივი თანხმობით და დამოწმებული განაჩენით» (იხ. A 248 – A 249).

იმ თავებში, სადაც სავანის მამულების მოვლაზეა ლაპარაკი, მოცემულია მდიდარი ცნობები ეკონომიური ისტორიისათვის.

რამდენიმე თავი ეხება ბერების ყოფაცხოვრებას, მათთვის დაწესებულ ულუფას, სტუმართა მიღებას ბერების მიერ და სხვა ამგვარს.

ოც დამეოთხე თავში გრიგოლ ბაკურიანისძე უკრძალავს სავანის გამგეობას ბერძნების ჩარიცხვას სავანეში. «ასეთ ბრძანებას იმის გამო ვცემ ასე მტკიცედ – ამბობს გრიგოლ ბაკურიანისძე – რომ ბერძნები მოძალადენი არიან, უპირობი და ანგარნი, და მონასტერს რამე გაჭირებას და ვნებას შეამთხვევენ, ან ისეთ ვინმეს, მოწინააღმდეგეს, დააყენებენ ადგილზე, რომელიც შეეცდებოდა იქ გაბატონდეს, ან მამასახლისობა (ἡγουμενίαν) თვით მიითვისოს, ან სხვა რაიმე დაწყევლილი საბაბით მონასტერი მიიჩემოს, რაც ჩვენ ხშირად გვინახავს მათგან ჩადენილი ჩვენი ტომის გულუბრყვილობისა და გულმართლობის წყალობით» (იხ. A 263).

ცალკე თავი (მე-31 თავი) განეკუთვნება სემინარიაში მოსწავლეებისა და მათთან მეცადინეობის საკითხს, მასწავლებლის გასამრჯელოს და მოსწავლეთა კვებას (იხ. A 279 – A 281).

სემინარიაში, რასაკვირველია, მეცადინეობა წარმოებდა ქართულ ენაზე. სამართლიანად წერს ნ. მარიამის შესახებ: «...в этой византийской семинарии (ე. ი. პეტრიწონის სემინარიაში) для нас более всего своеобразно обучение грузинскому языку и преподавание если не всех, то части предметов на грузинском языке. Эта любопытная черта не может подлежать никакому сомнению, так как семинария готовила по приведенному параграфу устава (ე. ი. თავი 31) иеромонахов для главного монастыря, куда доступ был открыт по другому параграфу того же устава лишь лицам, «знающим грузинское письмо и язык»¹.

¹ Н. М а р р, Иоанн Петрицкий... стр. 56..

მართლაც, თუ გულისყურით გავსინჯავთ წესდების თავებს, დავრწმუნდებით ნ. მარის დასკვნის სისწორეში, სახელდობრ:

1) ოცდამეთერთმეტე თავში სწერია, რომ წმ. ნიკოლოზის ტაძარში არის მოთავსებული სკოლა (სემინარია), სადაც ყრმები სწავლობენ «საღმრთო წიგნს, აგრეთვე მღვდელმსახურებას» (A 280), და სწავლობენ მანამ, «ვიდრე საბოლოოდ არ განისწავლებიან და არ მიაღწევენ მღვდლობის ასაკს» (A 281). ხოლო როგორც კი ისინი დაასრულებენ სწავლას, რომელი მათგანიც «ღირსია მღვდლობის ხარისხში ავიდეს, ესენი კანონის მიხედვით უნდა დადგინდნენ მონასტერში დანარჩენ მღვდლებთან ერთად ჟამისწირვის შესასრულებლად» (A 281).

მაშასადამე, ყრმებს ასწავლიან «იმ მიზნით, რომ შემდეგ ისინი პეტრიწონის მთავარ ტაძარში მღვდლებად აკურთხონ და ჟამისწირვა შეასრულებინონ. რა ენაზე უნდა შეასრულონ იმათ მღვდელმსახურება? რასაკვირველია, ქართულ ენაზე. ეს გამომდინარეობს უკვე 24. თავიდან.

2) ოცდამეთოთხე თავში გრიგოლ ბაკურიანისძე სასტიკად უკრძალავს პეტრიწონის მონასტერში ბერძნების მიღებას: «არასოდეს ამ ჩემს მონასტერში ბერძენი ხუცესი არ იქნეს დამკვიდრებული, გარდა ერთი მდივნისა (νοτάριον), რომელმაც იცის წერა და რომელიც ხანდახან მთავრებთან გაგზავნის წერილს წინამძღვრისაგან, და მათთან გაგზავნილს ამისგან უკან დაიბრუნებს, და მონასტრის საქმეებს წარმართავს» (A 262 – A 263). მაშასადამე, პეტრიწონის მონასტერში მხოლოდ და მხოლოდ ქართველები არიან, და ცხადია, რომ მღვდელმსახურებაც ქართულად იქნება: თუ ეს ასეა, მაშინ იმ ყრმებმაც, რომლებმაც სწავლის დასრულების შემდეგ მთავარ ტაძარში ჟამისწირვა უნდა შეასრულონ, სკოლაში ქართულ ენაზე უნდა ისწავლონ მღვდელმსახურება.

3) ამ დებულების ნათელსაყოფად შეიძლებაოდა ტიპიკონის ანდერძიც გამოგვეყენებია, ჩვენ გვაქვს ამ ანდერძის ორი რედაქცია: ერთია ბერძნული ტექსტის რედაქცია, ხოლო მეორე – ქართული ტექსტის რედაქციაა.

ა) ბერძნული რედაქციის ტექსტში ასეთი სახის ანდერძია: «დაიწერა [ტიპიკონი] ბერძნულად, ქართულად და სომხურად იმიტომ, რომ ამ მონასტრის მონაზონები ქართველები არიან და არ იციან ბერძნული კითხვა; იმიტომ საჭიროა ეს ტიპიკონი შესრულებული იყოს ქართულადაც და სომხურადაც, ხოლო სიმტიკიცე – ვაწესებთ ჩვენ – უნდა ჰქონდეს ამ შემთხვევაში საყოველ-

თაო ბერძნულ დაწერილობას, ისე რომ მისი ნაქსოვის ბოლოში მას ეკუთვნის ხელმოწერა» (A 296).

ბ) ტიპიკონის ქართული რედაქციის ტექსტში კი ვკითხულობთ: «ამისთვის დაიწერა ბერძნულად და ქართულად [რამეთუ] ქართველნი არიან და არა იციან ბერძნული წარკითხვა და ჯერ არს, რადთა ქართულად წერილსა აღმოიკითხვიდენ და გულისწმა ჰყოფდენ აღწერილსა განსაზღვრებულსა ამას შინა ტიპიკონსა. ხოლო სიმტკიცისა ქონებად უბრძანებთ ბერძულსა წერილსა, რამეთუ დასასრულსა საქმისასა ქუჭმო წერილი მას უპყრიეს» (თარხნიშვილის გამოც. 80, 15 – 22).

მიუხედავად იმისა, რომ ამ რედაქციებს შორის საგრძნობი განსხვავებაა (ბერძნულ ტექსტში, ქართულთან შედარებით, ზედმეტი „სომხურად“ სწერია, რაზედაც ჩვენ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი), – მიუხედავად ამ განსხვავებისა ორივე რედაქციის ტექსტში გარკვევით სწერია, რომ მონასტრის მონაზონები ქართველები არიან და არ იციან ბერძნული კითხვა. მონაზონებმა, რა თქმა უნდა, იცოდნენ ბერძნული კითხვა, მაგრამ ამ ტიპიკონის ავტორი ამას მაინც ხაზს უსვამს მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ აღნიშნოს მათი ქართველობა, აღნიშნოს ის, რომ მათთვის მთავარი იყო ქართულად წაკითხვა («რადთა ქართულსა წერილსა აღმოიკითხვიდენ და გულისწმა ჰყოფდენ») ¹; ბერძნულად დაწერილ ტიპიკონს კი მხოლოდ ოფიციალური მნიშვნელობა ეძლეოდა.

ამგვარად, ცხადია, რომ მონასტრის მცხოვრებლები ქართულ ენას მეტყველებდნენ, ქართულ ენაზე ისმენდნენ ჟამისწირვას და, მაშასადამე, სემინარიის მოსწავლეებიც ქართულ ენაზე სწავლობდნენ სამეცნიერო დისციპლინებს.

ამ მასალების შესაბამისად კ. კეკელიძე წერს: „ეს (ე. ი. პეტრიწონის) სემინარია ამხადებდა მღვდლებს მონასტრისათვის, რომელშიაც შესვლა შეეძლოთ მხოლოდ ისეთებს, ვინც ქართული ენა და წერა-კითხვა იცოდა, სწავლა ამ სემინარიაში, უეჭველია, ქართულ ენაზე წარმოებდა“ ².

მეტად საგულისხმოა ტიპიკონის 28. და 29. თავები, რომლებშიც გადმოცემულია ცნობები მოხუცთა თავშესაფარისა და სასტუმროების აგების შესახებ.

¹ ტიპიკონის შესავალშიც (A 148) ხომ სწერია, რომ მონაზონები «ქართული წერა-კითხვისა და ენის მცოდნენი არიან».

² კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია I (1960) გვ. 106.

ოცდამერვე თავში გრიგოლ ბაკურიანისძე საგანგებო მზრუნველობას იჩენს მოხუცებზე და სენით შეკვრობილებზე. «თუ ძმათაგან რომელნიმე გაჭირებაში ჩავარდებიან და სიძნელეებში, ან სიბერით ან ავადმყოფობით ან სხვა რამ სატკივართ დაუძლურდებიან, საჭიროა უმეტესად მათზე ფიქრი და ზრუნვა და ნუგეშისცემაო» (A 270 – A 271).

ოცდამეცხრე თავი მიძღვნილი აქვს მგზავრთა და ღარიბთათვის აშენებული სასტუმროების მოვლის საკითხს. სამი სასტუმრო («ქსენადომი») აუგია გრიგოლს: სტენიმახის ქვემოთ, მარმარისა (ხიდის მახლობლად) და წმ. ნიკოლოზის სასტუმრო. თითოეული ამ სასტუმროსათვის დაწესებულია სურსათის გარკვეული რაოდენობა (მაგალითად: «ორი მოდი დიკა და ორი მეტრო ღვინოა»); სასტუმროში მუდამ უნდა იყოს «ფურნე და თორნე (φούρνος και κλιβανος) ორივე გახურებული, რათა, როდესაც ზამთრის დღეებში მოვა სტუმარი, ამ სასტუმროში ის გათბეს, გაშრეს და მოისვენოს» (A 274). თითოეულ სასტუმროს მიჩენილი ჰყავს ყველა სხვა სამსახურებრივი მოვალეობისაგან განთავისუფლებული გლეხი (xxx-xxx): «ის მარტო ამ სასტუმროს სამსახურში იყოს, მაგალითად შეშა მოჰქონდეს, წყალს უზიდავდეს და ყოველგვარ საჭირო სამსახურს უსრულებდეს სასტუმროებს; მისი ხელითვე უნაწილდებოდეს გლახაკებსა და მგზავრებს ეს საზრდო. ის უნდა იყოს აღჭურვილი წმინდა გონებით და ღვთის მოშიშობით, და მიუდგომლად უნდა უყოფდეს საჭირო საზრდოს» (A 273).

თუ კი სასტუმროში გაჩერებული მგზავრი ავად გახდება, მას უნდა მოუარონ: «ასეთი სამი დღის განმავლობაში უნდა მოასვენო; ხოლო სამი დღის შემდეგ გააგზავნო ის. და თუ ვინმე მთლად დაუძლურდეს და ვერ შეძლოს მგზავრობა, ასეთი მანაზდე უნდა დააკავო და მოასვენო, სანამ საბოლოოდ გამომთელდებოდეს» (A 274) ¹.

¹ ამ სასტუმროების საკითხს საგანგებო ყურადღება მიაქცია შ. დილმა თავის, ბიზანტინისტთა III კონგრესზე 1929 წლის აპრილში წაკითხულ მოხსენებაში: *La société byzantine à l' époque des Comnènes* და თავისი მსჯელობა ამ საკითხზე ასე დააბოლოვა: «tout cela était absolument gratuit, et on a calculé que le nombre de voyageurs ayant reçu asile dans cette institution variait 15 et 20.000 par an» – «ყველა ეს იყო სრულიად უფასოდ, და გამოთვლილია, რომ იმ მგზავრთა რიცხვი, რომლებიც თავშესაფარს ჰპოულობდნენ ამ დაწესებულებაში, 15-დან 20.000-ს აღწევდა წლიურად». იხ.

ტიპიკონში უხვად, არის გაბნეული ცნობები თვით გრიგოლის და მისი ნათესავების შესახებ. აქამდე ცნობილი იყო, რომ გრიგოლის დედამ შვილების აღზრდას მოანდომა თავისი სიმდიდრე¹. ტიპიკონის ქართული ტექსტით კი გრიგოლი უჩივის დედას: მამა ადრე გარდაგვეცვალა, დედამ მთელი ქონება სხვა თავის შვილებს, ქალებს მზითებში გაატანა, ხოლო მათმა ქმრებმა ეს ქონება განიავეს; ჩვენ კი, მე და ჩემი ძმა აბასი, შიშველნი დავრჩით და დიდი გაჭირვებით მოგვიხდა შემდეგ ცხოვრების გზაზე ბრძოლის გადატანა, სანამ კაცად გავხდებოდით და ქონებას შევიძენდითო (იხ, A 244 – A 245).

წესდების ბოლო მუხლებში ჩამოთვლილია ის დოკუმენტები, ოქრობეჭდები, რომლებიც ინახება პეტრიწონის სავანეში; ამ დოკუმენტებით მტკიცდება პეტრიწონელთა უფლებები იმ მამულებზე და იმ განძზე, რომლებიც სავანის განკარგულებაშია, მტკიცდება შეუვალობა ამ მამულებისა (თავი მესამე, A 153 და A 178 – A 179).

ამ დოკუმენტებს შორის გრიგოლი ასახელებს ორ ოქრობეჭედს იმის შესახებ, რომ დიდ დომესტიკად მოღვაწეობის დროს მას არაფერი ბრალი არ ედება (A 291), ე. ი. მას ჰქონია ორი სიგელი, გაცემული ბიზანტიის მთავრობისაგან, რომ მას თავისი მოვალეობა დიდისა დომესტიკოსისა შეუსრულებია პირნათლად და, ამიტომ, მას არავითარი ბრალი არ ედება.

დიდ ინტერესს იწვევს აგრეთვე წესდების ბოლო თავებში დართული სია იმ ნივთებისა და განძეულობისა, რომლებიც გრიგოლ ბაკურიანისძემ შესწირა მის მიერ დაარსებულ სავანეს: სამღვდელმსახურო სამოსელი, ძვირფასი ქსოვილებისაგან შეკერილი (სკარამანგი, ომფორი, გადასაფარებლები), ინვენტარი (კანდელი, დრაკონტარი), ბროლისა და მინის ჭურჭელი და სასმისები.

პეტრიწონის წესდების ბერძნული ტექსტის მოპოების ისტორია ასეთია: პირველი ცნობა „პეტრიწონის წესდების“ შესახებ ეკუთვნის პ. ბეზობრაზოვს, რომელმაც 1887 წელს მოათავსა „სახალხო განათლების სამინისტროს ჟურნალში“ გამოკვლევა, სადაც შეეხო რამდენისამე სამონასტრო წესდების შემცველ ხელნაწერს, კუნძულ ხალკის ბიბლიოთეკიდან (კონსტანტინოპოლის მახლობლად). ეს ხელნაწერი XVIII საუკუნისაა, მაგრამ შეიცავს XII – XIII საუკუნეთა სამონასტრო წესდებებს, მათ შორის პეტრიწონის წესდების ნაწყვეტებსო.

Revue historique du Sud-Est Européen. Juillet – Septembre 1929. Paris – Bucarest. გვ. გვ. 198 – 280 (სასტუმროების შესახებ გვ. 247).

¹ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია (1960), გვ. 105.

თვით წესდება პეტრიწონისა არ არის ამ ხელნაწერშიო – წერს პ. ბეზობრაზოვი, – არის მხოლოდ წინასიტყვაობა და ბოლოსიტყვაობაო ¹, და მოჰყავს წინასიტყვაობა *Ἀρχόμεθα — Ἰβήρων πατριφανεστάτης φυλῆς* (იხ. ჩვენი გამოცემის A 148) ² და ბოლოსიტყვაობა *Ἐν δὲ παρὸν τυπικὸν ἐγράφη — Φιλίππουπόλεως κτήμασι· μὲν* (იხ. ჩვენი გამოცემის A 295 – A 296).

პ. ბეზობრაზოვი იცნობს თვით პეტრიწონის წესდების მუხლებსაც, რომლებიც მას ამოუწერია და რომლებიც, მისი თქმით, ცნობილი იყო პატრიარქ დოსითეოსისთვის. ბეზობრაზოვი გადმოგვცემს ამ წესდების ამოწერილ მუხლებზე დაყრდნობით, რომ ბაზკოვოს (ე. ი. პეტრიწონის) მონასტრის მაშენებელი გრიგოლ ბაკურიანი იყო ალექსი კომნენის დროინდელი ცნობილი სარდალი და დასავლეთის დომესტიკოსი; რომ ის არის ქართველი და რომ მონასტერიც განკუთვნილი იყო ქართველებისთვის ³.

ხალკის ბიბლიოთეკის ეს ხელნაწერი გამოუყენებია ა. დმიტრიევსკის თავის შრომაში *Τυπικά* (კიევი, 1895), მაგრამ შემდეგ მისი კვალი აღარსად არ ჩანს.

ამის შემდეგ მეორე წყარო ჩვენი ცოდნისა „პეტრიწონის წესდების“ შესახებ იყო 1888 წელს გიორგი მუსეოსის მიერ მის სადოქტორო დისერტაციაში გამოქვეყნებული ახალბერძნული თარგმანი „პეტრიწონის ტიპიკონისა“ ⁴. თვით მთარგმნელი უცნობია, ხოლო მას ეს თარგმანი შეუსრულებია 1782 წელს, რასაც მოწმობს ანდენმ-მინაწერი, რომელიც ტიპიკონის სათაურის ბოლოშია მიწერილი: *Ἐπεθεβήθη αὐτῷ ἐν εἰς εἰς ἡμετέρας ἐκείνης ἐν τῷ ἔτει αὐτῷ* *Ἐλληγικῆς γλῶσσης ἐν εἰς σατυρίῳ „αὐτῷ“* ⁵ („ხსენებული ტიპიკონი გადაითარგმნა მარტივ ბერძნულ ენაზე ქრისტეს აქეთ 1782 წელს“).

¹ П. Б е з о б р а з о в, Материалы для истории Византийской империи. I: Неизданные монастырские уставы: ЖМНП 1887. т. 254. Ноябрь, стр. 65 – 78. პეტრიწონის წესდებაზე იხ. გვ. 76 – 77.

² ბეზობრაზოვის ტექსტს აკლია ჩვენი ტექსტის სიტყვები *τὸν ἀρχόντου μὲν τῶν ἀρχόντων ὄντος τε καὶ διαπρέποντος.*

³ პ. ბეზობრაზოვის ამ შრომაზე იხ. Ed. Kurtz-ის რეცენზია: BZ 2, 627 – 631.

⁴ *Γρηγόριος Πακουριανός, μέγας δομῆστικος τῆς Ἀθήνας, καὶ τὸ ἕπ' αὐτὸν Τυπικὸν τῆς Μονῆς τῆς Θεοτόκου τῆς Πετροῦπολεως, ἐπὶ Γεωργίου Μουσαίου Στεμμαχίτου.* Lipsiae 1883. გვ. 131 – 210 (გამოქვეყნდა როგორც იენის უნივერსიტეტის დისერტაციათა IV ნაკვეთი).

⁵ დაბეჭდილია კორექტურული შეცდომით: „αὐτῷ“.

მესამე და უკანასკნელ ეტაპს პეტრიწონის ტიპიკონის შესწავლის საქმეში წარმოადგენდა ლუი პეტის მიერ (Louis Petit) 1904 წელს გამოცემული ბერძნული ტექსტი, რომელიც დაიბეჭდა „ვიზანტიისკი ვრემენიკის“ XI ტომში (№ 1 დამატების სახით) ¹. ლ. პეტიმ თავის გამოცემას საფუძვლად დაუდო მის მიერ დიდის ძიებითა ² და გაჭირებით მოპოვებული ბუხარესტის ხელნაწერი, რომელიც გადმოწერილია XVIII საუკუნეში რომელიღაც ძველი ნუსხიდან. ძველ ნუსხას დაბეჯითებით მალავდნენ საპატრიარქო ბიბლიოთეკის მესვეურებო.

ბუხარესტის ეს ნუსხა მთლად სანდო არ აღმოჩნდა. რამდენიმე ფურცელი დაკარგულიყო და ლუი პეტიმ ხარვეზები შეავსო გ. მუსეოსის მიერ გამოცემული ახალბერძნული თარგმანის შემწეობით. გარდა ამისა, ზოგიერთი წინადადებები (კიდურმსგავსების შეცდომით თუ სხვა მიზეზის გამო) გამორჩენოდა გადამწერს; დასასრულ, ცალკეული სიტყვებიც დამახინჯებული იყო ³. ამიტომ თვით ლ. პტი ამ თავის გამოცემას უყურებდა როგორც წინასწარს, რომელიც მომავალში უფრო სრულყოფილმა უნდა შეცვალოსო.

L. Petit წერდა თავის გამოცემის წინასიტყვაობაში: «Le copiste anonyme s' était fort mal acquitte de sa besogne. Ses omissions n' étaient pas rares; elles portaient, ici sur un fenillet entier, là sur une page, ailleurs sur, deux ou trois lignes. Certaines leçons évidemment vicieuses trahissaient en plus d' un endroit son inexpérience paléographique, ajoutant ainsi aux embarras déjà nombreux du style exotique de Pacourianos. Plusieurs passages paraissaient entièrement corrompus. Mais à ce mal, que je suis le premier à déplorer, nul remède, tant que le patriarcat oecuménique n' aura pas exhumé de ces catacombes le codex original. Et comme cette époque tardera sans doute à venir, on me pardonnera, je l'espère, de livrer au public même dans son imperfection ce curieux monument...» – „უსახელო გადამწერმა ძალიან ცუდად შეასრულა თავისი სამუშაო. ხარვეზები იშვიათი არ არის: ზოგჯერ მთლიანი ფურცელია გამოტო-

¹ Τυπικόν de Grégoire Pacourianos pour le monastère de Pétritzos (Bačkovo) en Bulgarie. Texte original publié par L o u i s P e t i t. Санкт-Петербург 1904, XXXII+63.

² ამ მიეზაზე მოგვითხრობს თვით ლ. პტი (იხ. მისი გამოცემის გვ. IV – V).

³ იხ. E. K[urtz]-ის რეცენზია ამ გამოცემაზე: BZ 14 (1905), 358.

ვებული, ზოგგან – ერთი გვერდი, აქა-იქ კი აკლია თითო-ოროლა სტრიქონი. ზოგიერთი, აშკარად შერყვნილი, კითხვა-სხვაობა, არა ერთგან, ამჟღავნებს გადამწერის პალეოგრაფიულ გამოუცდელობას, რაც კიდევ ზედ ემატება ბაკურიანის უცხოური სტილით გამოწვეულ ისედაც მრავალრიცხოვან ჩავარდნას. რამდენიმე ნაწყვეტი მთლად დამახინჯებული ჩანს, მაგრამ ამ უბედურებას, რომელსაც მე პირველი ვარ რომ დავტირი, არაფერი ეშველება, სანამ მსოფლიო საპატრიარქო მზის სინათლეზე არ გამოიტანს თავისი კატაკომბებიდან ტიპიკონის დედანს, და რადგან ამას, რასაკვირველია, დაუგვიანდება, იმედია მაპატიებთ, რომ ამ შენანიშნავ ძეგლს ვაქვეყნებ მისი ნაკლულევანი სახითაც კი“ (L. Petit, გვ. V – VI).

ლ. პეტის თქმისა არ იყოს, მართლაც ძალიან დაუგვიანდა პეტრიწონის ტიპიკონის ძველი ნუსხის მოპოვებას.

1954 წელს მ. თარხნიშვილმა გამოაქვეყნა „პეტრიწონის წესდების“ ძველქართული რედაქცია¹ და წინასიტყვაობაში წერდა: ამავე ტიპიკონის სხვა ქართული ნუსხა მოიპოვება № 1598 ხელწერში, რომელიც დაცულია კორაის სახელობის ბიბლიოთეკაში კუნძულ ქიოსზე, ხოლო მე ის ვერ მოვიპოვე (თარხნიშვილის გამოცემა გვ. III).

მ. თარხნიშვილის მიერ მოწოდებული ცნობის მიხედვით აკად. აკაკი შანიძემ, რომელიც ამზადებდა „პეტრიწონის წესდების“ ძველქართული რედაქციის ტექსტის გამოცემას, გადადგა სათანადო ნაბიჯები და მიაკვლია ამ ქართული ნუსხის მოპოვების შესაძლებლობას, ხოლო საქ. მეცნ. აკადემიის ფუნდამენტალური ბიბლიოთეკის დირექტორის, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის, ვლ. უზნაძის მიერ მიღებული ენერგიული ზომების წყალობით კუნძულ ქიოსიდან მიღებულ იქმნა ორი ხელნაწერის (№ 1598 და № 1599) მიკროფილმები; № 1598 ხელნაწერში ტიპიკონის იმ ძველქართული ტექსტის გარდა აღმოჩნდა ბერძნული ტექსტიც, რომელიც თავისი პალეოგრაფიული ნიშნებით XI – XII საუკუნით თარიღდება.

¹ Typicon Gregorii Pacnriani, edidit Michael Tarchnišvili. Louvain 1954. მოთავსებულია სერიაში: Corpus scriptorum christianorum orientali-um. Scriptores Iberici, tomus 3 (ქართული ტექსტი), tomus 4 (ქართული ტექსტის ლათინური თარგმანი).

პეტრიწონის მონასტრის ბერძნული სახელწოდება სამი ვარიანტით არის ცნობილი:

Μονή τῆς Θεοτόκου τῆς Περικλῆσις ἐπὶ τῆς Ροδόπης
(„პეტრიწონის ღვთისმშობლის მონასტერი როდოპის კალთაზე“);

Μονή Μβατσοῦβου („ბაჩვოვოს მონასტერი“);

Μονή τοῦ Γρηγορίου Πακουριανοῦ („გრიგოლ ბაკურიანის მონასტერი“).

პეტრიწონის მონასტერს ჰქონდა საკუთარი ბიბლიოთეკა; მისი ხელნაწერები მხოლოდ ნაწილობრივ, თითო-ოროლა, არის აღწერილი (იხ. BPh Woch. VII [1887] – სამი ხელნაწერის აღწერილობა;

Ἡμερολόγιον τῆς Ἀνατολῆς φιλολογικὸν καὶ ἐπιστημονικὸν

xxx 1887 – აქ აღწერილია 1 ხელნაწერი. ორი ხელნაწერი, ექოსზე მოხვედრილი, აღწერილია კ. ამანტოსის შრომაში).

პეტრიწონის მონასტრის ბიბლიოთეკის კოლექცია გადატანილ იქმნა სოფიაში, სინოდალურ ბიბლიოთეკაში. M. Richard-ი ამის შესახებ წერს: *Comme nous l' avons signalé plus haut* cette collection (იგულისხმება პეტრიწონის კოლექცია) aurait été transférée (en totalité ou en grande partie) à la bibliothèque da Saint-Synode à Sofia (Répertoire des bibliothèques et des catalogues de manuscrits grees, par M a r c e l R i c h a r d. Paris 1948, გვ. 101).*

რომ პეტრიწონის მონასტერს მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონია, ეს ნათლად ჩანს მოღწეული მასალებიდან. იმპერიალისტური ომის წინა წლებში (თუ ომის წლებში) ამ ბიბლიოთეკის წიგნები წამოუღიათ.

ერთი ნაწილი ამ წიგნებისა (უმთავრესად ბერძნული ხელნაწერები) მოუთავსებიათ ს ო ფ ი ს სინოდალურ ბიბლიოთეკაში (M. Richard-ი წერს 1948 წელს გამოცემულ წიგნში „ამ რამდენიმე წლის წინათ“ (il y a quelques années. – იხ. აქვე, შენ. 1). ამ კოლექციაში ხომ აღმოჩნდა ის ქართული ხელნაწერი, რომელიც შეიცავს „პეტრიწონის ტიპიკონს“.

სხვა ბერძნული ხელნაწერები გადაუტანიათ რ ი ლ ი ს მონასტერში. პროფესორმა გომევემა უამბო 1949 წელს ბულგარეთში

¹ ამავე შრომის წინა გვერდზე (გვ. 100) სოფიის ბიბლიოთეკის აღწერისას M. Richard-ი წერს: *Cette bibliothèque se serait enrichie il y a quelques années, de la collection do manuscrits grees du monastère bulgare de Bučkovo, près de Stanimaka (სტენიმაქას ამჟამად ა ს ე ნ ო ვ გ რ ა დ ი ეწოდება – იხ. ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი. ძლევად, გვ. 24).*

მივლინებულ ქართველ მეცნიერთ – ბაჩკოვოდან რომ ხელნაწერი წამოვიღე „სულ ბერძნული ხელნაწერებია და ეხლა ყველა ეს რილის მონასტერში ინახებაო“. ქართველი მეცნიერნი რილის მონასტერს ეწვივნენ და ნახეს აქ გადმოხიზნული „პეტრიწონული წიგნები“, ბერძნული ხელნაწერები ¹.

როგორც ჩანს, რამდენიმე ხელნაწერი მოხვედრილა ქიოსზე, კორაის სახელობის ბიბლიოთეკაში. მათ შორის ხელნაწერები:

№ 1598 – შეიცავს პეტრიწონის ტიპიკონის ქართულ ტექსტს (გვ. 1 – 145) და ამავე ტიპიკონის ბერძნულ ვარიანტს (გვ. 146 – 298).

№ 1599 - შეიცავს პეტრიწონის ტიპიკონის ახალბერძნულ ტექსტს.

ამ ორ ხელნაწერს ეხება K. Amantos-ის ქვემოთ დასახელებული შრომა.

კორაის სახელობის ბიბლიოთეკაში კუნძულ ქიოსზე მოიპოვება პეტრიწონის წესდების ბერძნული ნუსხა, რომელიც ბიბლიოთეკის მიერ ახლად შეძენილი ჩანს ² და რომელიც, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, XI – XII საუკუნეშია გადმოწერილი. ამ ბერძნულ ნუსხასთან ერთად აკინძულია ამ ნუსხის ქართული თარგმანი; იქვე აღმოჩნდა მეორე ხელნაწერიც, რომელიც შეიცავს ახალბერძნულ თარგმანს. ორივე ბერძნული ხელნაწერი (როგორც ბიზანტიური ტექსტი, ისე ახალბერძნული) აღწერილი აქვს K. Amantos-ს ქვემოთ, შენიშვნებში, დასახელებულ შრომაში, რომელიც, სამწუხაროდ, ჩვენთვის უშოვარი შეიქმნა და რომლის შინაარსს BZ-ში მოთავსებული ბიბლიოგრაფიული ანოტაციის მიხედვით ვიცნობთ.

ქიოსისა (A) და ბუზარესტის (B) ნუსხათა ურთიერთობა.

AB ნუსხათა ურთიერთობის გარკვევისათვის მნიშვნელობა აქვს ასეთ დაკვირვებას:

1) B-ს აკლია წესდების ტექსტის ის ადგილი, რომელიც ქიოსურ ნუსხაში მოთავსებულია 191 – 194 გვერდებზე, სიტყვებიდან *ἐν ἁγίῳ πνεύματι* (A 191) ვიდრე სიტყვებამდე *καὶ τῶν*

¹ იხ. ნ. ბერძენიშვილი, ძლევაჲ, გვ. 42 და გვ. 50.

² ასე წერს კ. ამანტოსი თავის შრომაში *Μικρὸν Θρακικὸν Μελετήματα. Β'. Χειρόγραφα τῆς μονῆς Γρηγορίου Παπουριανοῦ παρὰ τὸν Στεφῆμαχον. Θρακικά* 10 (1938), 234 – 252. F. D[ölger]-ი ამანტოსის ამ შრომაზე დაწერილ ბიბლიოგრაფიულ შენიშვნებში გადმოგვცემს: Die korais-Bibliothek auf Chios besitzt auf Grund neuerer Erwerbung eine Abschrift des bekannten... Typikons des... Ibererklosters. ob. BZ 39 (1939) გვ. 231.

მეს (A 192). ეს უდრის L. Petit-ს გამოცემის გვ. 19, 19 – 20, 27, ქიოსური ნუსხის სრული ოთხი გვერდი (ზედმიწევნით, 191 გვერდის პირველი სიტყვიდან 194 გვერდის უკანასკნელ სიტყვამდე).

ეს არ შეიძლება მომხდარიყო შემთხვევით. ესე იგი: ის გარემოება, რომ B-ს ხარვეზი ზედმიწევნით ემთხვევა A-ს ორ ფურცელს, იმას ნიშნავს, რომ B-ს გადამწერს (ან მის წყაროს) ხელთ ჰქონდა A, ხოლო რაღაც მიზეზის გამო გადამწერს გამორჩენია ორი ფურცელი.

2) ანალოგიურია მეორე შემთხვევაც. B-ს აკლია ბერძნული ტექსტის ის ადგილი, რომელიც მოიპოვება ქიოსური ნუსხის 207 – 208 გვერდებზე, სიტყვებიდან *παρ' ἧσαν ἐσαπάρψυ* (A 207) ვიდრე სიტყვებამდე *ἦνα ὁ πρῶτος[φωτῶντες]* (A 209), რაც უდრის L. Petit-ს გამოცემით გვ. გვ. 24, 34 – 25, 18.

ზემოთ მოყვანილი ორივე შემთხვევა მხოლოდ იმით შეიძლება აიხსნას, რომ B-ს წყაროა ისეთი ტექსტი, რომელიც მომდინარეობს A ნუსხიდან.

პეტრიწონის ტექსტის ბეჭდვის დროს L. Petit-მ ეს ხარვეზები შეავსო გ. მუსეოსის მიერ გამოცემული ახალბერძნული თარგმანიდან, ხოლო ამ დროს მან ჩაატარა ერთგვარი ტექსტუალური ოპერაციები: პირველი ხარვეზის შევსებისას მან *γενήσονται* (რომლითაც იწყება ნამდვილი ტექსტი იმ ხარვეზის შემდეგ) მოათავსა ახალბერძნული ტექსტის წინ (და არა შემდეგ), ხოლო მეორე ხარვეზის შევსებისას ამოავდო სიტყვა xxx.

პეტრიწონის ტიპიკონი

ტექსტი და თარგმანი

Ἄρχῃ σὺν θεῷ

Τὸ τυπικὸν τὸ ἐκτεθέν παρὰ τοῦ μεγάλου δομεστίκου τῆς δύσεως κυροῦ Γρηγορίου τοῦ Πακουριάνου πρὸς τὴν παρ' αὐτοῦ κτισθεῖσαν μονὴν τῆς ὑπεραγίας θεοτόκου τῆς

5

Πετριζιωτίσης.

1. Ἐπικουρία καὶ ἀγαθότητι τῆς πάντα τεκταναμένης τε καὶ συνεχούσης σεπτῆς καὶ ζωαρχικῆς τριάδος τοῦ προανάρχου πατρὸς καὶ τοῦ συνανάρχου υἱοῦ καὶ λόγου αὐτοῦ καὶ τοῦ ζωαρχικοῦ καὶ ὁμοουσίου αὐτοῦ πνεύματος, τὴν μίαν θεότητά τε καὶ δυνάμιν, εἰς
10 ἣν βεβαπίσμεθα καὶ ἡ ἐκ προγόνων λατρευόμεν, ἐλπίδι καὶ πίστει τῇ εἰς αὐτὴν βεβαία τεθαρρηκότες.

2. (A 148) Ἀρξόμεθα λέγειν τε καὶ γράφειν περὶ τοῦ προκειμένου ἡμῖν ἐφετοῦ τε καὶ εὐκταίου ἔργου ἧτοι τῆς συστάσεως τῆς παρ' ἡμῶν νεωστὶ ἰδρυμένης μονῆς, καθὼς ἐν τοῖς ὑποτεταγμένοις καθ-
15 ἐξῆς δηλωθήσεται, περὶ τε ὄρου καὶ ἀριθμοῦ τῶν ἐν αὐτῇ μοναζόντων καὶ περὶ τύπου καὶ κανόνος, δι' ὧν πολιτεύσονται εἰς δόξαν τε καὶ τιμὴν τῆς πανυπεράγνου δεσποίνης ἡμῶν θεοτόκου, ἐν τῇ τοπο-
20 θείᾳ τοῦ κάστρου τοῦ Πετριζοῦ καλουμένου πάντων τῶν μοναζόντων τὴν ἰβηρικὴν ἐπισταμένων γραφὴν καὶ διάλεκτον συναθροισθέντων τε καὶ συνταχθέντων εἰς τὴν προνοία καὶ βοήθειά τοῦ θεοῦ τῶν ὄλων νεωστὶ κτισθεῖσαν μονὴν παρ' ἐμοῦ Γρηγορίου τοῦ εὐδοκί-
25 κία θεοῦ σεβαστοῦ καὶ μεγάλου δομεστίκου πάσης τῆς Δύσεως γνησίου τε υἱοῦ τοῦ ἐν μακαρίᾳ τῇ λήξει Πακουριάνου, τοῦ ἀρχοντος μὲν τῶν ἀρχόντων ὄντος τε καὶ διαπρέποντος, τὴν γέννησίν τε ἐκ τῶν ἐφῶν ἔχοντος ἐκ τῆς τῶν Ἰβήρων παμφανεστάτης φυλῆς, προσ-
τίθῃμι (A 149) δὲ ὅτι καὶ κτίτορος τῆς θεοδμήτου καὶ νεοδμήτου ταύτης μονῆς καὶ κοιμητηρίου τῆς ἐμῆς ἀναπαύσεως, τῆς καὶ ὀνομασθεί-

2 τὸ τυπικὸν A. 2 εκτεθ > A. 2 μεγ'λ A. 3 Γρηγ'ν A. 5 Πετριζιωτίσης AB. 6 τεκταναμένης A. 6 τὲ A. 7 σεπτῆς A. 7 ζωαρχικῆς A. 7 προανάρχ' A. 9 τῆς μ-
ας τε καὶ δυνάμεως Petit. 9-10 εἰς ἣν <B (Petit: εἰς ἣν est omis, mais il y a
dans le ms. un espace vide où il aurait dû figurer. 13 τὲ A. 15 ἧτοι A.
14 νεωστῆ A. 14 καθὼς A. 14-15 καθ'ἐξῆς A. 15 ὄρου A. 15-16 μοναζόντων A.

ვიწყით ღმრთის მიერ

A 147

ტიპიკონი, შედგენილი დასავლეთის დიდი დომესტიკოსის უფალ გრიგოლ ბაკურიანისძის მიერ მის მიერვე დაარსებული პეტრიწონის ყოვლად-წმინდა ღვთისმშობლის სახელობის მონასტრისათვის.

1. შეწევნითა და კეთილისყოფითა ყოველთა შემქმნელისა და შემცველისა წმინდა და ცხოველყოფელისა სამებისა, წინადაუსაბამო მამისა და თანადაუსაბამო მისა და სიტყვისა მისისა და ცხოველყოფელისა და თანაარსისა მისისა სულისა (წმინდისა), სასოებითა და მისდამი ჭეშმარიტი რწმენით მივენდობით მხოლოსა ღმერთსა და ძალსა, რომელსა შინა მოვინათლენით და რომელსაც წინაპართა დროიდან ვემსახურებით.

A 148

2. ვიწყით ჩვენ საუბარი და წერა შესახებ წინამდებარისა, ჩვენთვის სანუკვარი და სანატრელი საქმისა, ანუ ჩვენ მიერ ახლახან დაფუძნებული მონასტრის საკრებულოდსა, როგორც ეს ნათელყოფილი იქნება ქვემოთ მოხსენებული დებულებებით. შესახებ ამ მონასტერში არსებული მონაზვნების რიცხვის განსაზღვრისა და მცნებისა და კანონისა, რომელთაც ისინი ექვემდებარებიან სადიდებლად და საპატივცემლოდ ყოვლად წმინდისა დედოფლისა ჩვენისა ღვთისმშობლისა, შესახებ ადგილსამყოფელისა მის პეტრიწონად წოდებულისა ციხისა შეკრებილ მონაზონებისა, რომელნიც ქართული წერა-კითხვისა და ენის მცოდნენი არიან და მოთავსებული არიან ყველანი ღმრთის განგებით და დახმარებით ახლახან აშენებულ მონასტერში, რომელიც აღვაშენე მე გრიგოლმა, ღვთის ნებით სევასტოსმა და მთელი დასავლეთის დომესტიკოსმა, ღვიძლმა შვილმა ნეტარი ბაკურიანისა, ბრწყინვალე ერისთავთ-ერისთავისა, რომელიც წარმოშობით ვარ აღმოსავლეთი მხარეებიდან, იბერთა უბრწყინვალესი გვარიდან. ხოლო დავსძენ, რომ ვარ დამფუძნებელი ამ ღვთივშენებული და ახალი მონასტრისა და ჩემი განსასვენებელი სამარხისა, რომელსაც ეწოდოს სახელი საპატიოდ და სადიდებლად ქრისტეს, ჩვენი ღმერთის, დედისა, და ამ სახელ-

